# ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევის ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 14-29 წლის ახალგაზრდების
საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირების კვლევა

2022

ანგარიში მომზადებულია ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ტენდერის ფარგლებში.

ანგარიში მომზადებულია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია და შეიძლება არ ასახავდეს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეხედულებებს.

**კვლევითი ანგარიშის ავტორი**

ნინო ნაცვლიშვილი

**პროექტის კოორდინატორი**

მადონა კოტია

**ყდის ფოტო**

https://www.freepik.com/

ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA

# წინასიტყვაობა

ახალგაზრდების კვლევა - ეს არის ახალგაზრდების მდგომარეობის შესწავლის მულტიდისციპლინარული სფერო, რომელიც მოიცავს როგორც სოციალურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს. „ახალგაზრდობა“ დროებითი ეტაპია ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ის როგორც დემოგრაფიული კატეგორია მუდმივად არსებობს.

ახალგაზრდობა ხშირად აღიქმება, როგორც ავტონომიურ ცხოვრებაზე გადასვლის პერიოდი: სწავლიდან მუშაობაზე, დამოკიდებულებიდან დამოუკიდებელ ცხოვრებაზე და ა.შ. ეს არის სოციალურად აგებული კონცეფცია: ეს ნიშნავს, რომ ის არ არის რაღაც ფიქსირებული და განსაზღვრული. ის, რასაც ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც „ახალგაზრდობას“, განსხვავდება დროისა და სივრცის მიხედვით; სხვადასხვა საზოგადოებებმა „ახალგაზრდობა“ ძალიან კონტრასტული გზებით განსაზღვრეს, შესაბამისად ასაკობრივი თუ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების დიფერენციაცია განსხვავებულია ქვეყნებს შორის ადგილობრივი მოცემულობის, პოლიტიკის თუ შესაძლებლობების შესაბამისად.

ახალგაზრდების საჭიროებების კვლევების განხორციელება მნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდები ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია და ჩვენ გვაქვს ეთიკური ვალდებულება, სისტემატურად შევისწავლოთ მათი რეალობა. მეორე, კვლევების განხორციელება საჭიროა უფრო ფართო სოციალური ცვლილებების დასადგენად, აუცილებელია ვიცოდეთ, როგორ უწყობენ ხელს ახალგაზრდები საზოგადოების ტრანსფორმაციას და როგორ მოქმედებს გარე ფაქტორები მათ ცხოვრებაზე. მესამე, პოლიტიკის, ინტერვენციების, პროგრამების, პროექტების, აქტივობების და ა.შ. შემუშავებისას, პროფესიონალებმა და აქტორებმა უნდა იცოდნენ რამდენად სავარაუდოა, რომ ის, რაც კეთდება, საბოლოოდ დაეხმარება ან/და ხელს შეუწყობს თუ არა ახალგაზრდებს და შესაბამის სამიზნე ჯგუფებს და თუ კი - რამდენად მოახდენს მათზე გავლენას.

დემოკრატიული სახელმწიფოს სწორი განვითარებისთვის ახალგაზრდების ხელშეწყობა, მათი სრულფასოვანი ჩართულობა სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის უალტერნატივო პირობას წარმოადგენს. ახალგაზრდობა სწორედ ის ძალაა, რომელიც ცვლილებების, თამამი ნაბიჯების მთავარი ინიციატორი და ლოკომოტივია. ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი მუშაობს, ნაწილი სწავლობს, ცხადია არიან ისეთებიც ვინც არც მუშაობს, არც სწავლობს და არ არიან ჩართულნი რაიმე სახის ტრენინგსა თუ საგანმანათლებლო საქმიანობაში და ე.წ. “NEET” კატეგორიას განეკუთვნებიან.

ახალგაზრდები ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიული და სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ისინი არიან ცვლილებების კატალიზატორები და ამ პროცესის მთავარი მოთამაშეები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა და წახალისება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ახალგაზრდების განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შესაქმნელად და მათ მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებების ცოდნა, აღნიშნულზე მორგებული სამოქმედო გეგმის არსებობა და გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე.

მოცემული ანგარიში წარმოადგენს შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის შედეგებს. ანგარიშის მომდევნო თავში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. მას მოსდევს კვლევის მიგნებები, რაც რაოდენობრივ და თვისებრივ ნაწილებადაა დაყოფილი. ანგარიში სრულდება კვლევაში გამოყენებული ჩაღრმავებული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფისა და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების დანართით.

# სარჩევი


კვლევის მეთოდოლოგია ... 1

მიზანი და ამოცანები ... 1

კვლევის ინსტრუმენტები ... 3

რაოდენობრივი კვლევა ... 3

თვისებრივი კვლევა ... 3

ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში - სამაგიდე კვლევა ... 5

კვლევის შემაჯამებელი დებულებები ... 15

თვისებრივი კვლევის შედეგები ... 23

**1. ინფორმაციის მიღების წყაროები და საშუალებები** ... 23

**2. ახალგაზრდებს შორის არსებული პრობლემები და გამოწვევები** ... 26

**3. სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობა** ... 29

**3.1. მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში** ... 29

**3.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ცნობიერების ამაღლება** ... 30

**3.3. მოხალისეობა და მოხალისეობრივი საქმიანობა** ... 33

3.4. **ახალგაზრდული ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები** ... 35

**4. ახალგაზრდული საქმიანობები** ... 37

**4.1. ახალგაზრდული სივრცეები** ... 37

**4.2. ახალგაზრდული ინიციატივების და იდეების მხარდაჭერა** ... 38

4.3. **არაფორმალური განათლება** ... 40

**4.4. უსაფრთხო და ინკლუზიური ახალგაზრდული პროგრამები** ... 41

**4.5. გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა** ... 43

**4.6. ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა** ... 44

**5. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა** ... 45

**6. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა** ... 47

ქ. ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის შეფასებები ... 49

რაოდენობრივი კვლევის შედეგები ... 52

**დემოგრაფიული მახასიათებლები** ... 52

**კვლევაში ჩართული ახალგაზრდების მიმდინარე საქმიანობა (18-29)** ... 52

**ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებლები აქტივობებსა და ღონისძიებებში (14-29)** ... 53

**კულტურულ, შემოქმედებით, სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობისა და განათლების შესაძლებლობები ქალაქ ქუთაისში (14-29)** ... 58

ინფორმაციის მიღების წყაროები (14-29) ... 61

**ახალგაზრდების დამოკიდებულებები სოციალური და ეკონომიკური გარემოებებისადმი** ... 63

**ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებლები** ..... 67
**ახალგაზრდებისთვის არსებული გართობისა და დასვენების შესაძლებლობები** ..... 71
არსებული მუნიციპალური პროგრამების შეფასება ..... 75
რეკომენდაციები ..... 79

# კვლევის მეთოდოლოგია

## მიზანი და ამოცანები

„ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევის“ მიზანი: მუნიციპალიტეტში 14-29 წლის ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება.

სამიზნე მუნიციპალიტეტი: ქ. ქუთაისი

კვლევის ძირითად ამოცანებად განისაზღვრა შემდეგი:

1. ქუთაისის მუნიციპალიტეტში 14-17, 18-23, 24-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების უფლებრივი მდგომარეობების, პრობლემების, გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;
2. ქუთაისის მუნიციპალიტეტში 14-17, 18-23, 24-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების ღირებულებების, ქცევის, მოტივაციების და მოლოდინების იდენტიფიცირება.

**სამიზნე ჯგუფები**

1. სკოლის მოსწავლეები 14-17 წელი;
2. ახალგაზრდები 18-29 წელი;
3. 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულები არაფორმალური განათლების პროცესში, არ არიან დასაქმებულები და არც სწავლობენ;
4. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები;
5. მუნიციპალიტეტში მომუშავე ახალგაზრდული მუშაკები;
6. მერიის წარმომადგენელი.

რესპონდენტების რაოდენობები სამიზნე ჯგუფებისა და კვლევის მეთოდის მიხედვით:

| სამიზნე ჯგუფი | მეთოდი | გამოკითხულთა რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში |
|---|---|---|
| **14 – 29 წლამდე ახალგაზრდები (500 პირისპირ ინტერვიუ)** | რაოდენობრივი მეთოდი ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენებით - პირისპირ ინტერვიუ | 14 -17 წლამდე - 110 (პირისპირ ინტერვიუ);<br>18 – 23 წლამდე - 246 (პირისპირ ინტერვიუ)<br>24 – 29 წლამდე - 144 (პირისპირ ინტერვიუ) |
| **14-17; 18-23; 24-29 წლამდე ახალგაზრდები** | თვისებრივი კვლევა - ფოკუს ჯგუფი | 3 - ფოკუს ჯგუფი |
| **14-დან 29 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულები არაფორმალური განათლების პროცესში, არ არიან დასაქმებულები და არც სწავლობენ** | თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ | 4 - ჩაღრმავებული ინტერვიუ |
| **მერიის წარმომადგენელი** | თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ | 1 - ჩაღრმავებული ინტერვიუ |
| **არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან** | თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ | 2 - ჩაღრმავებული ინტერვიუ |
| **მუნიციპალიტეტში მომუშავე ახალგაზრდულ მუშაკები** | თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ | 2 - ჩაღრმავებული ინტერვიუ |

## კვლევის ინსტრუმენტები

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია განხორციელებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. კვლევის კითხვარი და სახელმძღვანელო შემუშავდა ერთობლივად ქ. ქუთაისის მერიის და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ. (კითხვარები იხილეთ დანართში).

### რაოდენობრივი კვლევა

**კვლევის პერიოდი:** 01/10/2022 – 09/11/2022

**შერჩევის ზომა.** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, წინასწარ შეთანხმებული კითხვარის საშუალებით, გამოიკითხა სამიზნე მუნიციპალიტეტში 500 რესპონდენტი - 110 რესპონდენტი- 14-დან 17-წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლე და 390 რესპონდენტი - 18-დან 29-წლამდე ასაკის ახალგაზრდა. გამოკითხვის დროს სრულიად დაცული იყო რესპონდენტების ანონიმურობა.

მონაცემების შეყვანა განხორციელდა SPSS-ის ბაზაზე შექმნილ სპეციალური პროგრამის ფორმატში. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია რიგი უპირატესობები, მათ შორის: შეყვანის შეცდომების მნიშვნელოვანი შემცირება (გადასვლები, კოდირების შკალები, კითხვების თანმიმდევრობა და ა.შ), დუბლირების ფუნქცია, რომლის საშუალებითაც ავტომატურად მზადდება დუბლირებული შეყვანის შედეგების ანგარიში.

შეყვანის შეცდომების იდენტიფიკაციისა და მონაცემების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით მოხდა დუბლირებული შეყვანა. ყოველი ოპერატორისათვის შემთხვევითი პრინციპით შეირჩა შეყვანილი კითხვარების 25% და მოხდა დუბლირება.

მონაცემთა გაწმენდა და გამომავალი სტატისტიკური ცხრილების მომზადება - მონაცემთა გაწმენდა მოხდა Syntax პროგრამირების ენით. განხორციელდა მონაცემთა დამუშავება კვლევის ამოცანების გათვალისწინებით და მომზადდა შესაბამისი სტატისტიკური ცხრილები.

### თვისებრივი კვლევა

**კვლევის პერიოდი:** 27/09/2022 – 05/10/2022.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა 14–17; 18-23 და 24-29 წლამდე ახალაზრდებთან, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა: არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტში მომუშავე ახალგაზრდულ მუშაკებთან, ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელთან და 14-29 წლამდე ახალგაზრდებთან, რომელბიც არ არიან ჩართულები არაფორმალური განათლების პროცესში, არ არიან დასაქმებულები და არც სწავლობენ.

თვისებრივი მონაცემების მოპოვების მიზნით სამიზნე მუნიციპალიტეტში 14 – 17 წლამდე სკოლის მოსწავლეებთან, 18 – 23 და 24 – 29 წლამდე ახალგაზრდებთან ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი წინასწარ შემუშავებული სახელმძღვანელოს გამოყენებით, 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდებთან, რომელბიც არ არიან ჩართულები არაფორმალური განათლების პროცესში, არ არიან დასაქმებულები და არც სწავლობენ, 2 ინტერვიუ ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, 2 ჩაღმავებული ინტერვიუ მუნიციპალიტეტში მომუშავე ახალგაზრდულ მუშაკებთან და 1 ინტერვიუ ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელთან. კვლევის სტანდარტის შესაბამისად მოხდა ჩაღმავებული ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების აუდიო ჩანაწერის განხორციელება, სადაც რესპონდენტთა ანონიმურობა სრულიად დაცულია.

მომზადდა ყველა ინტერვიუს ტრანსკრიპტი და განხორციელდა მონაცემთა დამუშავება ძირითადი ტენდენციების თვისებრივი ასპექტების გამოვლენის მიზნით.

<u>საველე სამუშაოების კონტროლი</u> - კონტროლის ჩატარება უზრუნველყო ხარისხის კონტროლის ოფიცრმა. კონტროლის პროცესის, მეთოდებისა და ვადების შესახებ ოფიცრებს ჩაუტარდებათ დეტალური ინსტრუქტაჟი. საკონტროლო სიის ფორმირებისათვის შეირჩა კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ჯამური რაოდენობის 10% თითოეული ინტერვიუერისათვის.

# ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში - სამაგიდე კვლევა

ახალგაზრდული პოლიტიკა გულისხმობს ფაქტიურად ყველა სამთავრობო უწყების აქტიურ ჩართულობას, ვინაიდან ის მულტისექტორულია - ახალგაზრდების ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებული უნდა იყოს საჯარო პოლიტიკის ყველა სფეროში. სახელმწიფო დაწესებულებები და სამთავრობო უწყებები პასუხისმგებელნი არიან ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაზე მათი კომპეტენციის ფარგლებში და მათ მიერ ახალგაზრდებთან დაკავშირებით განხორციელებულ ყველა სტრატეგიასა და პროგრამებზე.

საქართველოში, ახალგაზრდობის მიმართულებით მოქმედებს კანონი „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ (დანარჩენი საკანონმდებლო აქტები ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს მხოლოდ სხვა სფეროების კონტექსტში), რომელიც 1999 წელს იქნა მიღებული. მისი მთავარი მიზანია ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა და მის საფუძველზე 2000 წლიდან ხდება სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება. ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი პირველად მიღებულ იქნა 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით „ახალგაზრდობის სახელმწიფო მხარდაჭერის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“, თუმცა მისი პრაქტიკაში განხორციელება ვერ მოხერხდა. 2012 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, ხოლო 2014 წლის 2 აპრილს - მისი შესწორებული და გადამუშავებული რედაქცია დამტკიცდა განსაზღვრული პოლიტიკის წარმოებისათვის.

„საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ შესაბამისად დამტკიცდა მრავალი პროგრამები და პროექტები რომელთა განხორციელებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების გაძლიერებას და საფუძველი ჩაუყარა აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს სისტემურ მიდგომას. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ახალგაზრდების წინაშე კვლავ მწვავედ დგას არაერთი გამოწვევა, რომლებიც ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, განათლებას, დასაქმებას, რესურსებისა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობას უკავშირდება.

ახალგაზრდული პოლიტიკა სხვადასხვა სექტორს ეხება. ამდენად, სახელმწიფოს ამოცანაა ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანი მართვა და კოორდინაცია ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე. ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევათა უგულებელყოფა ქვეყნის განვითარებაზე დადებითად არ აისახება, კერძოდ, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და დემოგრაფიული კუთხით. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად პრობლემების მყისიერად გადაჭრისთვის, აგრეთვე სათანადო სახელმწიფო რესურსის 14–29 წლის მოზარდებისა და ახალგაზრდების ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისთვის საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა და დაამტკიცა „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“.

კონცეფცია ემსახურება:

ა) ახალგაზრდების ჯანმრთელობის დაცვისთვის, სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისთვის, მრავალმხრივი განვითარებისა და თვითრეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას;

ბ) საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველყოფას;

გ) ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის სრულყოფას.

კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად კონცეფცია განსაზღვრავს 5 სტრატეგიულ პრიორიტეტს (1. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა; 2. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა; 3. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; 4. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება; 5. ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეებზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სრულყოფა) და 22 მოსალოდნელ შედეგს, რომელთა შესრულებისთვის პასუხისმგებელი არიან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები. აღნიშნული მიზნების მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან, აგრეთვე სამოქალაქო და სხვა სექტორებში მოქმედ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

დღეს ევროპაში ხშირად გამოიყენება 15-დან 29 წლამდე ასაკობრივი დიაპაზონი. ევროკავშირის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა შესაძლებლობები ხელმისაწვდომია 13-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისთვის. ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორის აქტივობების უმეტესობა ხელმისაწვდომია 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისთვის. სტატისტიკური მიზნებისთვის, გაერო ახალგაზრდად 15-დან 24 წლამდე ასაკის ადამიანებს განსაზღვრავს.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი, ხოლო „ახალგაზრდა ოჯახად“ მიიჩნევა წყვილი, რომლებიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება და, ამასთანავე, ორივე პირი არის 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდა (საქართველოს მთავრობა, 2014 წ.). წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. განმარტებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, წინამდებარე ანგარიშში ხშირად იქნება მითითებული ასაკობრივი ჯგუფები: „14-18 წლის“, „19-23 წლის“ და „24-29 წლის“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ (საქსტატი), რომელიც წარმოადგენს სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ სახელმწიფო ინსტიტუტს, არ ხდება მოსახლეობის ასაკობრივი დაყოფა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად; საქსტატის მონაცემები მოიცავს 10-14, 15-19, 20-24 და 25-29 წლების ასაკობრივ ჯგუფებს. გამომდინარე აქედან, ახალგაზრდების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია ხშირად არასრულყოფილია.

საქართველოში, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, 14-29 ასაკობრივ ჯგუფი მთლიანი მოსახლეობის 17%-ს შეადგენს. 14-29 წლის ახალგაზრდები შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის მეხუთედს. ეს წილი ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის მოსახლეობა ნელ-ნელა ბერდება. ამის მთავარი მიზეზი არის დაბალი

ბუნებრივი ზრდის ტემპები და ემიგრაცია. სამწუხაროდ, ახალგაზრდები არიან პირველები, ვინც ტოვებენ ქვეყანას და ისინი ემიგრანტების ყველაზე დიდ წილს შეადგენენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო კარგად არ ახერხებს ახალგაზრდების პოტენციალის გამოყენებას. ქართველი ახალგაზრდები უმაღლეს განათლებას ამთავრებენ, განსაკუთრებით მაღალი განათლების მქონე ახალგაზრდა ქალთა წილი. თუმცა, განვითარების შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, ეს ახალგაზრდა გონება უკეთესი მომავლის საძიებლად სხვა ქვეყნებისკენ მიემართებიან.

| საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით 5 წლიანი ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით (ათასი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასაკობრივი ჯგუფები | **2018** | **2019** | **2020** | **2021** | **2022** | % ცვლილება |
| 15-19 | 208.6 | 205.8 | 205.4 | 204.9 | 204.8 | -2% |
| 20-24 | 224.7 | 220.6 | 218.3 | 216.0 | 209.5 | -7% |
| 25-29 | 273.3 | 262.5 | 249.1 | 237.4 | 219.8 | -20% |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

| მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (ათასი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **2018** | **2019** | **2020** | **2021** | **2022** | % ცვლილება |
| ქუთაისი | 141.0 | 138.2 | 135.2 | 134.4 | 129.3 | -8% |
| თბილისი | 1,158.7 | 1,171.1 | 1,184.8 | 1,202.7 | 1,201.8 | 4% |
| საქართველო | 3,729.6 | 3,723.5 | 3,716.9 | 3,728.6 | 3,688.6 | -1% |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

ახალგაზრდების საჭიროებების კვლევის პროცესში, ცალკე აღნიშვნა სჭირდება ისეთ ახალგაზრდების ჯგუფს, რომლებიც არ მუშაობენ, არ სწავლობენ და არც რაიმე სახის გადამზადების კურსი გაუვლიათ. ასეთი ჯგუფი NEET სახელითაა ცნობილი. უნდა აღინიშნოს, რომ NEET, როგორც ტერმინი, პირველად გამოიყენა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, როგორც 16-18 წლის ახალგაზრდების კეთილდღეობის შესაძლებლობებზე წვდომის მაჩვენებელი. შემდეგ უკვე მოხდა ამ ტერმინის პოლიტიკურ დონეზე გააზრება და გაიზიარეს ევროკავშირის სხვა წევრმა ქვეყნებმაც. შემდგომში NEET აღიარეს ინდიკატორად და ევროკავშირის ორგანიზაციები ახალგაზრდების მდგომარეობის მონიტორინგისა და შეფასებისათვის იყენებენ.

საქართველოში იმ ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებული და არ გადიან ტრენინგს/წვრთნას (NEET ახალგაზრდები) შეადგენს 30%-ზე მეტს, ევროპის ქვეყნებში კი იგივე მაჩვენებელი საშუალოდ 13%-ია. აღნიშნული ინდიკატორი ძირითადად უკავშირდება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც:

- ადრე ტოვებენ სკოლას;

- არიან უმუშევრები ან დემოტივირებულები, სამუშაოს დაკარგვის გამოცდილებისა თუ სხვა გარემოების გამო;
- ასევე სამუშაო ძალის გარეთ მყოფ ახალგაზრდებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შეზღუდული შესაძლებლობისა და თუ ოჯახზე ზრუნვის გამო.

| **15-29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEETs)** (%) | | |
|---|---|---|
| | **2020** | **2021** |
| **სულ** | **35.1** | **34.6** |
| ქალი | 38.4 | 37.3 |
| კაცი | 32.1 | 32.1 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

NEET ინდიკატორი სწორედ იმიტომ გახდა პოპულარული, რომ ყველა მოწყვლადი კატეგორიის ახალგაზრდის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების; დევნილების; სოციალურად დაუცველების, ეთნიკური უმცირესობების და ა.შ.) ერთი სახელისა და სტატისტიკის ქვეშ დაჯგუფების შესაძლებლობას აჩენს.




ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვენიასა და ლიტვაში ახალგაზრდების NEET მაჩვენებლები 10 პროცენტზე ნაკლებია. NEET-ის მაღალი მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ახალგაზრდები არ ახორციელებენ ინვესტიციებს საკუთარ ადამიანურ კაპიტალში და

არაპროპორციულად იმყოფებიან შრომის ბაზრის გამორიცხვის რისკის ქვეშ. განათლებიდან/ტრენინგიდან სამუშაოზე გადასვლა განსხვავებულია მამაკაცებსა და ქალებში. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მამაკაცების უმეტესობა სკოლიდან სამსახურში გადადის, ახალგაზრდა ქალების უმეტესობა უმოქმედოა და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ სწავლობს.

„2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია", რომელიც „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს" ეფუძნება, ცნობს ახალგაზრდებს, როგორც მნიშვნელოვან ძალას ქვეყნის მდგრადი, დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

„ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია" ახალგაზრდების პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებლად მიიჩნევს, სახელმწიფომ უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს და შეუქმნას მათ პირობები საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიური მონაწილეობისთვის. დოკუმენტის მიხედვით, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ახალგაზრდები დღეს კვლავ დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რაც განათლებას, დასაქმებას, რესურსებზე ხელმისაწვდომობას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართულობას და სხვა საკითხებს უკავშირდება. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ ქვეყნის განვითარების საკითხების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებებისა და მათი გამოცდილებების უკეთ გაგება.

მისი განხორციელება მოითხოვს ახალგაზრდების, სახელმწიფო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გარკვეული ვალდებულებების აღებასა და მათ შესრულებას, რომლებმაც წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს მოზარდების და ახალგაზრდობის კომპლექსური განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნის მიზნით, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ სრულად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და აქტიურად ჩაერთონ სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ცენტრალურ დონეზე ახალგაზრდულ საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციასა და საქმიანობების განხორციელებას ახდენენ სამინისტროები თავისი მიზნების ჭრილში. მათი ხელშეწყობით დარგობრივად ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა. ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა (მაგალითად, დანაშაულის პრევენცია, არაჯანსაღი ცხოვრების წესი, ახალგაზრდების დასაქმება) დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის, თუნდაც ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ძალისხმევით. აუცილებელია, მოქმედებდეს ყოვლისმომცველი და სექტორთა შორისი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა, რათა შესაძლებელი გახდეს ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების, ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის, ასევე, საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი აქტორების ძალისხმევის კოორდინაცია.

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში:

• როგორც წესი, სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან (ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ"). ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები კი

მოქალაქეებთან და მათ შორის, ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოვებული ინსტიტუტები არიან;

• ახალგაზრდების საჭიროებები და ინტერესები ხშირად განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვითაც კი და ისინი განსხვავებული მიდგომებისა და პროგრამების განხორციელებას საჭიროებენ;

• ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ რეგიონებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ;

• არსებობს ბევრი ისეთი მომსახურება და ვალდებულება, რომელთა კონტროლს და განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ;

• ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ისეთი პროგრამების და სერვისების განხორციელება, რომლებიც სრულად მოიცავს ქვეყანაში მცხოვრებ ახალგაზრდებს.

საქართველოს მთავრობა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციისთვის უზრუნველყოფს შესაბამისი მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას პოლიტიკურ (უწყებათაშორის) და ტექნიკურ (სამუშაო ჯგუფის) დონეებზე. ეს გულისხმობს როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ კოორდინაციას. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ახალგაზრდობის სააგენტო ხელს შეუწყობს კოორდინაციის მექანიზმის შემუშავებას, საქმიანობასა და ანგარიშგებას. საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი პასუხისმგებელია კონცეფციის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგისთვის.

2019 წლის სექტემბერში დაარსდა ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც სამთავრობო უწყებაა და თავის თავში აერთიანებს იქამდე არსებულ ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე სამ უწყებას: განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროში არსებული – ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი, სსიპ-ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ფონდი.

სააგენტოს ძირითადი მიზნები, როგორც ეროვნულ, ისე მუნიციპალურ დონეზე, არის:

ა) ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის, მათი პოტენციალის რეალიზებისა და საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;

ბ) ახალგაზრდული სფეროს, ახალგაზრდული საქმიანობისა და მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარება და მხარდაჭერა;

გ) ახალგაზრდებში სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინსტიტუციური მონაწილეობის ხელშეწყობა;

დ) ახალგაზრდებისთვის აქტუალურ მიმართულებათა შესაბამისად (გენდერული თანასწორობა, გარემოს დაცვა, ცხოვრების ჯანსაღი წესი და სხვა), ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;

ე) არაფორმალური და ფორმალური გარე განათლების განვითარება, ახალგაზრდული ეკონომიკის გაძლიერება, ახალგაზრდებისთვის ხელსაყრელი სტარტაპ-ეკოსისტემის შექმნა, მათი ინიციატივების მხარდაჭერა, ახალგაზრდების დასაქმებისა და ახალგაზრდების სწავლიდან დასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით;

ვ) ახალგაზრდულ სფეროსთან მიმართებით, ყველა დონეზე სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უზრუნველყოფა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დაამტკიცა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო. სააგენტოს მიზანია მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობა.

სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებებია:

- შრომის ბაზრის მომსახურებების გაწევა

საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების მიმდინარე და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენის მიზნით, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, განხორციელება და ანალიზი; დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება; სამუშაოს მაძიებლებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა;

- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ღონისძიებათა ორგანიზება, განხორციელება ან/და განხორციელებაში მონაწილეობა;
- დასაქმების ფორუმების ორგანიზება ან/და ორგანიზებაში მონაწილეობა;
- და სხვ.

რაც შეეხება თვითმმართველი ორგანოების კომპეტენციას ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში, ის გაწერილია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ (მუხლი 16, პუნქტი 4). კანონი ადგენს, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ღონისძიებები ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. კოდექსის მიხედვით, ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება არ წარმოადგენს თვითმმართველი ორგანოების ვალდებულებას, თვითმმართველობა თავად იღებს გადაწყვეტილებებს გაატაროს ან არ გაატაროს რაიმე ღონისძიება.

ახალგაზრდულ საქმიანობაში მუნიციპალიტეტებს ცენტრალური როლი ენიჭებათ. ადგილობრივ დონეზე, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ რესურსების აკუმულირება საკუთარი შეხედულებისამებრ, მაგრამ მათ რეგულარულად უნდა შეაფასონ სერვისები ახალგაზრდებთან ერთად.

დღევანდელი მონაცემებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებს კურირებს მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, რომელიც ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილებაა. სამსახურს აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში, საიდანაც ახდენს სამიზნე აუდიტორიისთვის მიმდინარე აქტივობების, ღონისძიებების, პროექტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ახალგაზრდობის პოლიტიკის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი უწყების/კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების წყარო ადგილობრივი ბიუჯეტია.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ შორის 2020 წლის 15 აპრილს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. 2020 წლის აგვისტო-ოქტომბერში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა, რომლის მიხედვით გამოიკვეთა სტრატეგიის 6 მიზანი:

- სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;
- ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება;
- ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა;
- ახალგაზრდებისთვის არაძალადობრივი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება.

2022 წლის ოქტომბერში, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებული პროექტის „ახალგაზრდული ინიციატივების ფარგლებში“ დამტკიცდა ქუთაისის ახალგაზრდული საბჭო, რომლის მიზანიცაა მონაწილეობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება და საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის მხარდაჭერა.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს რიგ პროგრამებსა და სერვისებს, როგორებიცაა:

- **„ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“.**

კონკურსის მიზანია ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მათი ინოვაციური ინიციატივების მხარდაჭერა. პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს. პრიორიტეტი მიენიჭება ახალგაზრდულ პროექტებს შემდეგი მიმართულებით: 1. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა; 2. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება; 3. ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა; 4. ახალგაზრდებისთვის არაძალადობრივი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა; 5. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა; 6. ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება; 7. საგანმანათლებლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი პროექტების წახალისება; 8. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის მხარდაჭერა;

- **ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა.**

მასში მონაწილეობა 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდებს შეუძლიათ. ბანაკი საგანმანათლებლო ხასიათისაა და სხვადასხვა აქტუალურ თემატიკაზე უტარდებათ ახალგაზრდებს ტრენინგ-სემინარები. ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის მიზანია ახალგაზრდების გააქტიურება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის გაზრდა.

- **ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები,**

როგორიცაა „ახალგაზრდული ფორუმი“. ღონისძიების მონაწილეები განიხილავენ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდულ სტრატეგიებს, ახალგაზრდული საქმიანობის მნიშვნელობასა და მიდგომებს. ახალგაზრდებისთვის იმართება ახალგაზრდული მუშაკების მიერ დაგეგმილი სხვადასხვა თემატიკის აქტივობები: ლიდერობა, გუნდურობა, ეფექტური კომუნიკაცია, მეწარმეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ინიციატივების და იდეების გაზიარება.

- **საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა;**
- **ახალგაზრდული როკ მუსიკის ფესტივალი;**
- **მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა;**

- **ახალგაზრდული მუშაკის გადამზადების პროგრამა;**
- **საინფორმაციო/შემეცნებითი ტურის მოწყობა ქუთაისელი ახალგაზრდებისთვის;**
- და სხვ.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი და ჩართულობა, რომელთა ძირითადი მიზანია ახალგაზრდების ხელშეწყობა სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებით. დღეის მდგომარეობით ძირითადად ამ სექტორშია თავმოყრილი სფეროში არსებული ადამიანური რესურსები და ექსპერტიზა და ამ თვალსაზრისით, ის საკმაოდ ძლიერია. თუმცა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს არ გააჩნიათ წვდომა საკმარის რესურსებთან, მათი საქმიანობა მეტწილად საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერას ემყარება და შესაბამისად, მცირეა მათი მოქმედების არეალი და მასშტაბები.

Csogeorgia.org-ის მონაცემებით, იმერეთის რეგიონში ფიქსირდება 156 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. მათგან 77 ორგანიზაცია მუშაობს ახალგაზრდებისა და ბავშვების საკითხებზე, 79 ადამიანის უფლებების საკითხებზე; 72 - საგანმანათლებლო საკითხებზე; 61 - სოციალურ საკითხებზე. მათი ძირითადი ნაწილი დაფუძნებულია ქალაქ ქუთაისში. აქტიურობით და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საკითხების ადვოკატირებით გამოირჩევიან ისეთი ორგანიზაციები როგორებიცაა: ქუთაისის ახალგაზრდული ცენტრი; EDEC; RICDOG; ახალგაზრდული ჰორიზონტი; LDA; ა/ო უფლებებისა და განათლებისათვის; ნათელი მომავალი და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა ახალგაზრდულ პოლიტიკაში. მათი ინიციატივითა და მხარდაჭერით განხორციელდა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პროექტი თუ რეფორმა და მათ განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით სფეროს განვითარებაში.

ქუთაისში ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები, როგორებიცაა:

- ქუთაისის ამერიკული კუთხე - აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული მცირე, ამერიკული სტილის საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებიც მდებარეობს ადგილობრივ ბიბლიოთეკებსა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ამერიკული კუთხეების საქმიანობა პარტნიორობაზეა აგებული. ამერიკული კუთხეების მიზანია, ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას ქართველ და ამერიკელ ხალხებს შორის ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდებით. ამერიკული კუთხეები ხელმისაწვდომი და ღიაა საქართველოს ნებისმიერი ასაკის მოქალაქისთვის.
- კოლეჯ "იბერიის" ბაზაზე ახალგაზრდული სივრცე - აღნიშნული სივრცის გახსნა განხორციელდა ახალგაზრდულ სააგენტოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით. ახალგაზრდული სივრცეების კონცეფციის სწორად და მიზნობრივად დაგეგმვისთვის სააგენტომ პირველადი ტექნიკური აღჭურვილობა და ექსპერტული დახმარება გამოყო.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ახალგაზრდების საჭიროებების არაერთი მასშტაბური და მნიშვნელოვანი კვლევაა განხორცილებული საქართველოში. მათი მიგნებები კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად  წარმოადგნენ მნიშნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც იძლევიან საშუალებას სხვადასხვა ჭრილში მოხდეს ანალიზი არსებული სიტუაციის უკეთესი შეფასებისთვის. ქვემოთ მოცემულია ყველა იმ კვლევის ჩამონათვალი, რომელთა მოძიება შესაძლებელია ელექტრონულად და ღიაა მოხმარებისათვის.

- ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში, UNICEF საქართველო, 2014 წელი
- თაობა გარდამავალ პერიოდში, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2016
- YOUTH TRANSITION TO WORK IN GEORGIA, European Training Foundation, 2018
- ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის, შრომითი ბაზრის ანალიზი 2018-2019; Connectio, 2018
- ახალგაზრდები, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს/წვრთნებს (NEET), საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2019 წელი
- ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა, LDA, 2019
- ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივ დონეზე: იმერეთი და თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2020
- ახალგაზრდების საჭიროებები, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების კვლევა- ქუთაისის მუნიციპალიტეტი, ახალგაზრდობის სააგენტო, 2020
- ახალგაზრდების ღირებულებები და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021

# კვლევის შემაჯამებელი დებულებები

**ინფორმაციის მიღების წყაროები და საშუალებები**

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არის სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, Twitter, Tik-Tok).
- რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ზოგადად ინფორმაციის მიღების წყაროები და სიხშირეები ყველა ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირია. ისინი ყველაზე მეტად ინფორმაციას იღებენ სამეგობრო წრეებიდან (60%), სოციალური ქსელებიდან (65%) და ზოგადად ინტერნეტიდან (56%). ამ ჯგუფებისთვის ინფორმაციის გავრცელების ისეთი არხების გამოყენება, როგორებიცაა ტელევიზია, მოკლე ტექსტური შეტყობინებები ან საინფორმაციო შეხვედრები ნაკლებად ეფექტიანია, რადგან ან სარგებლობენ ამ პლატფორმებს როგორც საინფორმაციო წყაროებს ან ზოგადად ინტერესი დაბალი აქვთ ასეთი გზით ინფორმაციის მიღების.
- ხშირად ისინი ინფორმაციას იღებენ ან მაშინ როდესაც აქტივობა ჩატარებულია და ისინი მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ, ან ღონისძიების ჩატარების თარიღამდე ძალიან მოკლე დროში, რის გამოც ვეღარ გეგმავენ მონაწილეობას (თვისებრივი კვლევა).
- ახალგაზრდების უმეტესმა ნაწილმა, რომლებმაც თქვეს რომ იცის შესაძლებლობების შესახებ და მიიჩნევს რომ ჩართულობა ნაკლებად ხდება, გამომწვევ მიზეზად და ბარიერად ძირითადად ინფორმაციის ნაკლებობას (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 34%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 30%) და ახალგარზდებში ინტერესის დაბალ დონეს ასახელებენ (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 20%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 29%).
- სკოლის დონეზე გამოიკვეთა სამოქალაქო საგნის მასწავლებლების მეტად ჩართულობის აუცილებლობა, სწორედ ახალგაზრდული საქმიანობების პოპულარიზაციისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მხრივ; ასევე სკოლისა თუ სხვა სასწავლებლებში კადრის არსებობა/დამატება, რომელიც უშუალოდ ინფორმაციის გავრცელებაზე იქნება პასუხისმგებელი (თვისებრივი კვლევა).
- ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელიც განათლების და გადამზადების მიღმაა, და ასევე არ არის დასაქმებული, ხშირად რჩებიან ინფორმაციულ ვაკუუმში, რადგან ისინი არ არიან რომელიმე პლათფორმის ან ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის ნაწილი (თვისებრივი კვლევა).

**სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობა**

- 14-17 წლის ჯგუფში მოსწავლეების 25%-მა განაცხადა რომ მრავალფეროვანი შესაძლებლობები არსებობს ადგილობრივად არაფორმალური განათლების მომართულებით, ხოლო 18-29 ასაკობრივ ჯგუფში 66 %-მა განაცხადა, რომ მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია მსგავსი შესაძლებლობები მათთვის. აღნიშნული მიუთითებს 14-17

წლის ახალგაზრდები ჩართულობის დონის უფრო მეტ მაჩვენებელზე ვიდრე ეს უფროსი ასაკის ჯგუფში გვაქვს.

- თვისებრივი კვლევის შედეგად, რესპონდენტებმა განაცხადეს რომ გარკვეული განსხვავებებია ასაკობრივ ჭრილებში, კერძოდ, სკოლი მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ გააზრებული არაფორმალური განათლების საჭიროება და მეტად ორიენტირებულები არიან ფორმალურზე, ხოლო მაღალი ასაკის ახალგაზრდებში არაფორმალური განათლება მეტად აქტუალურია, რადგან გააზრებული აქვთ რომ უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესება მათთვის მნიშვნელოვანი და პოზიტიური გავლენის მომტანია. რესპოდენტების აზრით, სწორედ არაფორმალური განათლებაა ის მიმართულებაა, რაზეც ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ზრუნავდეს.
- თვისებრივი კვლევის შედეგად, რესპოდენტებმა განცხადეს რომ ახალგაზრდის მოტივაციისთვის აუცილებელია მან დაინახოს შედეგი, ან გაესაუბროს წარმატებულ მონაწილეს, ან გაეცნოს მეტ წარმატების ისტორიას, რათა მან გაიაზროს, რომ მისი ჩართულობა რაიმე სახის ღონისძიებასა და თუ აქტივობაში სამომავლოდ დაფასდება. მოტივაციის წყაროდ ხშირად დასახელდა სერთიფიკატები, ვაუჩერები ან სხვა სახის ჯილდოები.
- რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდების ჩართულობა არასახარბიელოა. თუმცა ახალგაზრდული საბჭო, რომელიც ახალი შექმნილია, ძალიან კარგი მექანიზმია ახალგაზრდების საჭიროებების და პრობლემების წარსადგენად ადგილობრივ თვითმართველობასთან.
- ქუთაისის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების (ორივე ასაკობრივ ჯგუფში) გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (60% და მეტი) არასდროს მიუღეია მონაწილეობა ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა: ჰაკათონები, ტექნოლოგიური ფესტივალები, საზაფხულო და ზამთრის სკოლები, შშმ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებები და გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები.
- 14 -17 წლის ასაკობრივ ჯგუფი უფრო აქტიურად არის ჩართული ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა: ინტელექტუალური შეჯიბრებები (25%), კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში (27%), გარემოს დაცვითი აქტივობები (20%).
- თითქმის ერთნაირი ჩართულობის მაჩვენებლები ინტენსივობის მიხედვით (ორივე ასაკობრივ ჯგუფში) ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა: მოხალისეობრივი საქმიანობები, სპორტული აქტივობები, ფორუმები, გამოფენები, ახალგაზრდული ბანაკები, სამოქალაქო აქტივობები და საინფორმაციო შეხვედრები.
- გამოკითხულთა მხოლოდ 13%-ს აქვს ანაზღაურების გარეშე შესრულებული საქმიანობა, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საზოგადოებრივ საქმიანობებს, ან სპორტული აქტივობის ორგანიზებას - 10%.
- ჩამოთვლილი აქტივობებისა და ღონისძიებების ძირითად ორგანიზატორებად ახალგაზრდებში დასახელდნენ მუნიციპალიტეტის მერია (18-29 ასაკობრივი ჯგუფი 56%, 14-17 ასაკობრივი ჯგუფი 41%) და არასამთავრობო ორგანიზაციები (18-29 ასაკობრივი ჯგუფი 52%, 14-17 ასაკობრივი ჯგუფი 39% ), რაც ასევე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რომ სწორედ ეს ორი სექტორი, ხშირად ურთიერთთანამშრომლობით აქტიურობენ და ქმნიან ახალგაზრდულ შესაძლებლობებს ადგილობრივ დონეზე.

- 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდებს უნდა დაესახელებინათ, ნებისმიერი ინიციატივა ანდა ბიზნესიდეა პროექტის სახით თუ დაუწერიათ, რამდენჯერ და რა საკითხზე. რგორც გამოკითხვამ გვაჩვენა, 82% განაცხადა რომ ასეთი გამოცდილება არ გააჩნია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქუთაისში ახალგაზრდების ჩართულობის დაბალ დონეს. გამოკითხულმა 14 % განაცხადა რომ დაწერა მხოლოდ ერთი, 2-3 ან 3-ზე მეტი ინიციატივა. ყველაზე მეტად დასახელებულ საკითხებს შორის რაზეც ახალგაზრდებმა ინიციატივები შეიმუშავეს ეხებოდა: სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებას (9%); გარემოს დასუფთავებას (10%); ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას (10%); სტარტაპი/ბიზნეს იდეა (28%).
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ქონდათ მიღებული მონაწილეობა მსგავს პროგრამებში. მათი შეფასებით, ინიციატივების დამუშავებისა და წარდგენის პროცესში გადააწყდნენ რიგ პრობლემებს, რაზეც მათ არ ქონდათ მზაობა და ცოდნა. ძირითადად ეს პრობლემები დაკავშირებული იყო პროექტის წერის უნარებთან, ბიუჯეტირებასთან და მოთხოვნილი დოკუმენტების სრულფასოვნად შევსებასთან.
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეების შეფასებით, ახალგაზრდების უმეტესობა საერთაშორისო პროექტებში ინიციატივები წარდგენისგან თავს იკავებს, რადგან საკუთარი შესაძლებლობების არ ჯერათ და ფიქრობენ, რომ მათი ინიციატივა არასდროს გაიმარჯვებს.
- როგორც ზოგადი მიმოხილვისას განვიხილეთ, მოხალისეობრივი საქმიანობა შეფასდა როგორც „მნიშვნელოვანი“ ყველა ასაკობრივ ჭრილში. გარდა მოხალისეობრივი საქმიანობისა, ახალგაზრდები ხშირად თავისი ინიციატივით, დამსაქმებლისგან მიღებული შემოთავაზებით, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაინტერესებით ან რაიონში, უბანში რაიმე სახის აქტივობის განმახორციელებლის მიერ დაინტერესებით ერთვებიან მათთვის საინტერესო აქტივობაში. რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდების უმრავლესობას (43%) ნებაყოფლობით ან/და ანაზღაურების გარეშე არცერთ მსგავს აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია.
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით მოხალისეობის და მოხალისეობრივი საქმიანობების მნიშვნელობა და ცნობიერება ჯერ კიდევ ძალიან დაბალია საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მათი შეფასებით, ახალგაზრდები ძალიან სკეპტიკურად არიან განწყობილები მოხალისეობრივი საქმიანობების განხორციელების მხრივ. ასეთი ტიპის საქმიანობები უფრო სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვისაა საინტერესო, ვიდრე 18 წლის ზემოთ ახლაგაზრდისათვის. ძირითადად ეს ხდება მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან უკვე ამ ასკის ახლაგაზრდები არ ფიქრობენ შემოსავლის მიღებაზე, მოხალისეობრივი საქმიანობების კი ანაზღაურების გარეშეა.
- თვისებრივი კვლევის რესპონდენტების შეფასებით აუცილებელია მოხდეს აღიარება მოხალისეობრივი საქმიანობის. მოხალისემ საქმიანობა განახორციელა მისი ინიციატივით თუ რომელიმე ორგანიზაციის აქტივობის ფარგლებში, ამის აღიარება უნდა მოხდეს. მოხალისემ უნდა იცოდეს რომ მის საქმიანობას მოყვება დაფასება, რაიმე დოკუმენტი ან შეთავაზება. რესპოდენტები რეკომენდაციით, მოხალისეობრივი კულტურა ზოგადად ქვეყნის მხრიდან არის შესაცვლელი და ცხადია ეს ახალგაზრდებზე მოახდენს გავლენას.

- კვლევამ აჩვენა რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რადგან 14-17 ასაკობრივ ჭრილში 27%-მა ხოლო 18-29 წლის ჭრილში 45%-მა განაცხადა რომ ასეთ აქტივობაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. თუმცა დანარჩენი პასუხებით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდებში უფრო მეტად პოპულარული სპორტული აქტივობები და სახეობებია კალათბურთი; ფეხბურთი და ფრენბურთი.
- 18-29 ასაკობრივ ჯგუფში ბოლო ერთი წლის განმავლობაში კულტურულ შემოქმედებით და საგანმანათლებლო ჩამოთვლილ არცერთ ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიუღია გამოკითხულთა 24%; თუმცა, გამოკითხულთა 27%-მა განაცხადა რომ მონაწილოება ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღო ტრენინგებსა და სასწაბლო კურსებში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ახალგარზდების ინტერსესს ამ უკანასკნელის მიმართ.
- თვისებრივი კვლევის შედეგად, რესპონდენტებმა განაცხადეს რომ მუნიციპალიტეტის პროგრამები უფრო მეტად განათლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და სწორედ ამ მიმართულებით უნდა იხარჯებოდეს თანხები. თვითმართველობის წარმომადგენლებმა უნდა შეუწყონ ხელი დაინერგოს ისეთი პლატფორმები, რომ უკეთესი კომუნიკაცია შედგეს მას და ახალგაზრდებს შორის.
- ახალგაზრდული მუშაკების ინსტიტუტის მიმართ სწორი დამოკიდებულების ფორმირების ხელშეწყობა. კვლევის შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა რომ თვით ტერმინიც და მისი შინაარსიც არასათანადოდ ესმით რიგ შემთხვეებში 14-17 და 18-29 წლამდე ახლაგაზრდებს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის სათანადოდ ინფორმირება, წარმატების ისტორიების გაზიარება და ამ ფორმით მათი დამოკიდებულებების შეცვლა.
- ახალგაზრდული მუშაკის ინტიტუტის - როგორც საშუალების ამოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. რამდენადაც ახალგაზრდული საქმიანობა გამჭოლი და მულტი სექტორულია, მნიშვნელოვანია რომ შესაბამისი აქცენტები არსებობდეს ყველა საჯარო უწყებების მიზნობრივ პროექტებსა და პროგრამებში.

**ახალგაზრდული საქმიანობები**

- თვისებრივი კვლევის რესპონდენტების აზრით სივრცეების არსებობა აუცილებელია, რათა ახალგაზრდებმა მოახდინონ ინტეგრირება არაფორმალური და ფორმალური აქტივობების. მათ აღნიშნეს, რომ ქუთაისში არსებობს გარკვეული სივრცეები, როგორიცაა კოლეჯ იბერიაში არსებული სივრცე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციების სივრცეები, თუმცა აქვე დასძინეს რომ მათი გამოყენების ტენდენცია დაბალია სხვადასხვა მიზეზები გამო (მანძილი, კეთილმოწყობა, სიდიდე, დროითი შეზღუდვა, სხვ,).
- კვლევის თანახმად, ადგილები სადაც ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ გართობისა და დასვენების მიზნით არის კაფე-ბარი (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 94%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 98%)., კინო (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 90%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 98%)., რესტორანი(18-29 ასაკობრივ ჯგუფში 95%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 97%). და სარეკრეაციო ზონები(18-29 ასაკობრივ ჯგუფში 85%, 14-17

ასაკობრივ ჯგუფში 97%).. რაც შეეხება რამის კლუბს, რათქმაუნდა ის მეტად პოპულარული და ხელმისაწვდომი 18 -ის ზემოთ ახალგაზრდებისთვისაა.

- 14-17 ახალგაზრდების გართობისა და დასვენების დასახელებული ადგილებიდან მაღალი ხელმისაწვდომობით გამოირჩევა კაფე-ბარი 30%, რესტორანი 28%, კინო 30% და სტადიონი/სათამაშო მოედნები 28%.
- 18-29 ახალგაზრდების გართობისა და დასვენების დასახელებული ადგილებიდან მაღალი ხელმისაწვდომობით გამოირჩევა ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი 31%, კაფე-ბარი 28%, რესტორანი 26%, კინო 25% და სტადიონი/სათამაშო მოედნები 27%.
- ახალგაზრდებმა თავიანთ უბანში არსებული დასვენებისა და გართობის მდგომარეობის შეფასებისას შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო (23%) და ნაგვის ურნები (15%) შეაფასეს ,,როგორც" ცუდი.

**ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა**

- ალკოჰოლის დიდი ოდენობით მოხმარება, მარიხუანას მოხმარება და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დაასახელეს უმწვავეს პრობლემებად თვისებრივი კვლევისას. შედეგად, რესპონდენტებმა განაცხადეს რომ ჯანსაღ ცხოვრებასთან დაკავშირებული აქტივობების გახორცილება აუცილებელია და შეიძლება მოიცავდეს სპორტის პოპულარიზაციას, კლუბების შექმნას სკოლებში, პარა სპორტის დანერგვა, და რათქმაუნდა არაფორმალური განათლების კუთხით უნდა ხდებოდეს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება.
- თვისებრივი კვლევის რესპოდენტების შეფასებით, ქალაქი ახალგაზრდებს ვერ სთავაზობს, ჯანსაღი ცხოვრების წესის წამახალისებელ ინფრასტრუქტურას, მოუწესრიგებელია არსებული ველო-ბილიკები. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალაქში ბევრი სპორტული ღონისძიება იმართება, რომელიც დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტით, რასაც დადებითად აფასებენ, თუცა მათი აზრით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია არ ხდება ახალგაზრდების ფართო ჯგუფებში ადრეული ასაკიდანვე.
- 18-29 ასაკობრივ ჭრილში რესპოდენტებს შორის გაიზომა მათი დამოკიდებულება ცხოვრებისთვის მავნე ჩვევების მიმართ, როგორებიცაა ალკოჰოლის მოხმარება, თანმბაქო, მარიხუანა და აზარტული თამაშები. ახალგაზრდებმა აკრძალვის კომპონენტის შემოღება მნიშვნელოვნად მიიჩნიეს აზარტული თამაშებისა და მარიხუანას მიმართ. თითქმის ყველა გამოკითხულმა გამოავლინა საკუთარი დამოკიდებულება და ნეიტრალური პოზიცია არ დაიკავა, რაც იმაზე მიუთითებს რომ ახალგაზრდებს ეს საკითხები აღელვებთ და გათვითცნობიერებული აქვთ მათი ზეგავლენა ცხოვრებაზე. შედეგად გამოვლინდა რომ, ზოგადი შეფასებით ყველაზე მაღალი წონა მიიღო აზარტული თამაშების აკრძალვამ (69%), შესაბამისად ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ აღნიშნული აქტივობა უარყოფითად მოქმედებს მათი თანატოლების ცხოვრების წესზე და ამ მიმართულებით მეტი საინფორმაციო კამპანიების ჩატარებაა საჭირო.

**ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა**

- ფოკუს ჯგუფის რესპოდენტების მოსაზრებით, აუცილებლობას წარმოადგენს კარიერული დაგეგმვის კადრის ყოლა სკოლაში, განსაკუთრებით იმ დროს როდესაც მოსწავლე აბიტურიენტი ხდება, ან 9 კლასს ამთავრებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ უნივერსიტეტი ერთადერთი გამოსავალი არაა, და უნდა დაეხმარონ საკუთარი შესაძლებლობის აღმოჩენაში.
- რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდებში ჯერ კიდევ არის იმის ილუზია, რომ უნივერსიტეტის დამთავრება მათ გარანტირებულ სამსახურს აპოვნინებს. სწორედ ამიტომ, რესპოდენტები მიიჩნევენ მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზებას მნიშვნელოვნად, და თვლიან რომ ახალგაზრდა ამ პროცესში შეძლებს მეტად გამოცადოს საკუთარი თავი, გაიგოს უამრავი პროფესიის, ინტერესთა ჯგუფების და შესაძლებლობების შესახებ, მით უმეტეს რომ უნივერსიტეტები სტუდენტებს პრაქტიკულ გამოცდილებას ვერ სთავაზობენ.
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი და საწავლო კურსებით დაინტერესება 18-29 ასაკობრივ ჯგუფში საშუალოზე მაღალია და მხოლოდ 25%-მა განაცხადა, რომ არასდროს მიუღია მონაწილეობა.
- NEET ჯგუფის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „რაღაც აქტივობები ხდება, სადაც შესაძლებელია გადამზადება“ თუმცა სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობენ. მათი თქმით, ინფორმაციის ქონის შემთხვევაში, ისინი მზად არიან მიიღონ მონაწილეობა უფასო გადამზადების პროგრამებში და განსაკუთრებით მოთხოვნადი პროფესიების შესწავლის პროგრამებში, როგორიცაა მაგალითად გრაფიკული დიზაინი, კომპიუტერული მეცნიერებები და მისთ.
- 18-29 ასაკობრივ ჯგუში 34% -მა განაცხადა რომ, სტაჟირება/პრაქტიკა არასდროს გაუვლია.
- კვლევის ფარგლებში მონაწილე რესპოდენტებმა მოახდინეს საკუთარი უნარებისა და თვისებების შეფასება, როგორებიცაა: კითხვის დასმა, დამაჯერებელი მსჯელობა, არგუმენტებისწარმოდგენა, სხვების აზრის მოსმენა და გაზიარება, დებატების წარმართვა და საწინააღმდეგო აზრის თავისუფლად და პოზიტიურად გამოხატვა. 14-17 ასაკობრივ ჭრილში, ახალგაზრდები თვლიან რომ დასახელებულ ყველა უნარსა და თვისებას ფლობენ; 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი ძირითადად ახალგაზრდები მიიჩნევენ რომ გასაუმჯობესებელი აქვთ ეს უნარები, რადგან მათი ზოგადი შეფასებით ეს თვისებები „ნორმალურად“ განვითარებული აქვთ.
- 18-29 წლის ახალგაზრდებმა შეაფასეს, რამდენად საკმარისია თავიანთი ცოდნა და უნარები დასასაქმებლად. უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ გარკვეული ცოდნა აქვთ, თუმცა საჭიროებენ გადამზადებას 46%. კვლევის შედეგების მიხედვით, შრომითი რესურსების დაქირავების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ბაზარზე საჭიროა გარკვეული ზომების მიღება არსებული პოლიტიკის კუთხით.
- 18-29 წლის ახალგაზრდებში საშუალოდ 10% მიიჩნევს, რომ მათ უნარების გაზრდა საერთოდაც არ ჭირდებათ. მთლიანობაში დასახელების სიხშირით ყველაზე მოთხოვნადია ისეთი უნარების განვითარების შესაძლებლობა, როგორებიცაა: პიროვნული განვითარება (13%), დროის მენეჯმენტი (13%); ენის კურსები (10%), ხოლო ყველაზე

დაბალი მოთხოვნით ხასიათდება: გადაწყვეტილების მიღების უნარი (0.8%), ადაპტაცია სიახლეების მიმართ (0.9%) და კომფლიქტების მოგვარება (1.3.%).

- 18-29 ასაკის რესპოდენტებმა, კითხვაზე „რამდენად გსურთ სხვა ქვეყანაში გადასვლა საცხოვრებლად“, 35% -მა უპასუხა რომ გარკვეულწილად, ხოლო 28%-მა რომ არცერთ შემთხვევაში.
- კითხვაზე, თუ რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც გსურთ საქართველოდან წასვლა, ახალგაზრდას უნდა დაესახელებინა სამი მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება. შედეგად, 19-29 ასაკობრივ ჭრილში, პირველი სამი ძირითადი მიზეზი დასახელდა: „საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ (30%); „დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა“ (23%); და „უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობა“ (18%).
- რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული 18-29 წლის რესპოდენტების 14% მუშაობს სრული განაკვეთით, ხოლო 8% მუშაობს ნახევარი განაკვეთით. კითხვაზე, უცდიათ თუ არა გასული ერთი წლის განმავლობაში სამსახურის მოძიება, უმრავლესობამ - 43%-მა განაცხადა რომ „დიახ, მაგრამ ვერ მოვიძიე ჩემთვის მისაღები ვარიანტი“, ხოლო 27%-მა „ დიახ, და დავსაქმდი“. დანარჩენი ან ვერ დასაქმდა ან არ არის დასაქმებით დაინტერესებული. გენდერულ ჭრილში, გაცემული პასუხების წონა თითქმის ერთნაირია, რაც ნიშნავს რომ დასაქმების მხრივ ახალგაზრდები ერთნაირი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე დგანან.
- 18-29 წლის 22% -ის რესპონდენტების მოსაზრებით, ყველა იმ ფაქტორს შორის, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების დასაქმებაზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტურია ნაცნობების მეშვეობით დასაქმებაა.

**ახალგაზრდებს შორის არსებული პრობლემები და გამოწვევები**

- 18-29 წლის ახალგაზრდებს დაესვათ შეკითხვა თუ რა არის ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც უშუალოდ ეხება ან ახასიათებს კონკრეტულად ახალგაზრდებს ქალაქ ქუთაისში. ყველაზე მეტად გამოწვევად და პრობლემად დასახელდა დასაქმება 21%, განათლების ხარისხი 13%, მიგრაცია 13% და სოციალურ -ეკონომიკური მდგომარეობა 12%.
- 14-17 ასაკობრივ ჭრილში ყველაზე მწვავე საკითხად, რომელიც მათთვის გამოწვევას წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (15%) და განათლებაზე ხელმისაწვდომობაა (15%). მნიშნელოვანია, რომ სკოლის ასაკის ახალგაზრდებში გამოწვევად და შესაბამისად მათი ინტერესის სფეროს არაფორმალური განათლება წარმოადგენს.
- კვლევის შედეგებით უფრო თვალსაჩინო გახდა ის გამოწვევები, რის წინაშეც ახალგაზრდები დგანან პირადი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების კუთხით. საერთო შეფასებით, დასახელებული საკითხები ყველა ასაკობრივ ჭრილში ახალგაზრდებისთვის ზოგადად მნიშვნელოვანია, თუმცა გამორჩეულად ოჯახი წარმოადგენს ყველაზე მყარ სოციალურ კონსტრუქციას (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 91%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 95%).

- მნიშვნელოვნად მაღალი შეფასებით ყველა ასაკობრივ ჭრილში ერთად დასახელდა განათლების მიღება და ხელმისაწვდომობა (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 56%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 98%). ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ მათი კეთილდღეობისთვის, განვითარებისათვის და თვითდამკვიდრებისათვის აუცილებელია ჰქონდეთ განათლება, ჰქონდეთ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, იყვნენ მეტად პასუხისმგებლიანები თავიანთი ცხოვრების მიმართ. ზოგადად ისინი თვლიან, რომ თვითგანვითარებაზე ზრუნვა აუცილებელია და მათ შორის „უნივერსიტეტის დამთავრება“-ც მნიშვნელოვანი საფეხურია მათი უკეთესი მომავლისთვის (18-29 ასაკობრივ ჯგუფში 66%, 14-17 ასაკობრივ ჯგუფში 84%).

**არსებული მუნიციპალური პროგრამების შეფასება**

- 14-17 ასაკობრივ ჯგუფის რესპონდენტებს ყველაზე მეტად სმენიათ ,, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა“ 50%, ახალგაზრდული როკ მუსიკის ფესტივალი 80%, მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა 55%. რესპონდენტებმა, რომლებსაც სმენიათ დასახელებული მუნიციპალური პროგრამები შეაფასეს, როგორც კარგი ან დამაკმაყოფილებელი. კითხვაზე, თუ რამდენად თვლიან რომ ასეთი ტიპის პროგრამები და სერვისები არსებობდეს, 97% განაცხადა რომ დიახ, უნდა არსებობდეს.
- რაც შეეხება, უფროსი თაობის ასაკის, 18-29 წლის ჭრილში, პროგრამების შესახებს ცნობიერების დონე საკმაოდ მაღალია, ყველა პროგრამაზე და სერვისზე უმრავლესობამ განაცხადა რომ მისთვის ცნობილია ეს პროგრამა. თუმცა ხასგასასმელია ის გარემოება, რომ პასუხი ,,მსმენია“ არ გულისხმობს, რომ რესპონდენტს მონაწილეობა მიუღია, ან სრულყოფილად ფლობს პროგრამების შესახებ ინფორმაციას.
- რაოდენობრივი კითხვარის დასასრულს, რესპოდენტების ნაწილმა დაასახელა პროგრამები და სერვისები რომლებსაც განახორციელებდა გადაწყვეტილების მიმღები რომ ყოფილიყო. იმ ახალგაზრდების გარდა ვისაც კითხვაზე პასუხი არ გაუჭირდა, ყველაზე ხშირად დასახელებულ პასუხებს შორის მოხვდა „ახალგაზრდული პროგრამების ხელმისაწვდომობის ზრდა მუნიციპალურ დონეზე“ და „საზოგადოებრივი თავშეყრისა და მოხმარების მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობა/გაუმჯობესება (სკვერი, სტადიონი, მიწისქვეშა გადასასვლელი, სხვ.)“
- 18-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პროგრამებში ყველაზე მეტად დასახელდა "ახალგაზრდებისათვის შეკრების, დასვენებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების მოსაწყობად საჭირო სივრცეებზე ხელმისაწვდომობის ზრდა" და "დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები".
- "ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების განვითარება და მათ შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება" ერთნაირად პოპულარული საკითხია ყველა ასაკობრივ ჭრილში

# თვისებრივი კვლევის შედეგები

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუსირებული დისკუსია ახალგაზრდების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან, ჩაღრმავებული ინტერვიუები კი NEET ახალგაზრდებთან, სოციალურ მუშაკებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან რომლებიც აქტიურად არიან ახალგაზრდული საქმიანობების დაგეგმვასა და ადვოკატირებაში ჩართულები, და ქ. ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელთან. მეთოდოლოგიისა და კვლევაში მონაწილეების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ანგარიშის ცალკეულ თავში - „კვლევის მეთოდოლოგია".

ყველა დასახელებულ დაინტერესებულ მხარესთან შედგა დისკუსია ახალგაზრდების საჭიროებებსა და მათი სოციალური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ. დისკუსია მოიცავდა ხუთ ძირითად თემას. ესენია:

- ინფორმაციის მიღების წყაროები და საშუალებები;
- ახალგაზრდებს შორის არსებული პრობლემები და გამოწვევები;
- სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობა;
- ახალგაზრდული საქმიანობები;
- ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა.

ქ. ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა მოახდინა არსებული მდგომარეობის შეფასება და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

## 1. ინფორმაციის მიღების წყაროები და საშუალებები

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არის სოციალური ქსელები (Facebook, Instagram, Twitter, Tik-tok). დამატებით, თუ ახალგაზრდა სკოლის მოსწავლეა ან უნივერსიტეტში სწავლობს, მისი აქტიურობის დონის შესაბამისად შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია მიმდინარე ახალგაზრდული პროექტებისა თუ შესაძლებლობების შესახებ. თუმცა, მათი მტკიცებით, ინფორმაცია რომელიც სოციალურ ქსელში ტრიალებს ძირითადად არამიზნობრივია და ძალიან ხშირად ისინი რჩებიან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღმა. ხშირად ისინი ინფორმაციას იღებენ ან მაშინ როდესაც აქტივობა ჩატარებულია და ისინი მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ, ან ღონისძიების ჩატარების თარიღამდე ძალიან მოკლე დროში რის გამოც ვეღარ გეგმავენ მონაწილეობას.

***„ზოგადად 80% ინფორმაციისას ალბათ ვიღებ სოციალური მედიისგან, თუმცა ვფიქრობ რომ ყველაზე არაკომფორტული გზაა, ძალიან ბევრი გვერდი მაქვს გამოწერილი მაგრამ ხშირად ხდება ის რომ არ მიგდებს სიახლეებს და შემდგომ ვგებულობ რომ სხვადასხვა აქტივობები ყოფილა დაგეგმილი და ამიტომ ვფიქრობ რომ მარტო სოციალური მედია არ არის საკმარისი."***

ახალგაზრდების თქმით, ქუთაისში ინფორმაციის გავრცელების ძველმა მეთოდებმა შესაძლოა უკეთ იმუშაოს. ***„უნდა ხდებოდეს ქალაქში, მაგალითად სტენდებზე ინფორმაციის გაკვრა, ასევე დაიბეჭდოს ფლაერების მეშვეობით. ეს უფრო გაამარტივებს ინფორმაციის გავრცელებას, რადგან***

*მეტად ხილვადია ქუჩაში მოსიარულე ახალგაზრდებისთვის, რომლებიც შეძლება უფრო მეტად დაინტერესდნენ. ჩვენს რეალობაში ბანერი ნაკლებად აქტუალურია და ამას თუ გააკეთებენ შეიძლება მეტად დაინტერესდეს ახალგაზრდა და ჩართულობაც უფრო მეტი იყოს".*

რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ ინფორმაციის მიღება პირდაპირ კავშირშია რამდენადაა ახალგაზრდა აქტიური. როგორც წესი, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა თუ შესაძლებლობების ბენეფიციარები ერთიდაიგივე ახლაგაზრდები არიან რაც მათი აზრით გამოწვეულია იმით რომ *„ინფორმაცია ჩაკეტილ წრეში ტრიალებს"*. ამავე მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რამდენიმე ახალგაზრდამ პირიქით ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირების ინერტულობა დაასახელა. მათი თქმით, იმისათვის რომ ყველა სამიზნე ჯგუფს ინფორმაცია ერთნაირად და სრულფასოვნად მიუვიდეს, ამისათვის მეტი გასვლითი, საველე და საინფორმაციო ხასიათის კამპანიების ჩატარებაა საჭირო ისეთ ადგილებში სადაც ახალგაზრდები იყრიან თავს. ასეთი ტიპის მიდგომა სრულად ვერ აღმოფხვრის პრობლემას, თუმცა უფრო მეტ ეფექტიანობას მოიტანს.

*„შეიძლება უკეთესი მექანიზმი იყოს პროექტის მონაწილე ბენეფიციარების მიერ ინფორმაციის გავრცელება, რადგან საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით დააინტერესებენ სხვა ახალგაზრდებს".*

ახალგაზრდებისთვის რომლებიც განათლების მიღმა არიან დარჩენილები, ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით მათთვის უფრო მობილური საინფორმაციო კამპანიებია საჭირო: *„მაგალითად ავტობუსში რეკლამის გაშვება სადაც მონიტორია და ამ მონიტორზე გაშვება ძალიან კარგი იქნებოდა, ინტერნეტ სივრცეში ისინიც არიან, მაგრამ დიდად არ ინტერესდებიან და ამიტომ მემგონი ასე კარგი იქნება."*

სკოლის დონეზე გამოიკვეთა სამოქალაქო საგნის მასწავლებლების მეტად ჩართულობის აუცილებლობა, სწორედ ახალგაზრდული საქმიანობების პოპულარიზაციისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მხრივ; ასევე სკოლისა თუ სხვა სასწავლებლებში კადრის არსებობა/დამატება, რომელიც უშუალოდ ინფორმაციის გავრცელებაზე იქნება პასუხისმგებელი.

*„ზოგიერთი ორგანიზაცია ცდილობს სკოლაში მოახდინოს ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ჩემი აზრით სკოლას არ ყავს ისეთი კადრი რომელიც პასუხიმგებლობით მიუდგება ამ საკითხს."*

თუმცა, საბოლოო ჯამში ახალგაზრდები შეთანხმდნენ, რომ ინფორმაციის გავრცელებას ერთობლივი მიდგომა და უწყებებს შორის თანამშრომლობა ჭირდება. მათი მოსაზრებით, თუ არსებობს საშუალება რომ ახალგაზრდამ მიიღოს განათლება, განივითაროს კომპეტენციები და უნარები, შეძლოს უკეთესად დასაქმება, ყველა უწყება თუ პლატფორმა უნდ იყოს ინფორმაციის გავრცელებაში ჩართული. *„ჩემი აზრით ეს არის თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა აქ უნდა იყოს ჩართული ყველა უწყება თუ ორგანიზაცია რომ ინფორმაცია ყველა პირამდე მივიდეს, კონკრეტულად ერთი რომელიმე უწყება თუ ორგანიზაცია ამას ვერ გადაწყვიტავს".*

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

NEET ჯგუფის წარმომადგენლებმა მათთვის ძირითად საინფორმაციო წყაროდ სოციალური ქსელი და მედია საშუალებები დაასახელეს (ფეისბუკი, ინსტაგრამი). არსებული საინფორმაციო წყაროების მიმართულებით მთავარ ბარიერად და გამოწვევად მათ დაორგანიზება დაასახელეს.

მათი თქმით, მასშტაბური და გახმაურებული პროექტის ან აქტივობის შესახებ შეუძლებელია ინფორმაცია ყველამ არ მიიღოს, თუმცა როგორც კი საკითხი დგება კონკრეტული ჯგუფის საჭიროებაზე მორგებული ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიმღებებს და აქტივობების ორგანიზატორებს ძალიან უჭირთ მიზნობრივი არხებით შედეგის მიღება. შესაბამისად, ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელიც განათლების და გადამზადების მიღმაა, და ასევე არ არის დასაქმებული, ხშირად რჩებიან ინფორმაციულ ვაკუუმში, რადგან ისინი არ არიან  რომელიმე პლატფორმის ან ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის ნაწილი.

ერთ-ერთ დამატებით წყაროდ დასახელდა მოკლე შეტყობინებებით ინფორმაციის გავრცელება. ***„იმდენი სმს-ი მოდის სხვადასხვა კომპანიებისგან და ასევე პოლიტიკური პარტიებისგან რომ შლას ვერ ავუდივარ და შეიძლება რომ {ორგანიზაციებმა} მათთაც ინფორმაციის გავრცელების კუთხით გამოიყენონ ეს საშუალება და გაავრცელონ სმს-ის საშუალებით სხვადასხვა აქტივობების შესახებ ან კიდევ პროგრამების შესახებ.“***

## ახალგაზრდული მუშაკები

ახალგაზრდა მუშაკების შეფასებით ინფორმაციის გავრცელება შესაძლებლობებსა და მიმდინარე პროგრამებზე კომპლექსური საკითხია. ერთის მხრივ, ქუთაისში სამოქალაქო აქტივიზმის პრობლემა დგას, ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გააზრებული თუ რა როლი და შესაძლებლობები აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ნაკლებად ცდილობენ ინფორმაციის მოძიებას. მათ თქმით, დგას ასევე თვითმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების საკითხიც, რომ სწორედ მათ უნდა შეუწყონ ხელი ცნობიერების ამაღლებას, შექმნან გარკვეული პირობები და შემდგომ ახალგაზრდების მეტად დაინტერესდებიან და მათი ჩართულობის მაჩვენებელიც გაიზრდება. ის ახალგაზრდები რომლებიც ჩართულები არიან მსგავს აქტივობებში, როგორც წესი წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილ ჯგუფებს, რომლებიც ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და ისინი ცდილობენ მიიღონ ინფორმაცია გრანტების შესახებ - ეს იქნება მერიის მიერ გამოცხადებული თუ სხვა. ***„მე ვთვლი რომ აუცილებელია ერთიანი ბაზა შეიქმნას სადაც განთავსდება ყველა ის ინფორმაცია და შესაძლებლობა რაც ახლგაზრდებს დაინტერესებს და მათ უნარებს და შესაძლებლობას გაზრდის, იყო საუბარი ამაზე რომ უნდა შექმნილიყო მსგავსი აპლიკაცია სადაც მოხდებოდა ამ ყველა ინფორმაციის თავმოყრა.“***

ინფორმაცია ახალგაზრდული მუშაკის შესახებ რესპოდენტებმა დასაქმების კონსულტანტისგან მიიღეს, რომელიც მსგავს აქტივობას ახორციელებდა, ოჯახებში ეძებდა მოტივირებულ ახალგაზრდებს და შემდგომ ამისამართებდა მათ. ***„ეს მე გამიმართლა რომ ორგანიზაციაში ვმუშაობდი და იქიდან მივიღე ინფორმაცია ამ შესაძლებლობის შესახებ, თუმცა არ მგონია რომ ნებისმიერ ახალგაზრდას ან სკოლის მოსწავლეს ქონდეს ინფორმაცია რომ არსებობს ასეთი პროგრამა და ყველას შეუძლია მონაწილეობა“.*** რესპოდენტების შეფასებით, ძირითადად ინფორმაცია აქვთ ისეთ სტუდენტებს, რომელიც არიან აქტიურები და თანამშრომლობენ მერიასთან. ასეთები კი ცოტანი არიან.  მათი შეფასებით ამ მიმართილებით ბევრია სამუშაო, მეტად უნდა ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე რომ საბოლოოდ არ მივიღოთ მოცემულობა სადაც ერთი და იგივე წრე ტრიალებს ახალგაზრდებისა. რესპოდენტების თქმით, განსაკუთრებით პრობლემა დგას ქალაქის გარეუბნებში, რადგან ახალგაზრდებს სულ სხვა ინტერესები აქვთ და ისინი არ მოდიან მერიასთან სათანამშრომლოდ.

რესპოდენტის რეკომენდაციით, თემებში მობილური ახალგაზრდული მუშაკების სისტემის შექმნა იქნება არაჩვეულებრივი. ***„ეს გულისხმობს იმას რომ იგი კი არ ელოდება ახალგაზრდას***

*არამედ თვითონ მიდის მასთან, მსგავსი იდეის განხორციელება მოიტანს კარგ შედეგს, მობილური ახალგაზრდული მუშაკი იყოს ერთი ან ორი, რომელიც მის გარშემო მცხოვრებ ახალგაზრდებს დააინტერესებს და ჩართავს სხვადასხვა აქტივობებში."*

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შეფასებით, ინფორმაციის გავრცელების დონე ზოგადად დაბალია. თუმცა თვითონ ორგანიზაციებს საკუთარი პროექტების განხორციელება არ უჭირთ. რაც შეეხება თვითმმართველობის მხრიდან კომუნიკაციას ახალგაზრდებთან, მათი შეფასებით ეს პროცესი მეტ მუშაობას საჭიროებს. ***„აუცილებელია ყველა ტიპის ადამიანს მისაღები ენით მივიტანოთ ეს ინფორმაცია რომ მან გაიგოს და დაამახსოვრდეს."***

რესპოდენტები ასახელებენ სოციალურ ქსელებს, როგორც ყველაზე ეფექტიან საკომუნიკაციო არხს, თუმცა არ გამორიცხავენ სხვა არხების ჩართულობის აუცილებლობასაც. მათი მოსაზრებით, მუნიციპალიტეტმა უნდა იზრუნოს ***„მარკეტინგული ხრიკების"*** მეშვეობით მეტი ახალგაზრდის მოზიდვას.

## 2. ახალგაზრდებს შორის არსებული პრობლემები და გამოწვევები

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

ახალგაზრდული საჭიროებები, რომლებიც ქუთაისელმა ახალგაზრდებმა დისკუსიის დროს პირველ რიგში დაასახელეს არის: არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება; საგანმანათლებლო სივრცეები არ ქონა/სიმწირე; კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების საჭიროება სკოლებში და მის მიღმა; ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა; და დასაქმების ფორუმების ჩატარება.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებით, არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ძალიან მნიშვნელოვან აქტივობებს სთავაზობენ ახალგაზრდებს, რაც მათ ხელს შეუწყობს მომავალში კარიერულ წინსვლაში. თუმცა ხშირად სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში მათთან არ ან ვერ თანამშრომლობენ რის გამოც ისევ ინფორმაციის გავრცელების პრობლემა დგება და საბოლოოდ შესაძლებლობის მიღმა რჩებიან ახალგაზრდები. გაჟღერდა მოსაზრება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ სკოლებს არა თანამშრომლური დამოკიდებულება აქვთ. ***„როდესაც ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და მინდოდა სკოლაში რაღაც ინფორმაციის გავრცელება ან რაიმე ივენთის ჩატარება, დირექციის მხრიდან ყოველთვის ნეგატიური რეაქცია მოდიოდა".***

მეორე მწვავე საკითხი შეეხო ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდული სივრცეების სიმწირეს. მონაწილეების თქმით, ახალგაზრდებს სჭირდებათ ისეთი ტიპის სივრცეები, სადაც სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანები იკრიბებიან, ცვლიან აზრებს და პოულობენ მათთვის საინტერესო თემებს, იცნობენ ახალ ადამიანებს და ქმნიან ახალ შესაძლებლობებს. რესპონდენტთა აზრით, ახალგაზრდის თვითგამორკვევისთვის საჭიროა, ახალგაზრდამ ბევრ სფეროში გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები, რათა გაიგოს, რის კეთება სურს სინამდვილეში, მაგრამ მსგავს შესაძლებლობებს მოკლებულნი არიან. მონაწილეთა უმეტესობამ განაცხადა, რომ არ იცის საერთოდ ქუთაისში თუ არსებობს მსგავსი სივრცეები ახალგაზრდებისთვის, მხოლოდ

რამდენიმემ დაასახელა Ric Dog-ის სივრცე, და კოლეჯ „იბერიაში“ შექმნილი ახალგაზრდული სივრცე. თუმცა აქვე აღნიშნეს, რომ ამ სივრცეებით სარგებლობა გამოწვევაა, რადგან მაგალითად კოლეჯი იბერია ცენტრიდან შორს მდებარეობს, ხოლო Ric Dog-ის სივრცე ბევრმა საერთოდ არ იცის.

*„ქუთაისში ტექნო პარკი არ არსებობს და რომ არსებობდეს უკეთესი იქნებოდა, ვაკეთებთ პროექტს კულტურული მარშუტების დაგეგმვას და ამ მიმართულებითაც სამეგრელოში უფრო ჩართულია ადგილობრივი თვითმართველობა და ვიდრე ქუთაისში, ბიზსნესის და სტარტაპის მხრივ არც ისეთი შესაძლებლობა არის ქუთაისში.“*

*„რიკ დოგი არის ასეთი სივრცე, კი ჩვენ მივდივართ და ვიყენებთ ამ სივრცეს, მაგრამ უმეტესობა ქალაქის ახალგაზრდებისა არ იციან ამ სივრცის შესახებ.“*

*„მნიშვნელოვანია ახალგაზრდული სივრცეები რომლებიც არ გვაქვს, აუცილებელია ეს იყოს ქალაქის ცენტრში სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავშეყრას და საუბარს სხვადასხვა თემებზე.“*

ახალგაზრდების თქმით, ყველაზე რთული პროცესი სწორედ თვითგამორკვევაა - თუ რა საქმით გინდა დაკავდე მომავალში. *„მთავარი პრობლემა რაც ამ ბავშვებს დამამთავრებელ კლასებში აქვთ არის რომ რომელი პროფესია აირჩიონ, ქალაქში არ კეთდება ისეთი პროექტები სადაც მოგვეცემა საშუალება ჩვენი ნიჭის გამოვლინების თუ რაში ვართ ყველაზე კარგები, ამას უნდა უზრუნველყოფდეს მერია და ის არასამთავრობო ორგანიზაციები რომელიც ქალაქ ქუთაისში მომრავლდა“.* რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდებთან უნდა იმუშაონ კონსულტანტებმა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტებმა, რომლებიც ურჩევენ განვითარების გზებს, მოუყვებიან შესაძლებლობების შესახებ, უბიძგებენ სიახლეებისკენ და ა.შ. *„არ გააჩნიათ ახალგაზრდებს ინფორმაცია იმის შესახებ რომ მათ აქვთ ალტერნატიული განათლების მიღების შესაძლებლობა გარდა უნივერსიტეტში ჩაბარებისა, მაგალითად პროფესიულ კოლეჯში, ეს ის ადამიანები არიან ვინც განათლების მიღმა არიან დარჩენილები და მათ ინფორმაციაზე წვდომა ნაკლებად აქვთ.“*

ახალგაზრდების თვითგამორკვევისთვის დასაქმების ფორუმებსაც არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ე.წ. Job-fair ღონისძიებები, ქმნის შესაძლებლობას ახალგაზრდამ გაეცნოს ბაზარზე არსებულ კომპანიებს, გაესაუბროს მათ წარმომადგენლებს, შეექმნას წარმოდგენა ადგილობრივ შესაძლებლობებზე, გაიგოს რა კომპეტენციებსა და უნარებს ითხოვს კერძო სექტორი მათგან და ა.შ.

რესპოდენტების მოსაზრებით ახალგაზრდული ეკო-სისტემის გაუმჯობესებაში აუცილებელია ჩართული იყოს განათლების სამინისტროს რესურს ცენტრი და ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რადგან ისინი წარმოადგენენ ინოვაციების წყაროს.

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

მაშინ როდესაც, კვლევაში სხვა გამოკითხული ახალგაზრდების ჯგუფები სხვადასხვა ტიპის პრობლემას ასახელებდნენ, NEET ჯგუფში გამოკითხულმა ყველა პირმა მხოლოდ დასაქმება დაასახელა. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი ქალების შემთხვევაში დგას, რადგან ამ ჯგუფში ხშირად სწორედ იმიტომ ხვდებიან, რომ მათზე გადადის ოჯახის საქმეების გახორციელება, ბავშვების აღზრდა, შესაბამისად მათი თვითრეალიზაცია და დასაქმება უკანა ფონზე გადადის.

*„არ არის ისეთი სამსახურები, სადაც გრაფიკის შესაბამისად იმუშავებ, მე მაგალითად მყავს ორი შვილი და აქედან გამომდინარე ვსაუბრობ, არის სამსახურები მაგრამ აქვს ცუდი სამუშაო*

*განაკვეთი, სადაც ვერ ვახერხებ დასაქმებას, მაშინ ბავშვების გამოყვანა სკოლიდან და ბაღიდან ვერ შევძლებ".*

ერთ-ერთი მონაწილის შეფასებით, ქუთაისში სკოლის დამთავრების შემდგომ ყველა გაქცევაზე ფიქრობს, რადგან ქალაქში არანაირი აქტივობა არ არის რამაც შეიძლება ახალგაზრდა დააინტერესოს. მისი შეფასებით, თუნდაც მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ სეგმენტში რომ შევხედოთ არანაირი ახალგაზრდული აქტივობა არ ხორციელდება. ამიტომ, თუ ახალგაზრდას სურს რაიმე აქტივობაში მიიღოს მონაწილეობა, სამწუხაროდ საღამოს 6 საათის შემდგომ ამის შესაძლებლობა არ ეძლევა.

რათქმაუნდა დასაქმების პრობლემა პირდაპირ კავშირშია განათლების ხარისხის დონესთან. ამ ჯგუფის ახალგაზრდები ვერ ან არ იღებენ ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებას, არიან დიდი ხნის პერიოდს განმავლობაში ინერტული რაც იწვევს მათი დასაქმების შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანას. ამიტომ, ხშირად ისინი ცდილობენ წავიდნენ სხვა ქვეყანაში სამუშაოდ, და ამით გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა.

## ახალგაზრდული მუშაკები

ახალგაზრდული მუშაკების შეფასებით, მთავარი გამოწვევა რის წინაშეც დღეს ახალგაზრდები დგანან არის განათლება და დასაქმება. მათი შეფასებით, საგანმანათლებლო სისტემა არის მოსაწესრიგებელი, ძირითადი პრობლემა არის მაინც სკოლის ასაკის მოსწავლეებში საგანმანათლებლო საკითხები, რაც პირდაპირაა კავშირში ახალგაზრდები კარიერის დაგეგმვასთან. ***„პირველ რიგში, ჯერ საკუთარი თავის შესაძლებლობები უნდა აიმაღლო მიიღო გამოცდილება და შემდგომ უნდა მიიღო გადაწყვეტილება თუ რა გინდა, ხოლო ახალგაზრდები ძალიან ქაოტურად მიყვებიან."***

ფორმალური თუ არაფორმალური განათლების სწორად დაგეგმვა, ინტერესების გამოვლენა და შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების განვითარება პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან. როდესაც ახალგაზრდები ერთვებიან რაიმე პროექტებში მათი მოტივაცია არის ის რომ სამომავლოდ დასაქმდნენ და შეიძინონ ამ პროექტებით კონტაქტები რაც ამას ხელს შეუწყობს, საგანმანათლებლო პროცესის და პროფესიული განათლების დაგეგმვა ხდება ძალიან ქაოტურად და ამ მიმართულებით ძალიან დიდი მუშაობა არის საჭირო.

***„გლობალური პრობლემა ეს არის დასაქმება, ახალგაზრდულ მუშაკებს გვაქვს პრობლემა არაფორმალური ან ფორმალური განათლების დონეზე გადასცე ღირებულებების შესახებ ცოდნა, გააუმჯობესო უნარ-ჩვევები, ღირებულებების დონეზე რომ ვიმუშაო ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენს რეგიონში, ქცევის მოდელირება ღირებულების გარეშე წარმოუდგენელია."***

ასევე პრობლემად დასახელდა მიგრაცია, რესპოდენტების შეფასებით, ახალგაზრდები მიდიან ან საზღვარგარეთ ან თბილისში და ნაკლებად არიან ჩართულები მათი თემის გააქტიურებაში. ადგილობრივად დასაქმებულები ხშირად ჩივიან დასაქმების პირობებზე, ანაზღაურებასა და შრომის არასახარბიელო პირობებზე.

რესპოდენტების თქმით, ახალგაზრდებმა ნაკლებად ან საერთოდ არ იციან გაცვლითი პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს განათლების ამაღლებას. ***„მაგალითად ევროპის კორპუსი ცდილობს მოხალისეობრივი მიმართულებით მიაღებინოს ახალგაზრდებს გამოცდილება და დაბრუნების შემდგომ მათი კომპეტენციები გაუმჯობესდეს."***

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

რესპოდენტების მიერ ყველაზე მწვავე პრობლემად დასახელდა დასაქმება, განათლების მიღება და მისი ხარისხი, (როგორც ფორმალური ისე არაფორმალური განათლება), მოხალისეობრივი შესაძლებლობების ნაკლებობა, და რათქმაუნდა მიგრაცია. ***„ასევე პრობლემას რასაც დავასახელებდი არის ახალგაზრდების ტექნოლოგიებთან დაახლოება, ფაქტობრივად ჩვენ ვართ ის ქალაქი რომელსაც შეუძლია ტექნოლოგიების მიმართულებით გაძლიერდეს, ეფექტური მიდგომა იქნება, სამწუხაროდ ქალაქში არ გვყავს მსგავსი ადამიანები.“***

მათი მოსაზრებით, ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უნდა შეიქმნას ისეთი ტიპის სერვისები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ადგილზე დარჩენას, თუმცა კონკრეტულად რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს პროგრამები რესპოდენტები არ აკონკრეტებენ. ახალგაზრდებს უჭირთ საკუთარი თავის რეალიზება და ეს ყველაფერი მიბმულია დასაქმებაზე და ასევე რაც მნიშვნელოვანია დაინტერესებაც არ ხდება ახალგაზრდების მხრიდან. განსაკუთრებით ინტერესის დონე კლებულობს 18-25 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ***„ჩვენ გვქონდა რამდენიმე პროექტი რომელიც გულისხმობდა ახალგაზრდების ჩართულობას და ძალიან გაგვიჭირდა მათი მოძიება, სხვა ორგანიზაციებსაც მსგავსი პრობლემები აქვთ, განსაკუთრებით 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდების დაინტერესება ნაკლებია მსგავსი პროექტებით“.***

## 3. სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობა

### 3.1. მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

#### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის პრობლემები სკოლიდან იწყება. მათი აზრით, სკოლაში უნდა ახდენდნენ აქტიური ცხოვრების პოპულარიზაციას, რომ ახალგაზრდისთვის დამაკნინებელი კი არ გახდეს მისი აქტიურობა, არამედ საქებარი და მეტი წარმატების მომტანი. სწორედ ამ მიზეზით, ახალგაზრდები, განსაკუთრებით სკოლაში თავს არიდებენ აქტიურ ცხოვრებას, ინიციატივების წამოჭრას, რადგან აქვთ შიში რომ ეს მათ დააზიანებს. ასევე, ახალგაზრდის მოტივაციისთვის აუცილებელია მან დაინახოს შედეგი, ან გაესაუბროს წარმატებულ მონაწილესთან, ან გაეცნოს მეტ წარმატების ისტორიას, მან უნდა იცოდეს გააზრებულად, რომ მისი ჩართულობა დაფასდება. ***„ჩემთვის მოტივატორი არის სერთიფიკატების აღება და ახლაც კი მეორე კლასის სერთიფიკატები რომ მაქვს სასიამოვნო მოგონებებთან არის კავშირში, აუცილებლად უნდა აუხსნა ბავშვს თუ რა ბენეფიტს მიიღებს ის პროექტში მონაწილეობის შემდგომ.“***

რამდენიმე რესპოდენტმა ახსენა სელექციური მიდგომა ახალგაზრდების შერჩევისას აქტივობებსა თუ პროექტებში. მათი თქმით, ხშირად მასწავლებლები ან ლექტორები ინფორმაციას შესაძლებლობების შესახებ მხოლოდ ფავორიტ სტუდენტებს უზიარებენ. ***„როგორც სკოლებში ისე უნივერსიტეტებშიც ხდება ბავშვების გამორჩევა თუ რაიმე შესაძლებლობა ჩნდება მხოლოდ ისეთი ბავშვები ან მიყავთ ან იღებენ მონაწილეობას ვინც ახლობელია ან თითქოს და კარგი მოსწრებისაა, ეს არის სეგრეგაცია ახალგაზრდების, არ უნდა ხდებოდეს მსგავსად ინფორმაცია და შესაძლებლობა თანაბრად უნდა გამოიყენოს ყველამ.“*** ასეთი ტიპის სელექციური

დამოკიდებულება, ხელის შემშლელია ახალგაზრდების ჩართულობის და თანამონაწილეობის. მათი აზრით მსგავს ფაქტებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

### NEET ჯგუფის წარმომადგენლები

რესპოდენტების მხრიდან ახალგაზრდების აქტიურობის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთ ამხსნელად შიდა თუ გარე მიგრაცია დასახელდა. როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუებიდან ირკვევა, ერთი მხრივ იმის გამო, რომ რეალურად განვითარების შესაძლებლობა რეგიონში ნაკლებია და, მეორე მხრივ, იმის გამოც, რომ განწყობა აქვთ ახალგაზრდებს იმგვარი, რომ ***„მაინც არაფერი გამოვა“***, ისინი ტოვებენ რეგიონებს. შესაბამისად, იმ რამდენიმე ინიციატივიან ახალგაზრდასაც, რომელსაც სურს აქტივობების დაგეგმვა, არ ჰყავს არც ადამიანები, რომლებიც აქტივობებში ჩაერთვებიან და არც აუდიტორია, ვისზეც შეიძლება იყოს გათვლილი აქტივობები.

### ახალგაზრდული მუშაკები

რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდების ჩართულობა არასახარბიელოა. თუმცა ახალგაზრდული საბჭო, რომელიც ახალი შექმნილია, ძალიან კარგი მექანიზმია ახალგაზრდების საჭიროებების და პრობლემების წარსადგენად ადგილობრივ თვითმართველობასთან. მათი შეფასებით, ამ პროცესს სჭირდება ღიაობა მუნიციპალიტეტის მხრიდან. ***„რადგან რეგიონში სადაც მსგავსი საბჭო დავაფუძნეთ თვითმართველობა ხედავდა რაღაც უცხო სხეულს. ახალგაზრდებიც ხშირად ამას არ იყენებდნენ როგორც შესაძლებლობას, რათა მათი საჭიროებები გამოევლინათ და მათთვის შეეთავაზებინათ კარგი სოციალური პროექტები“.*** მსგავსი საბჭოებისა თუ თანამშრომლობის პლატფორმების არსებობა არის დამხმარე საუკეთესო ინსტრუმენტი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისთვის და ახალგაზრდული საჭიროებების ადვოკატირებისთვის.

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

ორგანიზაციის წარმომადგენლების შეფასებით, ახალგაზრდების ძალიან მცირე ჯგუფი აქტიურობს ახალი ინიციატივების წარდგენით როგორც არასამთავრობო სექტორის მიერ გამოცხადებულ პროექტებში, ასევე მუნიციპალიტეტშიც. მათი შეფასებით, ახალგაზრდების, განსაკუთრებით უფროსი თაობა, ვერ აცნობიერებს რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ასეთი ტიპის პროექტებში მონაწილეობამ. ამ საკითხს ისევ არაფორმალური განათლების დაბალ მაჩვენებელთან მივყავართ. ახალგაზრდები პესიმისტურად უყურებენ მათ ჩართულობას საზოგადოებრივ აქტივობებში და ან არ სჯერათ რომ შეუძლიათ ცვლილებების მომტანები იყვნენ.

## 3.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ცნობიერების ამაღლება

## ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ახალგაზრდები ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ჩართულები სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის ვითარებიდან გამომდინარე, ახალგაზრდებს ნიჰილიზმისა და უიმედობის განცდა აქვთ. ახალგაზრდების აზრით, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესება მეტია, ვიდრე მონაწილეობა. ახალგაზრდები იმასაც აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა არ ნიშნავს მაინცდამაინც რომელიმე პარტიაში გაწევრიანებას, არამედ გაცნობიერებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, მაგალითად, არჩევნების დროს.

მონაწილეების აზრით, ახალგაზრდები რომლებიც ახლა იწყებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აქვთ საკმარისი სამოქალაქო განათლება. შესაბამისად ისინი რისკის ქვეშ არიან და სწორად ვერ იაზრებენ მათ მოქალაქეობრივი მოვალეობების მნიშვნელობებს. რესპოდენტების თქმით, როცა ახალგაზრდები ნაკლებად არიან ინფორმირებულები მათი უფლებების და ზოგადად თავისუფლებების შესახებ, მეტად მოწყვლადები ხდებიან და მარტივია მათი მანიპულირება. ***„ჩვენ ვირჩევთ მთავრობას და არა ისინი და ამის გააზრება თუ მოხდება შემდგომ აღარ იქნება იმის განცდა რომ არჩევნებში მისვლა და ხმის მიცემა მხოლოდ იმიტომ ხდება რომ ხმა არ დაიკარგოს.“***

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, ძალიან ბევრ ახალგაზრდას შეხვდებით რომელიც იტყვის რომ არის აპოლიტიკური, თუმცა თუ დავაკონკრეტენიბეთ თუ რას გულისხმობენ ამაში, მივხვდებით რომ ახალგაზრდების პოზიციაა იყვნენ აპარტიულები. ***„ამიტომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია თუ როგორ უნდა გამოიყენონ თავიანთი ხმა თუ არცერთი პარტია მათთვის მისაღები არის, ამ მიმართულებით უფრო მეტად ინერტულები არიან 18-დან 20 წლამდე ახალგზარდები.“*** რესპოდენტების თქმით, ახალგაზრდებს უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ მოიქცნენ არჩევნებზე მისვლამდე, რომ არსებობს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სრული ინფორმაცია პარტიების შესახებ, რას სთავაზობენ ისინი.

არჩევნებში ახალგაზრდები 18 წლიდან იღებენ მონაწილეობას, თუმცა პოლიტიკურ მოვლენებზე დიდად ინფორმაცია არ აქვთ. „მე არ ვიცი წავალ თუ არა არჩევნებზე, რადგან საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ გამაჩნია და ვერ ვიტყვი რომ დიდად ამის ინტერესი მქონია“ - განაცხადა ერთ-ერთმა რესპოდენტმა.

ახალგაზრდების თქმით, ხშირად სხვადასხვა პარტია აორგანიზებს აქტივობებს, გამოკითხვებს, ანაზღაურების სანაცვლოდაც კი. თუმცა რესპოდენტების შეფასებით ხშირად ახალგაზრდები თავს იკავებენ ასეთი ტიპის საქმიანობის განხორციელებისგან რადგან შემდგომ ასოცირებულები ხდებიან პარტიებთან რაც არ იწვევს მათში დადებით განწყობას.

შესაბამისად, მათი აზრით აუცილებელია ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარება და ეს ყველაფერი უნდა დაიწყოს სკოლის ასაკიდან, ამ პროცესში კი აქტიურად სწორედ მასწავლებლები უნდ იყვნენ ჩართულები, რადგან მათ დიდი გავლენა აქვთ. მონაწილეების აზრით, მასწავლებლები უნდა იყვნენ ორიენტირებული დაანახონ ბავშვებს მათი შესაძლებლობები, მათი არჩევანის ძალის მნიშვნელობა და მათი უფლებების დაცვის აუცილებლობა.

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

აღნიშნული ჯგუფის პოლიტიკური საკითხებით დაინტერესება ძალიან დაბალი და პესიმისტურია. მათი მოსაზრებით, ახალგაზრდები არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ, რადგან არ ესმით რა ცვლილება შეიძლება ამან მოიტანოს მათ ცხოვრებაში. ასევე მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ მათთვის მოსაწონ პარტიას ან იდეოლოგიას ვერ პოულობენ.

ასევე, რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდებს ინტერესი არ აქვთ ითანამშრომლონ პარტიებთან მხოლოდ იმიტომ რომ ისინი *„პლაკატის გასაკრავად ან დროშის საფრიალოდ“* არიან მოწვეულები. რესპოდენტების აზრით ახალგაზრდები *„აპოლიტიკურები კი არა, აპარტიულები არიან“* და რათქმაუნდა ამ საკითხში განათლების პრობლემაც დგას.

## ახალგაზრდული მუშაკები

რესპოდენტების შეფასებით, ახალგაზრდების პოლიტიკასა თუ სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა ოჯახში ფორმირდება. როდესაც ბავშვი ოჯახში იზრდება, მას ნაკლებად რთავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შემდგომ უკვე ეჩვევა ბავშვი რომ მის ნაცვლად სხვა იღებს გადაწყვეტილებას და ეს მიყვება მერე უკვე დიდ ასაკშიც. ***„ამიტომაც ვცდილობთ რომ აქტიური მოქალაქეობა დავნერგოთ ახალგაზრდებში და ეს უნდა დაიწყოს ძალიან დაბალი ასაკიდან, თავიდანვე უნდა იმუშავო ბავშვთან რომ ეს მასაც ეხება და მანაც უნდა მიიღოს ამის შესახებ გადაწყვეტილება“.***

ახალგაზრდა მუშაკებმა სკოლის როლი ერთ-ერთ მნიშვნელოვნად დაასახელეს ამ პროცესში. მათი თქმით, ხშირად როდესაც სკოლაში შედიხარ დირექტორი უარით გისტუმრებს, შესაბამისად იზღუდება ინფორმაციის გავრცელების არხებიც. ასევე მნიშვნელოვანია საინფორმაციო არხებიდან მოწოდებული ინფორმაცია. ხშირად ახალგაზრდებს ესმით რომ პოლიტიკა ეს ცუდია, არადა სწორედ მათ უნდა გაიაზრონ რომ ყველაფერი პოლიტიკის ნაწილია. მათი შეფასებით, ამ მიმართულებით ნაკლებად უწყობს ხელს ვინმე რომ მათ გაათვითცნობიერონ თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ჩართულობა და თუ ამას სისტემური ხასიათი არ მიეცა პრობლემა ვერ მოგვარდება.

ერთ-ერთ საკითხად რესპოდენტებმა გამოყვეს შშმ პირებისთვის არაშესაბამისი ინფრასტრუქტურის საკითხიც, რომელიც პირდაპირ ხელისშემშლელია ამ ჯგუფის ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდაში. თუ ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია, აღნიშნული ჯგუფი ვერ შეძლებს იყოს მობილური და ვერ ახდენს კომუნიკაციას საკუთარი ინიციატივების შესახებ. ამით ხელი ეშლებათ ინიციატივის მქონე ახალგაზრდებს შექმნან კარგი პრაქტიკები და საბოლოოდ ეს პროცესი ნელდება.

## არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა ნიჰილიზმს უკავშირდება, რომ ეს კულტურული ამბავია, რადგან ახალგაზრდების დიდი ნაწილი ფიქრობს *„არაფერს აზრი არ აქვს“*, ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის რა ღირებულების მატარებელია არჩევნებში მონაწილეობის მიღება. რესპოდენტები თვლიან რომ ახალგაზრდებმა დამოკიდებულება უნდა შეიცვალონ, სხვა შემთხვევაში არაფერი გამოსწორდება, სანამ არ გაიაზრებენ რომ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა და რომ მათი ხმა უნდა დაფიქსირდეს. მათი აზრით ეს პროცესი საგანმანათლებლო ასაკიდან იწყება. ***„უდიდესი ნაწილი აქვს არაფორმალურ განათლებასაც, მე მინახავს რომ არაფორმალური***

*განათლება ესმით არასწორად მათ შორის ქუთაისშიც და აქედან მოდის ის NEET ჯგუფები, რომლებსაც არაფორმალური განათლების მიმართაც ცუდი დამოკიდებულება აქვთ და აუცილებელია ხარისხი განვითარდეს."*

რესპოდენტები ახალგაზრდების ინერტულობას, თვითონ პოლიტიკურმა პარტიებსაც აბრალებენ. მათი აზრით პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა ესაუბრონ ახალგაზრდებს და უნდა უთხრან თუ რას აკეთებენ მათთვის და რას გააკეთებენ, და არა მხოლოდ ***„დროშების საფრიალოდ და პლაკატების დასაჭერად"*** ეძახდნენ. მათი აზრით პარტიებმა მაქსიმალურად უნდა ჩართონ ახალგაზრდები როდესაც რაღაც პროგრამებს იმუშავებენ და მათ უნდა კითხონ მოსაზრება თუ რა საჭიროებები გააჩნიათ და იმის მიხედვით განსაზღვრონ.

## 3.3. მოხალისეობა და მოხალისეობრივი საქმიანობა

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

მონაწილეების აზრით, მოხალისეობის და მოხალისეობრივი საქმიანობების მნიშვნელობა და ცნობიერება ჯერ კიდევ ძალიან დაბალია საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მოხალისეობრივი კულტურა 10 წლის წინ ნაკლებად იყო განვითარებული და ძალიან ცოტა ორგანიზაცია თუ ზრუნავდა ამ მიმართულებით, თუმცა მათი რაოდენობა დღეს საგრძნობლად მომატებულია, რაც ფოკუს ჯგუფის მონაიწლეების თქმით ნამდვილად პოზიტიური ცვლილებაა. თუმცა დღესაც დიდი გამოწვევაა ამ მიმართულებით, რადგან ახალგაზრდები ძალიან სკეპტიკურად არიან განწყობილები მოხალისეობრივი საქმიანობების განხორციელების მხრივ. ასეთი ტიპის საქმიანობები უფრო სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვისაა საინტერესო, ვიდრე 18 წლის ზემოთ ახლაგაზრდისათვის. ძირითადად ეს ხდება მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან უკვე ამ ასაკის ახლაგაზრდები არ ფიქრობენ შემოსავლის მიღებაზე, მოხალისეობრივი საქმიანობების კი ანაზღაურების გარეშეა. რესპოდენტები თვლიან, რომ ამ შემთხვევაში, ახალგაზრდამ უნდა შეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება, რადგან მოხალისეობა მათ ძალიან ბევრ რამეში ეხმარება, მათ შორის კარიერაში, CV-ის გაუმჯობესებასა და გამოცდილების დაგროვებაში.

***„დაახლოებით სამი წელია ვარ მოხალისე როგორც ჩემი ინიციატივით ისე სხვა ორგანიზაციების მიერ დაორგანიზებულ აქტივობებში და ხშირად მომისმენია მოახალისეობაზე კნინობითში კომენტარები, ადამიანების შეგნება არ გააჩნიათ თუ რას ნიშნავს მოხალისეობა და ძალიან ბევრი ბენეფიტის მიღება შეგიძლია ამ მიმართულებით, მგონია რომ თავიდან არ ხდება ამის სწორი აღქმა, ეს უნდა დაიწყოს სკოლიდან, ან კიდევ მედიის მხრიდან."***

მოხალისეობის საკითხზე მსჯელობისას, მნიშნელოვან აქტორად ისევ სამოქალაქო საგნის მასწავლებლები დასახელდნენ. რესპოდენტების მოსაზრებით სწორედ მათი პასუხისმგებლობაა გააჩინონ ინტერესი მოსწავლეებში და აუხსნან რა სარგებლის მომტანი იქნება მოხალისეობა მათთვის მომავალში.

ერთ-ერთმა რესპოდენტმა გააზიარა საკუთარი წარმატების ისტორია, თუ როგორ დაეხმარა მოხალისეობრივი საქმიანობები როგორც გამოცდილება საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. მან აღნიშნა, რომ თუ ასეთი სურვილი გაუჩნდება ახალგაზრდას, მან უნდ იცოდეს რომ შეიძლება საქართველოში ნაკლებად, თუმცა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებსა და აშშ-ში ძალიან ფასობს მოხალისეობრივი საქმიანობებში მონაწილეობის მიღება, და ის მეტყველებს

ახალგაზრდის აქტიურობის დონეზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონეზე. ახალგაზრდებს უნდა ესმოდეთ რომ, მაშინ როდესაც ვერ პოულობენ მათთვის შესაბამის დასაქმებას, მათ არ უნდა გაუშვან ხელიდან მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართვის შესაძლებლობები, რადგან კარიერულ წინსვლაში და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაში სწორედ ესეთი გამოცდილება მათ ძალიან დაეხმარება.

*„მაგალითად ამერიკაში უნივერსიტეტში ჩარიცხვისას მხოლოდ სკოლის ქულები არ არის საკმარისი უნდა გქონდეს გაკეთებული კლასის გარეთაც რაიმე. ჩვენთან ამის მოთხოვნა არ არის. ეროვნული სამი გამოცდით ირიცხებიან, ეს რომ ჩვენთან იყოს მიღებული ბუნებრივია ბავშვები სკოლის პერიოდიდან ჩაერთვებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში, მეორეა ის რომ ბევრი კომპანია მოხალისეობას და სტაჟირებას არ აღიარებს როგორც გამოცდილებას, პოტენციურ დამსაქმებლებში მოხალისეობრივი შრომა არ არის აღიარებული და დაფასებული და ეს მხოლოდ ახალგაზრდების გამო არ არის.“*

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

რესპოდენტებს მოხალისეობრივი საქმიანობების მიმართ დადებითი დამოკიდებულება და მაღალი ცნობიერება აქვთ. მათი შეფასებით აღნიშული საქმიანობის განხორციელება კარგია ახალგაზრდებისთვის, თუმცა აქვე აღნიშნავენ რომ *„მომავალში უნდა დაფასდეს“.*

*„მოხალისეობრივი კუთხით ბევრი ახალგაზრდა მინახავს, რომელსაც წამოუწყია მსგავსი აქტივობა, მაგრამ ხდება შემდეგი რამ, რომ ახალგაზრდები ვერ ახერხებენ რეალიზაციას ამ ყველაფრის, შემდეგ ხდება ისე რომ უფასურდება ეს იდეა ადამიანის თვალში და აღარ უნდა მონაწილეობა, ხოლო რაც შეეხება მოხალისეებს, ქუთაისში არიან მოხალისეები, მაგალითად წითელ ჯვარში.“*

## ახალგაზრდული მუშაკები

რესპოდენტების აზრით, დიდი რაოდენობით ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მოხალისეობრივ საქმიანობაში, რეგიონებში კი ჯერ კიდევ ეს საქმიანობა აღიქმება როგორც დამამცირებელი. მათი შეფასებით, ზოგადად მოხალისეობრივი საქმიანობები თოვლის გუნდის პრინციპით მუშაობს. თუ ახალგაზრდას ცუდი გამოცდილება აქვს მიღებული, ამის შესახებ მალევე ვრცელდება ინფორმაცია და აღიქმება რომ ზოგადად მოხალისეობრივი საქმიანობაა ცუდი.

*„აქ ცუდის შესახებ უფრო მარტივად ვრცელდება ინფორმაცია ვიდრე კარგის შესახებ, ვგულისხმობ სტაჟირებას და მოხალისეობას... თუ ახალგაზრდა უკმაყოფილოა ის ყველას უზიარებს მის გამოცდილებას და რათქმაუნდა უკვე სხვაც აღარ ინტერესდება“.*

რესპოდენტების შეფასებით აუცილებელია მოხდეს აღიარება მოხალისეობრივი საქმიანობის. მოხალისემ საქმიანობა განახორციელა მისი ინიციატივით თუ რომელიმე ორგანიზაციის აქტივობის ფარგლებში, ამის აღიარება უნდა მოხდეს. მოხალისემ უნდა იცოდეს რომ მის საქმიანობას მოყვება დაფასება, რაიმე დოკუმენტი ან შეთავაზება. რესპოდენტები რეკომენდაციით, მოხალისეობრივი კულტურა ზოგადად ქვეყნის მხრიდან არის შესაცვლელი და ცხადია ეს ახალგაზრდებზე მოახდენს გავლენას.

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

რესპოდენტების აზრით ახალგაზრდა მოხალისეობრივი საქმიანობით დაინტერესდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაინახავს თავის როლს და მნიშვნელობას. ***„თუ ეუბნები რომ ფლაერები უნდა დაარიგონ და სხვა რამეს არ მიაყოლებ მხოლოდ ამის გაკეთების სურვილი არ გააჩნიათ, ხოლო თუ შემეცნებითი სახის იქნება ან დაუშვათ დარიგების დროს ინფორმაცია მიაწოდოს ამ შემთხვევაში თანახმანი არიან, რომ გარკვეულწილად იღებენ პროცესში მონაწილეობას".***

რესპოდენტების აზრით, მოხალისეობრივი საქმიანობა ახალგაზრდას აძლევს საშუალებას გამოცდილება დააგროვოს, რეალურად ნახოს სხვადასხვა საქმის შესრულების შინაარსობრივი ასპექტები. მათი თქმით ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობების განხორციელების პოპულარიზება მნიშვნელოვანია და ამაში ახალგაზრდებზე მომუშავე მხარეებმა ერთნაირად უნდა იმუშაონ. ***„რეალურად ძალიან დიდი გამოცდილება სჭირდება მოხალისეობრივი მიმართულებით მომუშავე ადამიანს, რომ ის ახალგაზრდა მიხვდეს თუ რა გამოცდილება წაიღო. ეს არის ძირითადი და მნიშვნელოვანი გამოწვევა ამ მიმართულებით".***

## 3.4. ახალგაზრდული ორგანიზაციები და საინიციატივო ჯგუფები

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ნაწილმა ახალგაზრდული ორგანიზაციების გახსენების დროს, დაასახელეს რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია, ხოლო დანარჩენმა ნაწილმა განაცხადა რომ მწირი ინფორმაცია აქვს ასეთი ტიპის ორგანიზაციების შესახებ და აქაც ისევ ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა დგას. რესპოდენტთა პირველი ნაწილი უფრო მეტად ინფორმირებულია არსებული ორგანიზაციების შესახებ რადგან თვითონვე არიან აქტიურად ჩართულები ამ ორგანიზაციების აქტივობებში და შესაბამისად მათთან მეტად ხდება ახალი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც, და რათქმაუნდა პოზიტიური შეფასებაც აქვთ ასეთი ტიპის ორგანიზაციების საქმიანობებისადმი.

რესპოდენტების თქმით, ორგანიზაციებმა ჩართულობის გაზრდისთვის სოციალურ კამპანიებს უფრო მეტად უნდა მიმართონ. პრობლემა, რომელიც გაჟღერდა დისკუსიის დროს დაკავშირებული იყო ახალგაზრდებში შესაძლო შიშებთან სიახლეების მიმართ, რაზეც პოზიტიური კამპანიები უფრო კარგად იმუშავებს. სოციალურ ქსელებშიც ხანდახან მხოლოდ ერთი განცხადება იდება, რომელსაც მეტი დარეკლამება სჭირდება, რაზეც მცირე პროექტების მქონე ორგანიზაციები შეიძლება ვერც ახერხებდნენ. ***„საინფორმაციო კამპანიის წარმოება მინიმუმ 2 კვირა მაინც უნდა მიმდინარეობდეს, რომ დაინტერესება გამოიწვიო ახალგაზრდებში, ისეთი ახალგაზრდები არიან რომლებიც მიჩვეულები არიან მარტივად მიიღონ ინფორმაცია სოციალური ქსელებიდან და ასევე ეს ინფორმაცია უნდა იყოს მარტივად გადმოცემული ერთი აბზაცით და არა გრძელი ტექსტებით, დღეს ბევრი ორგანიზაციის პრობლემაც მსგავსია."***

### NEET ჯგუფის წარმომადგენლები

რესპოდენტებმა განაცხადეს, რომ სმენიათ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, თუმცა საერთოდ არ ფლობენ ინფორმაციას რას საქმიანობენ ისინი, მითუმეტეს თუკი არსებობს რაიმე პროექტები რომლებიც მათ საჭიროებებზეა მორგებული. ასეთი სახის ინფორმაცია საერთოდ არ

მიეწოდებათ. გარკვეულწილად გამოიკვეთა უნდობლობის ფაქტორიც, რაც სწორედ დაბალი ინფორმაციული დონისგან არის გამოწვეული.

*„არც მაქვს დიდად ინტერესი მათ აქტივობებში ჩართულობის და ასევე არც ვიცი მათ შესახებ ინფორმაცია, ჩემამდე არ მოსულა თუ რა საქმიანობას ეწევიან ეს ორგანიზაციები.“*

## ახალგაზრდული მუშაკები

გამოკითხული ახალგაზრდა მუშაკების აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც ახალგაზრდების საჭიროებებზე მუშაობენ რათქმაუნდა მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ. მაგრამ პრობლემა ერთიანი გეგმის არ არსებობაა რაც ართულებს კოორდინაციას. *„როცა ვიცი რა საჭიროება არსებობს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში მაშინ მე იმ მიმართულებით დავიწყებ მუშაობას, ძალიან ბევრი ორგანიზაცია არის აქტივობებიც მრავლად არის მაგრამ დიდ პრობლემას წარმოადგენს ერთმანეთში კოორდინაცია, თუ დაუშვათ მოხალისეობრივი განვითარება არის მნიშვნელოვანი ჩვენს აქტივობებში და პროექტებში ჩავდოთ ამ მიმართულების შესაბამისი აქტივობები ამ შემთხვევაში ეს კოორდინირებული მოქმედება იქნებოდა და არა ქაოტური“.* მათი შეფასებით კოორდინაციის პროცესში ჩართული უნდა იყოს თვითმმართველობაც, რომელმაც გადაწყვეტილება დეცენტრალიზებულად უნდა მიიღოს.

რაც შეეხება თვითონ ახალგაზრდების ინიციატივებსა და იდეებს, ამ მიმართულებით პრობლემები კომპლექსურია. პირველ რიგში ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაცია შესაძლებლობების შესახებ, ასევე ძალიან დაბალია ინტერესი, ასევე არ იციან თუ როგორ დაწერონ ესა თუ ის იდეა და შესაბამისად უნარების ნაკლებობაცაა. *„ჩვენ გვქონდა ახალგაზრდული კლუბი ჩამოყალიბებული, დიდი დაინტერესება იყო ახალგაზრდების მხრიდან და დაახლოებით 25 ახალგაზრდა იყო რომელიც სისტემატურად მუშაობდა და ამ პროექტში იყო ინიციატივების განხორციელება, პროექტების შემუშავება და ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და ახალგაზრდობის სააგენტომ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ეს იყო საინიციატივო ჯგუფებისთვის და ორგანიზაციებისთვის, გრანტის ოდენობა იყო 15000 ლარი, ჩვენი ჯგუფიდან 18 ადამიანი დაინტერესდა გააკეთეს საინიციატივო ჯგუფები და გააგზავნეს, მაგრამ გამარჯვებული იდეები არ დაფინანსდა რადგან სამინისტრომ ხელი არ მოაწერა და ეს თანხაც გაქრა. ეს ცუდი ქეისები ძალიან ცუდია ახალგაზრდებისთვის რადგან მეორეჯერ ისინი აღარ დაწერენ, ხოლო ამ მიმართულებით აუცილებელია ახალგაზრდული ორგანიზაციების გააქტიურება.“*

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციები ფინანსურად არასტაბილურები არიან და ხშირად კარგი იდეების გვერდზე გადადება უწევთ. ისინი ხშირად ვერ უწევენ კონკურენციას მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებს. მათი მოსაზრებით ასეთი ორგანიზაციების ხელშეწყობა აუცილებელია, რადგან ისინი სწორედ ისეთ ჯგუფებზე არიან ორიენტირებული, რომლებთაც სპეციფიური პრობლემები და გამოწვევები აქვთ და მათი საერთო პროცესებიდან გარიყვა არ შეიძლება.

## არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისში ორგანიზაციების ჩართულობა საკმარისი არაა. მათი შეფასებით, მაშინ, როდესაც ქალაქისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის საჭირო მიზნებია განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში,

არსებული ფინანსური რესურსები როგორც წესი საკმარისი არ არის და მიზნის მიღწევის სისრულეს ხელს უშლის. რესპოდენტები თვლიან, რომ ადამიანური კაპიტალი, ახალგაზრდების სახით, რომელიც მობილიზდება ორგანიზაციის შიგნით ხშირად წარმომადგენენ ძალიან აქტიურ და კარგ ახალგაზრდულ კადრებს, თუმცა ფინანსების სიმწირის გამო ორგანიზაციები ვერ სთავაზობენ მათ დასაქმებას, მითუმეტეს ანაზღაურებით.

***„ორი პროექტი განვახორციელე ქუთაისი მერიასთან, რომელიც საკმაოდ კარგი პროექტი იყო, საპილოტედ მოვიცვი 46 სკოლიდან ქუთაისის 15 სკოლა და მსურს რომ გავაგრძელო და სრულიდან დავფარო დანარჩენი სკოლებიც მაგრამ ამისათვის მინიმუმ 20000 მაინც მჭირდება, ეს მხოლოდ ვგულისხმობ აქტივობებისთვის და არა ჩემი რესურსისთვის.“***

# 4. ახალგაზრდული საქმიანობები

## 4.1. ახალგაზრდული სივრცეები

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

დისკუსიის დროს, რამდენიმე ახალგაზრდამ დაასახელა ქალაქ ქუთაისში არსებული ახალგაზრდული სივრცე კოლეჯ „იბერიაში“, რაზეც უმრავლესობას ინფორმაცია არ ქონდა და მათთვის სიახლეს წარმოადგენდა. ***„ახლახან გავიგე ამის შესახებ და შოკირებული ვარ რადგან სულ ამას ვამბობდით რომ გვჭირდებოდა სივრცე სადაც შევძლებდით სხვადასხვა აქტივობის თუ საქმიანობის გაკეთებას, სივრცე არის ნებისმიერი ადამიანისთვის და აქვს უფლება შევიდეს, რა თქმა უნდა ამის არსებობა კარგია მაგრამ უნდა მეტი არსებობდეს რადგან ყველა ნიკეაზე ვერ მოვხვდებით ძალიან შორია.“***

სივრცეების დასახელებისას, ასევე დასახელდა სკოლის ბიბლიოთეკები, თუმცა აღნიშნეს, რომ მათი გამოყენება დროის თვალსაზრისით არის შეზღუდული და არ ეძლევათ ახალგაზრდებს განახორციელონ აქტივობები. დასახელდა სკვერებიც, როგორც ახალგაზრდების შეკრების ადგილი, თუმცა იქვე აღინიშნა რომ სკვერი არც ისეთი მოსახერხებელია, რადგან იქ თავს სხვა ჯგუფებიც იყრიან თავს და ხშირად სარისკოა დიდი დროის იქ გატარება. ასევე დასახელდა ამერიკული კუთხე, რომელიც აშშ საელჩოს დაფინანსებითაა შექმნილი.

***„მომწონს ამერიკული სივრცე სადაც არსებობს შესაძლებლობა სხვადასხვა მასალის წაკითხვის და ინფორმაციის მიღების, ასევე გამოყენება იმ ინვენტარის რომელიც იქ არის, კერძოდ ფლიფჩარტი და მარკერები, რომელიც ჩვენთვის იყო სასწაული იმ დროს რომ მსგავსი რამის გამოყენება შეგვეძლო და ვფიქრობ რომ კარგი იქნება რომ ქუთაისის პარლამენტი გადავაკეთოთ ახალგაზრდულ სივრცედ და ამას ვლობირებ.“***

საერთო შეფასებით, ფიზიკური სივრცეები ქუთაისში ნაკლებად არის. ახალგაზრდებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ქუთაისში გაიხსნას ტექნო-პარკი. ახალგაზრდების შეფასებით, სივრცეების არსებობა გაუმარტივებს მათ სოციალიზაციას, ინტერესები იდენტიფიცირებას, მისცემს საშუალებას აღმოაჩინონ მათთვის საინტერესო მიმართულებები. ასეთ სივრცეებში რა თქმა უნდა მნიშნელოვანია გარემო, ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა, შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და სამუშაო თუ საკონფერენციო სივრცეების არსებობა.

### NEET ჯგუფის წარმომადგენლები

ახალგაზრდულ სივრცეებზე რესპოდენტებს გაახსენდათ ბიბლიოთეკები, პარკები, სკვერები. მათი შეფასებით რთულია ისეთი ადგილის პოვნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, ექნებათ ინტერნეტზე წვდომა და ახალგაზრდულ საქმიანობებს დაგეგმავენ ან განახორციელებენ. რესპოდენტები თვლიან რომ სივრცეების ნაკლებობა ნამდვილად არის ქუთაისში. მათ შეუძლიათ მივიდნენ ბარში და იქ შეიკრიბონ, მაგრამ ბარი არ წარმოადგენს იმ გარემოს სადაც ყველა თავის აზრს გააზიარებს და შესაძლებელია ასეთმა შეკრებებმა ვინმე შეაწუხოს, ამიტომ ძირითადად სახლებში და ოფისებში ხდება მსგავსი შეკრებები, სოციალური შეკრების ადგილები ახლაგაზრდებისთვის რომ იდეები გაცვალონ და რაიმე დაგეგმო მათთვის არ არსებობს.

### ახალგაზრდული მუშაკები

რა თქმა უნდა ახალგაზრდული მუშაკები ყველა სხვა გამოკითხული რესპოდენტის მოსაზრებას იზიარებენ, და აღნიშნავენ რომ ქუთაისში ახალგაზრდული სივრცეების საჭიროება ჯერ კიდევ დგას. სივრცეების არსებობა აუცილებელია, რათა ახალგაზრდებმა მოახდინონ ინტეგრირება არაფორმალური და ფორმალური აქტივობების. მათ აღნიშნეს, რომ ქუთაისში არსებობს გარკვეული სივრცეები, როგორიცაა კოლეჯ იბერიაში არსებული სივრცე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციების სივრცეები, თუმცა აქვე დასძინეს რომ მათი გამოყენების ტენდენცია დაბალია სხვადასხვა მიზეზები გამო (მანძილი, კეთილმოწყობა, სიდიდე, დროითი შეზღუდვა, სხვ,). მათი მოსაზრებით მედია-თეკების მსგავსი სივრცის გაჩენა ქუთაისში მეტად გააცოცხლებს ახალგაზრდებში ინტერესს გახდნენ აქტიურები და მეტად შეძლებენ ინფორმაციის მიღებას მიმდინარე ღონისძიებებისა თუ შესაძლებლობების შესახებ.

***„ესეთი სივრცეები ნამდვილად არ არის, როდესაც სტრატეგიის დოკუმენტი იწერებოდა მერიას ქონდა მცდელობა რომ თვითონ შეექმნა მსგავსი სივრცეები შენობაში მუნიციპალიტეტის დონეზე, თუმცა გადაწყდა რომ კოლეჯ იბერიის ერთ-ერთი ოთახი გამოიყო ამისთვის და აღიჭურვა და გადაკეთდა ახალგაზრდულ სივრცედ, თუმცა არ ვარ დარწმუნებული რომ ამ სივრცეს ვინმე იყენებს მიზნობრივად, აქაც გვაქვს ინფორმაციის ნაკლებობასთან ადგილი და ასევე მიუწვდომელ ადგილას მდებარეობს.“***

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

რესპოდენტების აზრით სივრცეების პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელ საკითხად რჩება ქალაქ ქუთაისში. იმისდა მიუხედავად, რომ ქალაქში პოზიტიური ცვლილებები ფიქსირდება, არსებული სივრცეები ვერ აკმაყოფილებს ახლაგაზრდების საჭიროებებს. მათი აზრით, სივრცეებში არ არსებობენ კადრები, რომლებიც ამ სივრცეების განვითარებაზე იზრუნებენ და მეტ შესაძლებლობებს შესთავაზებენ ახალგაზრდობას.

## 4.2. ახალგაზრდული ინიციატივების და იდეების მხარდაჭერა

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში ხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა. რესპოდენტების შეფასებით, ასეთი ტიპის

პროგრამების არსებობა ხელს უწყობს მათ განვითარებას. თუმცა აქაც გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან. კერძოდ, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ქონდათ მიღებული მონაწილეობა მსგავს პროგრამებში. მათი შეფასებით, ინიციატივების დამუშავებისა და წარდგენის პროცესში გადააწყდნენ რიგ პრობლემებს, რაზეც მათ არ ქონდათ მზაობა და ცოდნა. ძირითადად ეს პრობლემები დაკავშირებული იყო პროექტის წერის უნარებთან, ბიუჯეტირებასთან და მოთხოვნილი დოკუმენტების სრულფასოვნად შევსებასთან.

დისკუსიამ გამოავლინა, რომ ახალგაზრდებს რომლებსაც აქვთ სურვილი წარადგინონ საკუთარი ინიციატივები, მიიღონ დაფინანსება და წამოჭრან იდეები, სინამდვილეში არასაკმარისი ცოდნა და უნარები აქვთ და ესაჭიროებათ გადამზადება ამ მიმართულებით. მათი შეფასებით, აუცილებელია რომ მოხდეს დაინტერესებული ახალგაზრდების წინასწარი გადამზადება, როგორც ტექნიკური მასალის შევსების, ასევე შინაარსობრივი იდეის ფორმირებასა და ბიუჯეტირებაში. დამატებით, როდესაც პროექტი ან ინიციატივა ვერ იმარჯვებს, მათი თქმით, კარგი იქნება თუ ორგანიზატორები გაუზიარებენ რჩევებს მომავალში გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

***„ეს ყველა ახალგაზრდას არ შეუძლია აქედან გამომდინარე ეს ყველაფერი უნდა იყოს გასაგებ ენაზე ახნილი როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ნაწილი.“ „მცირე შეცდომა გაგვეპარა ბიუჯეტში ძალიან ცუდი დამოკიდებულება წამოვიდა რამდენიმე ადამიანის მხრიდან და ეს არის დამთრგუნველი მსგავს უკუკავშირს რომ იღებ, ამაში ძალიან დიდი რესურსი ჩავდეთ და მათგან მსგავსი მიდგომა იყო არასწორი.“***

***„ვფიქრობ რომ სააპლიკაციო ფორმა და რეგისტრაცია უნდა იყო გამარტივებული და ჩვენზე მორგებული.“***

მონაწილეების შეფასებით, ახალგაზრდების უმეტესობა საერთაშორისო პროექტებში ინიციატივები წარდგენისგან თავს იკავებს, რადგან საკუთარი შესაძლებლობების არ ჯერათ და ფიქრობენ, რომ მათი ინიციატივა არასდროს გაიმარჯვებს. ***„მათ აქვთ მსგავსი ფრაზები მე ვინ მიმიღებს მე ვინ გაგამარჯვებინებს და არ წამთ საკუთარი შესაძლებლობების, ამის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ადგილობრივ დონეზე მოხდეს მსგავსი ინიციატივების წახალისება.“***

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ არ სმენიათ ისეთი შესაძლებლობების შესახებ სადაც მათ ინიციატივას დააფინანსებენ ან მხარს დაუჭერენ. რესპოდენტების დამოკიდებულება მსგავსი საკითხებისადმი საგრძნობლად პესიმისტურია. ახალგაზრდების NEET ჯგუფის დაბალი აქტიურობის მიზეზებად კვლევამ ინერტულობა, მიგრაცია, სოციალურ ქსელზე მიჯაჭვულობა, განვითარების სურვილის არქონა და პესიმიზმი გამოავლინა.

## ახალგაზრდული მუშაკები

ახალგაზრდა მუშაკებს საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ ახალგაზრდების უნარები თუ რამდენად ახერხებენ ისინი საკუთარი ინიციატივების ფორმირებას და შემდგომ პროექტებად გარდაქმნას. მათი შეფასებით, დიდი გამოწვევაა ახალგაზრდებს შორის პროექტების წერის თუ ფინანსური დათვლების კუთხით. ასევე რესპოდენტმა გაიხსენა შემთხვევა,

როდესაც საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა პროექტი, ჩაატარა შეხვედრები, მიიღო ახალგაზრდული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა თუმცა აღნიშნული პროგრამა შეწყდა და პროექტში ჩადებული შრომა დაიკარგა. ასეთი შემთხვევები ნეგატიურ გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე და დემოტივაციის წყაროა მათთვის.

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები თვლიან, რომ ახალგაზრდას ჯერ უნდა შეეძლოს საკუთარი კომპეტენციების გაძლიერება იმისათვის რომ შემდგომში სრულფასოვნად შეძლოს რაიმე სახის გამოცხადებულ ინიციატივაში მონაწილეობა. თუმცა, ახალგაზრდულ ინიციატივებში მონაწილეობას ხშირად მონაწილეობის კრიტერიუმებიც აფერხებს. მათი შეფასებით, გარკვეულ მუნიციპალურ პროგრამებზე არსებობს მოთხოვნები (ფინანსურ ხარჯვებთან დაკავშირებული), რომელსაც ახალგაზრდა ვერ განახორციელებს და ამიტომ უარს ამბობს მონაწილეობაზე. რესპოდენტების აზრით, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა პრობლემას არ წარმოადგენს, პირიქით, მათთან ძალიან გამართული კომუნიკაცია არსებობს. თუმცა, იმისათვის რომ ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილება ბოლომდე მოხდეს, ხშირად ეს პროცესი დიდ დროით რესურს მოითხოვს და დროში იწელება.

## 4.3. არაფორმალური განათლება

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტების თქმით, ახალგაზრდებს აქვთ გამოწვევები არაფორმალური განათლების დაინტერესების მხრივ, იმიტომ რომ ისინი მიჩვეულები არიან რომ სკოლა უნდა დაამთავრონ, შემდგომ უნივერსიტეტში ჩააბარონ და შემდგომ უკვე მუშაობა დაიწყონ, ხოლო არაფორმალური განათლება სინამდვილეში მათ ძალიან ეხმარება უნარების გაუმჯობესებაში და ასევე პრაქტიკული უნარების შეძენაში, რასაც შეიძლება სკოლა და უნივერისტეტი არ ან ვერ გაძლევდეს. ძალიან ბევრი ორგანიზაციაა რომელიც ახალგაზრდებზე მუშაობს ქუთაისში, ხოლო როდესაც იწყება რამე პროექტი ყოველთვის არის ადამიანების ნაკლებობა.

რესპოდენტების მოსაზრებით, ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ახალგაზრდებს ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები და გამოცდილება სჭირდებათ, ვიდრე ფორმალურ საგანმანათლებლო ინსტიტუტებში იღებენ. მათ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მრავალი ურთიერთგანსხვავებული გარემო მოქმედებს: ოჯახი, სკოლა, სამუშაო ადგილი, თანატოლები, მედია და ა.შ. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ახალგაზრდული საქმიანობა. ახალგაზრდული საქმიანობა ავსებს ფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტს (ოჯახი, სამსახური, სკოლა და ა.შ.) და სთავაზობს ახალგაზრდებს ხელშესახებ უპირატესობებს არაფორმალური და ფორმალურს გარე სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით და შესაბამისი მიზნობრივი მიდგომებით.

### NEET ჯგუფის წარმომადგენლები

NEET ჯგუფის რესპოდენტებმა გამოხატეს დიდი სურვილი მიიღონ არაფორმალური განათლება, რადგან ესმით რომ მსგავსი გადამზადებით მეტი შესაძლებლობა შეიძლება გაუჩნდეთ დასაქმების კუთხით, თუმცა აღნიშნავენ რომ არსებული შესაძლებლობების მიმართ სკეპტიკურად არიან განწყობილები. კერძოდ, მათი შეფასებით ახალგაზრდებს არ მიეწოდებათ ხარისხიანი გადამზადების  კურსები, არსებული ტრენინგები არ პასუხობენ ბაზრის მოთხოვნებს, ამიტომ ხშირად მათ მეგობრებში უკმაყოფილება გამოუწვევია. რათქმაუნდა ნეგატიური გამოცდილების გაზიარების შემდგომ, თვითონაც აღარ ქონიათ სურვილი მონაწილეობის მიღების.

### ახალგაზრდული მუშაკები

ახალგაზრდული მუშაკების შეფასებით, ზოგადად ახალგაზრდებს მაღალი ინტერესი და პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ არაფორმალური განათლებისადმი. თუმცა, მათი აზრით გარკვეული განსხვავებებია ასაკობრივ ჭრილებში, კერძოდ, სკოლის მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ გააზრებული არაფორმალური განათლების საჭიროება და მეტად ორიენტირებულები არიან ფორმალურზე, ხოლო მაღალი ასაკის ახალგაზრდებში არაფორმალური განათლება მეტად აქტუალურია, რადგან გააზრებული აქვთ რომ უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესება მათთვის მნიშვნელოვანი და პოზიტიური გავლენის მომტანია. რესპოდენტების აზრით, სწორედ არაფორმალური განათლებაა ის მიმართულება, რაზეც ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა ზრუნავდეს.

***„არაფორმალური განათლების შესახებ ცოტა რამ თუ იციან სკოლაში და ჭირს მათთან მუშაობა, ასევე არაპოპულარულია ეს მიმართულება, ყველაზე მეტად მიადვილდება 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდებთან თანამშრომლობა, ისინი თავად მოდიან ჩვენთან, გააზრებული აქვთ თუ რა უნდათ, არაფორმალური განათლება ეხმარება მათ სხვადასხვა კომპეტენციების შესწავლაში.“***

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

ორგანიზაციის წარმომადგენლები, საკუთარი გამოცდილებით ახალგაზრდების არაფორმალურ განათლებაში ჩართულობას ზოგადად პოზიტიურად აფასებენ. მათი შეფასებით, შესაძლოა ჯერ კიდევ ბევრი ახალგაზრდაა ამ შესაძლებლობების მიღმა დარჩენილი, თუმცა აღსანიშნავია ბოლო წლებში დადებითი ტენდენცია ინტერესის გაზრდისა და მონაწილეობის კუთხით. მათი შეფასებით, ახალგაზრდების ჯგუფების ნაწილმა იცის რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია რა სახის აქტივობებს ატარებს და იღებენ მონაწილეობას სწორედ ყველაზე ხშირად არაფორმალური განათლების მიმართულებით. ახალგაზრდებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობის მიღება აღიქმება პოზიტიურ მოვლენად.

## 4.4. უსაფრთხო და ინკლუზიური ახალგაზრდული პროგრამები

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტთა ნაწილს ქონდა გამოცდილება რამდენიმე მუნიციპალურ პროგრამაში მონაწილეობის. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ თუ პროექტის მონაწილე ხდებოდა, როგორც წესი ეს სრულიად დაუგეგმავი იყო და შემთხვევით იღებდნენ ინფორმაციას. მონაწილეობა შეაფასეს

დადებითად, მაგრამ განაცხადეს რომ როგორც წესი ერთიდაიგივე ახალგაზრდები იღებენ მონაწილეობას და ახალ სახეებს ნაკლებად ხედავენ ხოლმე.

*„თუმცა გვჭირდება ალბათ უფრო მეტი პროექტი და მეტი ახალგაზრდის ჩართულობა, რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას სულ ერთი და იგივე ახალგაზრდები არიან ჩართულები იღებენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, არასამთავრობო ორგანიზაციების პრობლემაც ეს არის რომ კონკრეტულ ახალგაზრდებს ირჩევენ და მათზე აწყობენ ყველაფერს.“*

ახალგაზრდების თქმით, ინფორმაცის მიღება ხდება სოციალური მედიის საშუალებით. ხშირად ძალიან კარგი პროექტები ხორციელდება და ბევრ მათგანში გამოთქვამენ სურვილს რომ მიიღონ მონაწილეობა. მათი თქმით, სამწუხაროა, რომ ბიზნეს ხელშემწყობი აქსელერატორები და პროექტები ნაკლებადაა ქუთაისში, შესაბამისად ის ახალგაზრდები რომლებიც ამ თემით არიან დაინტერესებული სხვა რეგიონებში მიდიან მონაწილეობის მისაღებად.

*„შარშან მოვიგეთ სტარტაპ პროექტი ზუგდიდში, რადგან ქუთაისში ტექნო პარკი არ არსებობს და რომ არსებობდეს უკეთესი იქნებოდა, ვაკეთებთ პროექტს კულტურული მარშუტების დაგეგმვას და ამ მიმართულებითაც სამეგრელოში უფრო ჩართულია ადგილობრივი თვითმართველობა ვიდრე ქუთაისში, ბიზნესის და სტარტაპის მხრივ არც ისეთი შესაძლებლობა არის ქუთაისში.“*

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

ამ ჯგუფის რესპოდენტებმა განაცხადეს რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. თუმცა საუბარში მათ გაიხსენეს როკ მუსიკის ფესტივალი და ასევე განაცხადეს, რომ აქვთ გაგებული *„რომ რაღაც აქტივობები ხდება, სადაც შესაძლებელია გადამზადება“* თუმცა სრულყოფილ ინფორმაციას არ ფლობენ. მათი თქმით, ინფორმაციის ქონის შემთხვევაში, ისინი მზად არიან მიიღონ მონაწილეობა უფასო გადამზადების პროგრამებში და განსაკუთრებით მოთხოვნადი პროფესიების შესწავლის პროგრამებში, როგორიცაა მაგალითად გრაფიკული დიზაინი, კომპიუტერული მეცნიერებები და მისთ.

ახალგაზრდებზე მომუშავე სტრუქტურებისა და ორგანიზაციების ყველაზე დიდი გამოწევაა NEET ჯგუფის იდენტიფიცირება და შესაბამისი შესაძლებლობების შესახებ ინფომრაციის მიწოდება. საჭიროა მუნიციპალურ დონეზე ამ ჯგუფის ახალგაზრდების აღრიცხვა, ყველაზე კარგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ერთეულების ჭრილში.

## ახალგაზრდული მუშაკები

რესპოდენტების მოსაზრებით, მუნიციპალური პროგრამების ეფექტიანობისათვის სწორედ ახალგაზრდული საბჭოს გააქტიურებაა საჭირო, არამარტო ბიუჯეტირების პროცესში, არამედ ყველა ინიციატივის მოსმენის და დამტკიცების დროს. *„აქ არის პრობლემა პრიორიტეტების დალაგების კუთხით, პირველ რიგში უნდა იყოს პრიორიტეტი ახალგაზრდები და შემდგომ უკვე სხვა, მაგალითად თუ სპორტს ხმარდება უფრო მეტი თანხა ვიდრე ახალგაზრდებს ეს სწორი არ არის“.*

რესპოდენტები თვლიან, რომ მუნიციპალიტეტის პროგრამები უფრო მეტად განათლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული და სწორედ ამ მიმართულებით უნდა იხარჯებოდეს თანხები. თვითმართველობის წარმომადგენლებმა უნდა შეუწყონ ხელი დაინერგოს ისეთი პლატფორმები, რომ უკეთესი კომუნიკაცია შედგეს მას და ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდული მუშაკების

აზრით, ხშირი საინფორმაციო კამპანიები ამ მიმართულებით უფრო მეტი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ მეილის საშულებით სამიზნე ჯგუფების ინფორმირება საკმარისი არ არის.

## 4.5. გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტების მოსაზრებით, ქუთაისში ახალგაზრდებს არ აქვთ შესაძლებლობა გაერთონ, იგულისხმება გამოფენები, კონცერტები, და მისთ. შესაძლოა ახალგაზრდას სულაც არ ქონდეს სურვილი და ინტერესი არაფორმალური განათლების მიღების, არამედ მხოლოდ ფორმალურ განათლებას იღებდეს. სწორედ ასეთი ახალგაზრდებისთვის არ არსებობს არანაირი შესაძლებლობა სადაც მოახდენს განტვირთვას, ან დაესწრება რაიმე ღონისძიებას.

***„მე მაგალითად მე-7 კლასიდან ვარ ჩართული ამ მიმართულებით, აქტიურად ვიღებ მონაწილეობას ყველაფერში და ეხლა უკვე ვარ 22 წლის და ჩემთვის უკვე ეს ყველაფერი მოსაწყენი გახდა, მნიშვნელოვანია ახალგაზრდული სივცრეები რომლებიც არ გვაქვს, აუცილებელია ეს იყოს ქალაქის ცენტრში სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავშეყრას და საუბარს სხვადასხვა თემებზე.“***

მონაწილეთა ნაწილი აქვე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში არ არის გასართობი/დასასვენებელი სივრცეები, სადაც მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ერთად შეძლებდნენ დროის გატარებას.

### NEET ჯგუფის წარმომადგენლები

გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობებიდან რესპოდენტებმა ქუთაისში კაფე-ბარები და კლუბები დაასახელეს. მათი შეფასებით, დროთა განმავლობაში ქალაქში ემატება განტვირთვის ადგილები. მათი შეფასებით, აქ პრობლემას ტრანსპორტის არარსებობა წარმოადგენს, რადგან ***„საღამოს 10-ის მერე რომც გინდოდეს გასვლა სადმე გასართობად სახლში ვეღარ წახვალ უტრანსპორტობის გამო. ტრანსპორტირების პრობლემა არის ასევე იმ თვალსაზრისით რომ ნახევარ საათში ერთხელ არ მოდიან და როდესაც მოდის ეს ტრანსპორტი იმდენად გადაჭედილია რომ ვერ ახერხებ ასვლას ბავშვებთან ერთად და ამ დროს გიწევს ლოდინი გარეთ სიცივეში.“***

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

რესპოდენტების თქმით, ადგილები სადაც ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ გართობისა და დასვენების მიზნით არის კაფე-ბარი, სკვერები და სტადიონი/სათამაშო მოედანი. მათთვის ხშირად მიუმართავთ ახლაგაზრდებს გასართობი სივრცეების დაარსების ინიციატივით, რადგან თვლიან რომ სივრცე სადაც ახალგაზრდები სრულფასოვნად გაერთობიან და თავისუფალ დროს გაატარებენ. რესპოდენტების თქმით, ახალგაზრდებს უყვართ საკუთარ ქალაქში ყოფნა, თუმცა ასაკის მატებასთან ერთად ისინი კარგავენ ინტერესს, ვერ რეალიზდებიან და ტოვებენ ქალაქს.

## 4.6. ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტთა უმრავლესობის თქმით, ახალგაზრდული მუშაკების შესახებ სმენია, თუმცა კონკრეტულად რას საქმიანობენ არ იციან ქუთაისში ახალგაზრდული მუშაკების შესახებ ***„მე არ მსმენია და არც მათ საქმიანობის შესახებ არ ვიცი და არც შეხება არ მქონია“***. ხოლო ფოკუს ჯგუფის იმ ნაწილმა, რომლებმაც აღნიშნეს რომ იციან ახალგაზრდული მუშაკების შესახებ, განაცხადეს, რომ ქუთაისში მათი აქტივობა და საქმიანობა ძალიან დაბალია და ჩამოუვარდება სხვა მუნიციპალიტეტში აქტიურობას.

***„როგორც მასწავლებელი არ არის ენთუზიაზმით განწყობილი და ატარებს ჩვეულებრივ გაკვეთილებს ისე არის მუშაკებიც, ვისურვებდი რომ იყოს უფრო მეტად აქტიურები მრავალფეროვანი პროექტებში ახალგაზრდების ჩართვით დაკავებული და ამ მიმართულებით მათი დაინტერესება და ასევე მათი რაოდენობის გაზრდა ქუთაისში რადგან მუშაკები ძალიან ცოტა არის.“***

ზოგადი შეფასებით ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა რესპოდენტებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. მათი თქმით, ეს ადამიანები უნდა იყვნენ მომართული პრობლემური კერების აღმოჩენებისკენ ახალგაზრდებში და ეცადონ მათ გადაჭრას. მათ აღნიშნეს, რომ ეს საქმიანობა ჯერ საქართველოში არ არის პოპულარული, როგორც პროფესია აღიარებულიც კი არაა. ამიტომ ახალგაზრდული მუშაკების ინერტულობა მათ დაბალ მოტივაციაში შეიძლება ვეძებოთ. ***„მათი საქმიანობა ძალიან რთულია რადგან ყველა ტიპის ახალგაზრდასთან გიწევს მუშაობა, ასევე მრავალფეროვანია და ყველა ეტაპზე მუშაობის სულ ახალ ინფორმაციას და გამოცდილებას იღებ.“***

### NEET ჯგუფის წარმომადგენლები

ჩაღრმავებული ინტერვიუებისას, NEET ჯგუფის რესპოდენტებს შორის სრულიად განსხვავებული პასუხები დაფიქსირდა, როდესაც ახალგაზრდულ მუშაკების შესახებ დაისვა შეკითხვა: სრულიად არ აქვს ინფორმაცია; გაუგია თუმცა არ იცის რას საქმიანობენ; ზუსტად იცის ვინ არიან და რას საქმიანობენ.

***„ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობა რა თქმა უნდა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მე პირადად მათთან საერთოდ არ მქონია შეხება, თუმცა მქონია სხვა რეგიონის მუშაკებთან შეხება და ვიცი რა სახის საქმიანობას ეწევიან, რადგან ისინი არიან ადამიანები რომლებიც პრობლემურ კერებს აღმოაჩენენ და მის აღმოფხვრაში მონაწილეობენ და როდესაც რაიმე პრობლემებზე საუბრობენ ახალგაზრდები ზუსტად მუშაკები არიან ის ადამიანები რომლებსაც უნდა გაუზიარონ ჩემი აზრით.“***

### ახალგაზრდული მუშაკები

ახალგაზრდულმა მუშაკებმა განმარტეს, რომ  მათი მთავარი დანიშნულებაა ახალგაზრდებთან მუშაობა მათი საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზნით, ამისათვის ისინი იყენებენ სხვადასხვა მეთოდს, ძირითადად არაფორმალური განათლებას, ეს იქნება ახალგაზრდული სივრცეები გარე აქტივობები თუ სხვა. მათი შეფასებით, ახალგაზრდული მუშაკი საქართველოში ძალიან ცოტაა, განსაკუთრებით კი ქუთაისში, ფორმალურ განათლებას არ აქცევენ ყურადღებას.

სასიხარულოა ის გარემოება რომ არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აფასებენ მათ შრომას და მხარს უჭერენ მათ.

*„ჩვენთან ახალგაზრდული მუშაკის შესაძლებლობების 20%-ს იყენებენ, ისეთი როლი აქვს რომ სხვა საგანმანათლებლო კუთხით ვერ ჩაანაცვლებ. ახალგაზრდას სჭირდება საკუთარი საჭიროებების იდენტიფიცირება და ამ მიმართულებით მუშაობა, მაგალითად გუნდური მუშაობა, პრეზენტაციის უნარი და ა.შ. , რომელსაც სკოლაში არავინ არ ასწავლის.“*

რესპოდენტებმა გამოხატეს წუხილი, იმასთან დაკავშირებით, რომ კადრები პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში *„გარბიან თბილისში“* რაც კიდევ უფრო ამცირებს ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობას ადგილობრივად.

რაც შეეხება გამოწვევებს ამ მიმართულებით, რესპოდენტების თქმით რამდენიმე წლის წინ საერთოდ არ აღიქმებოდა მათი საქმიანობა მნიშვნელოვნად მოსახლეობაში, შესაბამისად არც ახალგაზრდები არ მოდიოდნენ მათთან სამუშაოდ. შედარებით ძველ პერიოდთან, ახლა უფრო გაუმჯობესდა მდგომარეობა, განსაკუთრებით მას მერე რაც ახალგაზრდობის სააგენტომ გასცა სახელმწიფო სერთიფიკატები. ახლა მუშაკებს ნაკლებად აქვთ წინააღმდეგობა და მეტი მიმღებლობაა სკოლებში, არასამთავრობოებსა თუ სამთავრობო დაწესებულებებში.

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობას და მათ მნიშვნელობას რესპოდენტები დადებითად აფასებენ, მათი თქმით, ისინი მნიშნელოვან რგოლს წარმოადგენენ პროექტის განმახორციელებლებსა და პროექტის ბენეფიციარ ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის გაცემის კუთხით და არა მარტო. მათი პოპულარიზების პროცესში ახალგაზრდული სააგენტოს როლი გამოყვეს, თუმცა აღნიშნეს, რომ ადგილობრივ დონეზე მათი ხელშეწყობა ისევ გასაგრძელებელია. კარგ მაგალითად რესპოდენტმა ახალგაზრდული ფორუმი გაიხსენა, სადაც სწორედ გამოჩნდა თუ რა შეუძლია ახალგაზრდულ მუშაკს რომ გააკეთოს. სხვა ახალგაზრდებმაც გაიაზრეს რომ მათთან ურთიერთობით მათ ახალ ინფორმაციასა და შესაძლებლობებზე შეიძლება გაუჩნდეთ წვდომა.

ერთ-ერთმა რესპოდენტმა ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების პროგრამის მნიშვნელობასაც. მისი თქმით, პროგრამა სრულად ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდული მუშაკის კომპეტენციების ზრდას, თუმცა იძლევა საშუალებას რომ მონაწილემ ზუსტად გაითავისოს მიდგომები და დამოკიდებულებები. *„მე ვფიქრობ რომ ეს პროგრამები რომ დაამატოს მუნიციპალიტეტმა იქნება ძალიან კარგი.“*

## 5. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

რესპოდენტების შეფასებით, ქალაქი ახალგაზრდებს ვერ სთავაზობს, ჯანსაღი ცხოვრების წესის წამახალისებელ ინფრასტრუქტურას, მოუწესრიგებელია არსებული ველო-ბილიკები. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალაქში ბევრი სპორტული ღონისძიება იმართება, რომელიც დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტით, რასაც დადებითად აფასებენ, თუცა მათი აზრით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია არ ხდება ახალგაზრდების ფართო ჯგუფებში ადრეული ასაკიდანვე.

მავნე ჩვევებთან დაკავშირებით რესპოდენტებმა ისევ სკოლის დონეზე არსებული პრობლემები დაასახელეს. მათი თქმით, ახალგაზრდების მოსაზრებით ნარკოტიკის გამოყენება *„კარგ ბიჭობასთან“* ასოცირდება. სამწუხაროდ მსგავსი მენტალიტეტის პოპულარობა ისევ აქტუალური და მწვავე თემაა ქუთაისში. რესპოდენტების თქმით *„ამის წახალისება ხდება სკოლაში, იმდენად ცუდად ხდება მასწავლებლების მხრიდან მიწოდება იმისა რომ ბავშვები რომლებიც სწავლობენ თითქოს ისინი „შკოლნიკები“ არიან და ამიტომ ხშირად არის რომ ახალგაზრდები მხოლოდ არიან ქუჩაში და სხვადასხვა ცუდ საქმიანობას ეწევიან, ამიტომ უნდა მოხდეს სკოლაში მასწავლებლის მშობლის ურთიერთშეთანხმება ერთად უნდა ხდებოდეს მსგავსი პრობლემების გამკლავება“.*

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

რესპოდენტებმა ქუთაისში მწვავე პრობლემად დაასახელეს ალკოჰოლის  და მარიხუანას მოხმარება. მათი შეფასებით, ძალიან ბევრი არასრულწლოვანი გახდა დამოკიდებული მათზე და ინტენსიურად მოიხმარენ. გამოსავალს საინფორმაციო კამპანიებში ხედავენ. მათი შეფასებით, მნიშნელოვანია რომ მოზარდებთან აქტიურად მიმდინარეობდეს საუბრები თუ რა რისკებთანაა დაკავშირებული ალკოჰოლისა და მარიხუანას მოხმარება.

*„მეც პირადად ვიყავი მარიხუანის მსხვერპლი, სკოლის პერიოდშიც კი და მივხვდი ეს ყველაფერი როგორი ცუდი იყო ორგანიზმისთვის და რამდენად ზიანის მომტანი იყო და ამიტომ დავანებე ამის მოხმარებას თავი. სკოლებში უნდა ჩატარდეს კამპანია თუ რამდენად დამაზიანებელია მარიხუანას მოხმარება და თუ რა ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს და ამის შესახებ აუცილებლად უნდა ქონდეთ ინფორმაცია.“*

*„პირველ რიგში უნდა მოხდეს აკადემიურ დონეზე განათლების მიცემა რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, მეორე ასევე არის ის რომ აუცილებელია სკოლებში მანდატურის სამსახურის გააქტიურება და გაძლიერება.“*

რესპოდენტების შეფასებით, მოზრდილ ადამიანს აქვს იმის გაანალიზების უნარი რა გააკეთოს და რა არა, და მისი გადასაწყვეტია რა არჩევანს გააკეთებს, ხოლო სკოლის ასაკის ბავშვებში აუცილებელია აქტიური ჩარევა და კამპანიები რადგან მოსწავლეები ინფორმირებული იყვნენ როგორ  ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს. ამ პროცესში აუცილებლად მიიჩნიეს როგორც ფსიქოლოგები, ისე დარგის ექსპერტების ჩართულობა.

## ახალგაზრდული მუშაკები

რესპოდენტების შეფასებით, ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ საჭიროა ერთიანი პოლიტიკის ხედვისა და სტრატეგიის არსებობა.  აღნიშნული დოკუმენტი უნდა იყოს მრავალმხრივი, რადგან მხოლოდ თამბაქოზე ფასის გაზრდა და გარკვეული ნარკო- პოლიტიკა არ მუშაობს, ჯანსაღ ცხოვრებაში უფრო მეტი შედის, მაგალითად გარემოს დაცვა, ქალაქების განაშენიანება და მისთ.  მათი შეფასებით უნდა ტარდებოდეს მუდმივი საინფორმაციო კამპანია თუ რა შედეგები მოაქვს არაჯანსაღ გარემოს და არაჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას. აქტივობები შეიძლება მოიცავდეს სპორტის პოპულარიზაციას, კლუბების შექმნას სკოლებში, პარა სპორტის დანერგვა, და რათქმაუნდა არაფორმალური განათლების კუთხით უნდა ხდებოდეს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება.

*„სკოლის ასაკში უფრო ნაკლებად არის არაჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, ხოლო სკოლის დამთავრების შემდგომ და ის ახალგაზრდები რომლებიც მე-9 კლასიდან გამოდიან ნამდვილად რისკი, რადგან მათ არ იცინ თუ რა აკეთონ და უსაქმურობის ნიადაგზე ზოგი აზარტული თამაშებით, ზოგი მარიხუანის მოწვით და ასევე ალკოჰოლის მიღებით კავდება“* - აღნიშნა რესპოდენტმა.

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

არასამთავრობო სექტორი წარმომადგენლებმა ალკოჰოლის დიდი ოდენობით მოხმარება, მარიხუანას მოხმარება და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დაასახელეს უმწვავეს პრობლემებად. მათი შეფასებით, ძალიან ბევრი არასრულწლოვანი გახდა დამოკიდებული მათზე და ინტენსიურად მოიხმარენ. გამოსავალს საინფორმაციო კამპანიებში ხედავენ, სადაც აუცილებელია როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ორგანიზაციებს, ასევე ახალგაზრდებისთვის ავტორიტეტული პირების ჩართვა საინფორმაციო კამპანიების სახით.

## 6. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა

### ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები (ახალგაზრდები 14-29 წელი)

მონაწილეთა უმრავლესობის მოსაზრებით, ქუთაისში და ალბათ ზოგადად ყველგან ახალგაზრდებისთვის ძალიან შეუთავსებელია მუშაობა და სწავლა, რადგან ამის საშუალება მათ არ აქვთ განსაკუთრებით სკოლის პერიოდში. *„ყოველთვის ვმუშაობდი არდადეგების დროს და ძალიან კარგი იქნებოდა თუ იარსებებდა ნახევარ განაკვეთიანი სამსახურები. მსგავსი სამსახურების არსებობა არის დამსაქმებლისთვის ზედმეტი ხარჯი და ამიტომ არ სთავაზობენ ადამიანებს მსგავს სამუშაოებს.“*

ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ დიდ ქალაქებში მუშაობას, ან იქ სადაც მეტი ბიზნეს სუბიექტია ლოკალიზებული. ასეთია ქუთაისისთვის წყალტუბო, სადაც ტურისტული დასვენებისა და სარეკრეაციო ზონები ბოლო წლებში მომრავლდა და ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა, შესაბამისად ადგილობრივი ეკონომიკა მეტად განვითარდა და გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები. რათქმაუნდა თბილისი მაინც ძირითადი ლოკაციაა, სადაც ქუთაისიდან ახალგაზრდები მიგრირებენ სამუშაოს მოსაძებნად, თუმცა ადგილობრივი ახალგაზრდა მეტად უპირატესობას ახლო ლოკაციაზე დასაქმებას ამჯობინებს.

*„ძალიან ბევრისგან მსმენია რომ დიდ ქალაქში უნდა წასვლა რადგან იქ უფრო მეტია სამსახურები და ქუთაისში ზოგადად ამის ნაკლებობაა, ახალგაზრდები პერსპექტივას ვერ ხედავენ“.*

დასაქმების საკითხზე მსჯელობამ, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები მიიყვანა იმ მოცემულობამდე, რომ ზოგადად პროფესიის არჩევა და ის თუ რის გაკეთება უნდა და შეუძლია ახალგაზრდას - სწორედ ეს წარმოადგენს მთავარ პრობლემას და ახალგაზრდებში რეალიზაციის გამოწვევას.

*„ჩვენთან ირჩევენ იმ სფეროს რომელსაც შემოსავალი აქვს და შემდგომ აკეთებენ იმ საქმეს რომელიც მათი არ არის და ეს არის ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა“.*

*„მე მაგალითად სამართალი დავამთავრე და პანდემია დამემთხვა და ჩემს გარშემო არ ყოფილა ისეთი ადამიანი რომელიც დამაკვალიანებდა თუ როგორ უნდა გამეგრძელებინა და რა უნდა გამეკეთებინა, მე მქონდა სურვილი რომ ნოტარიუსის საქმიანობა გამეგრძელებინა და ინტერნეტშიც ვერ მოვიძიე ინფორმაცია თუ სად შეიძლებოდა გამევლო სტაჟირება ამ მიმართულებით და ისიც არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა და ამიტომ გადავწყვიტე სხვა მიმართულებით მემუშავა და რაღაც სხვა რამისთვის მიმეღწია რადგან ადამიანები ვართ და გარკვეული შემოსავალი გვჭირდება.“*

საბოლოოდ, ფოკუს ჯგუფის რესპოდენტების მოსაზრებით, აუცილებლობას წარმოადგენს კარიერული დაგეგმვის კადრის ყოლა სკოლაში, განსაკუთრებით იმ დროს როდესაც მოსწავლე აბიტურიენტი ხდება, ან 9 კლასს ამთავრებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ უნივერსიტეტი ერთადერთი გამოსავალი არაა, და უნდა დაეხმარონ საკუთარი შესაძლებლობის აღმოჩენაში.

## NEET ჯგუფის წარმომადგენლები

რესპოდენტების შეფასებით ანაზღაურება ძალიან დაბალია ზოგადად ქვეყანაში და მათ შორის ქუთაისშიც. ძირითადად ვაკანსიები, რომლებიც ცხადდება მხოლოდ კონსულტანტის და მოლარის პოზიციებზეა, ისიც იმდენად დაბალი ანაზღაურებით რომ *„ის ხელფასი 3 დღე შეიძლება არ ეყოს ახალგაზრდას, ეს არის ახალგაზრდებში გამოწერილი სამუშაო 99%-ის, რომელიც არის დამცინავი“*. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ახალგაზრდები თანხვედრაში ვერ მოდიან ადგილობრივ დონეზე არსებულ მოთხოვნად პროფესიებთან, არ გააჩნიათ ამ სამუშაოსთვის შესაბამისი უნარები.

რესპოდენტთა აზრით, ახალგაზრდები რომლებიც შემდგრები არიან, აქვთ კარგი სამსახური, მაინც ცდილობენ ქვეყნიდან წასვლას. *„რატომ ხდება ეს, რადგან პერსპექტივის პრობლემაც არის ფინანსურ პრობლემებთან ერთად, არამარტო ქუთაისში არამედ მთელ საქართველოში. ახალგაზრდები ფიქრობენ რომ თავიანთი ცოდნა სხვა ქვეყანაში გამოიყენონ რადგან ამ ქვეყანაში მომავალი არ ააქვთ.“*

რესპოდენტების შეფასებით, იმისათვის რომ დღეს ახალგაზრდამ შეძლოს მინიმალური პირობები დაიკმაყოფილოს, ხელფასები 1000-1500 ლარი მაინც უნდა იყოს. მათი თქმით, ქუთაისში ესეთი შესაძლებლობები არ არის.

## ახალგაზრდული მუშაკები

დასაქმების შესაძლებლობებზე მსჯელობას რესპოდენტები განათლების არაეფექტიანობით იწყებენ. მათი აზრით, უნივერსიტეტი ვერ ამზადებს კადრს დასაქმებისთვის. ახალგაზრდამ შეიძლება დაამთავროს ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა თუმცა გარკვეული პროფესიას საბოლოოდ მაინც ვერ დაეუფლოს. აქვე პრობლემურია პროფესიული განათლების ნაკლებ პოპულარობა. *„კოლეჯ იბერიაში კულინარიის მიმართულებით საქმდები და ანაზღაურებაც მაღალია, რადგან მოთხოვნაც მაღალია ბაზარზე. ხოლო უნივერსიტეტ დამთავრებულები ხშირად იძულებულები არიან დაიწყონ მუშაობა ქსელურ მარკეტებში სადაც ანაზღაურება ძალიან დაბალია“.*

რესპოდენტები დასაქმების ხელშემშლელ ფაქტორად ასევე ნეპოტიზმს, ახალი საქმის დაწყებისთვის ფინანსურ რესურსების უქონლობას და სოციალურ ბარიერებს ასახელებენ. ამ

ყველა ფაქტორს კი ემატება მიგრაციაც. რესპოდენტები მიიჩნევენ რომ ახალგაზრდებს ხშირად ესაჭიროებათ კონსულტაციები, განსაკუთრებით კარიერის დაგეგმვის კუთხით.

### არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

დასაქმების პრობლემამდე, რესპოდენტები თვლიან რომ უნდა გადაიჭრას კარიერული დაგეგმვის - პროფორიენტაციის ინსტიტუტის დანერგვა. ახალგაზრდების არარეალიზებული ცხოვრების და დაუგეგმავი კარიერის წინაპირობა სწორედ იმაშია, რომ მათ არ იციან მინიმუმ რა პროფესიები არსებობს, რა მოთხოვნებია ბაზარზე, და თვითონ რა ძლიერი მხარეები აქვს საკუთარი თავის რეალიზებისათვის. ***„ახალგაზრდები რომ წავიდნენ იმ მხარეს თუ რომელი პროფესია არის მათთვის საინტერესო ალბათ სტატისტიკა სრულიად შეიცვლება, მაგრამ ახალგაზრდებმა არ იციან თუ რას მოიცავს პროფესიები და როდესაც მიმუშავია ამ მიმართულებით მათთან საერთოდ არ იციან 5 პროფესიის გარდა სხვა პროფესიების შესახებ ინფორმაცია.“***

რესპოდენტების აზრით, ახალგაზრდებში ჯერ კიდევ არის იმის ილუზია, რომ უნივერსიტეტის დამთავრება მათ გარანტირებულ სამსახურს აპოვნინებს. სწორედ ამიტომ, რესპოდენტები მიიჩნევენ მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზებას მნიშვნელოვნად, და თვლიან რომ ახალგაზრდა ამ პროცესში შეძლებს მეტად გამოცადოს საკუთარი თავი, გაიგოს უამრავი პროფესიის, ინტერესთა ჯგუფების და შესაძლებლობების შესახებ, მით უმეტეს რომ უნივერსიტეტები სტუდენტებს პრაქტიკულ გამოცდილებას ვერ სთავაზობენ.

## ქ. ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის შეფასებები

მერიის წარმომადგენლის შეფასებით, მუნიციპალიტეტში რთული პერიოდი იყო ბოლო 2-3 წლის განმავლობაში. პანდემიის გამო ფორმალური განათლება ონლაინ რეჟიმში გადავიდა, მოსწავლეებს მოუხდათ ახალ გარემოსთან ადაპტირება. იგივე გარემოებები იყო არაფორმალური განათლების შემთხვევაშიც, ყველანაირი ტრენინგი, ვორქშოპი, სემინარი იგეგმებოდა და მიმდინარეობადა ონლაინ რეჟიმში. მისი შეფასებით მოსახლეობამ მარტივად მოახერხა ცვლილებების მიღება, რადგან პარალელულად გაჩნდა ახალი შესაძლებლობებიც, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის. გამოცხადდა ბევრი უფასო ტრენინგ კურსები, გადამზადების კურსები, ონლაინ ღონისძიებები თუ სხვა. რესპოდენტის შეფასებით, პანდემიამ გამოიწვია ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გააქტიურება, ხოლო ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება ახალი შესაძლებლობების ათვისების. რესპოდენტის შეფასებით, ეს შესაძლებლობები უფრო მეტად გამოიყენეს ისევ ისეთმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ზოგადად აქტიურები არიან.

ქუთაისის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ჩართულობა ამა თუ იმ პროგრამაში დიდი გამოწვევაა, და ის საერთოა რეგიონში ყველა სხვა მუნიციპალიტეტისთვის. ყველა ის პროგრამა რომელიც მიმდინარე წელს გახორციელდა, დაიგეგმა ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის დამტიკცების შედეგად, რადგან სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩატარდა პირველი კვლევა ქუთაისის მასშტაბით, რათა მომხდარიყო იდენტიფიცირება იმ თემებისა და მიმართულებების, რომლების მიმართ მეტი ინტერესი და საჭიროება იყო დაგროვილი ქალაქ ქუთაისის ახალგაზრდებში. თუმცა, საბოლოოდ მუნიციპალიტეტის პროგრამებით სარგებლობა

განაგრძეს ისევ იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც ისედაც აქტიურ ბენეფიციარებად ევლინებიან მუნიციპალიტეტს. ქალაქ ქუთაისის მერიის მთავარი მიზანია ახალგაზრდების დაფარვის არეალის გაზრდა და იმ ახალგაზრდებამდე ინფორმაციის მიტანა, რომელთა პრობლემების გადაჭრაც პრიორიტეტულადაა მიჩნეული თუმცა ვერ გვარდება ჩართულობის არ ქონის გამო.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის მიზნების შესახებ ინფორმაციის დონის ამაღლების მიზნით, მერიამ სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებები განახორციელა. მას შემდგომ რაც ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ სკოლები, უნივერსიტეტები და სხვა დაინტერესებული მხარეები, გარკვეული ჩართულობის ზრდა დაფიქსირდა. შესაბამისად ამ მიმართულებით მუშაობა და კოორდინაცია გასაგრძელებელია.

აქტიურობის დონით, მერიის წარმომადგენლის მოსაზრება ემთხვევა ახალგაზრდა მუშაკებისა და ორგანიზაციების აზრს, და მიიჩნევს რომ სკოლის ასაკის მოსწავლეები გაცილებით მეტად და ხშირად ერთვებიან მიმდინარე პროექტებსა თუ შესაძლებლობებში. გამოკითხული რესპოდენტების აზრი იმაშიც დაემთხვა, რომ ახალგაზრდებში პესიმიზმის დონე მაღალია, და მითუმეტეს თუ ახალგაზრდამ ნეგატიური გამოცდილება მიიღო ის კარგავს ენთუზიაზმს და აღარ ცდილობენ თავიდან მონაწილეობის მიღებას აქტივობებში.

***„სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებით გამოირჩევიან ინტერესით და გვინდა ეს თაობა ასე ვთქვათ დავიჭიროთ და ამათ მივცეთ განათლება, სამოქალაქო განათლების კუთხით.“***

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა ძირითად გამოწვევად ახლაგაზრდებში მიგრაცია, ჩართულობის დაბალი დონე, და პესიმიზმი დაასახელა. განსაკუთრებით ეს გამოწვევები NEET ჯგუფის ახალგაზრდებში ჭარბობს, რაზეც რესპოდენტმა განაცხადა რომ მერია აქტიურად მუშაობს და ცდილობს უფასოდ მიაწოდოს მათთვის საინტერესო სერვისები.

მერიის წარმომადგენლის თქმით, მუნიციპალიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდული მუშაკების არსებობასა და გადამზადებას. მათ ქონდათ ინიციატივა გადამზადების პროცესში სკოლის მასწავლებლებიც ყოფილიყვნენ ჩართულები, ასე ისინი მარტივად შეძლებდნენ არაფორმალური სწავლების კომპონენტების შეტანას სკოლებში, განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების სერვისებისა დ ახალგაზრდული პროგრამების შესახებ ინფორმაციას. თუმცა ჯერ-ჯერობით ეს საკითხი არ განხორციელებულა.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა რესპოდენტის თქმით ძალიან გამართული და თანამშრომლობაზე ორიენტირებულია. ***„ამ მიმართულებით, მე ვფიქრობ, რომ არ გვიჭირს ქუთაისში და გვყავს აქტიური ორგანიზაციები და ვთვლი რომ არ გვიჭირს არც თანამშრომლობა და არც ჩართულობა“.*** მისი შეფასებით, თუკი მუნიციპალიტეტს ესაჭიროება დახმარება ახალგაზრდების ჩართულობის მხრივ, ადგილობრივი ორგანიზაციები ყოველთვის ღია არიან თანამშრომლობისთვის. თუმცა, ეს ფაქტორი შეიძლება მივიჩნიოთ მერიის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის ერთ-ერთ მიზეზადაც. კერძოდ, თუკი მუნიციპალიტეტი მიმართავს ორგანიზაციებს ახალგაზრდებს ჩასართავად, ეს ნიშნავს რომ მონაწილეობას ისევ აქტიური და ორგანიზაციებში არსებული ბენეფიციარი მოახდენს, ხოლო ახალი ბენეფიციარი ამ პროცესში ისევ ნაკლებად დაემატება. სწორედ ამიტომაა საჭირო არსებული ინსტრუმენტის, როგორიცაა ახალგაზრდული საბჭოს გამოყენება, და მათი დახმარებით ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე ახალგაზრდებთან საკომუნიკაციო პლატფორმების შექმნა.

ქუთაისის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს უახლოეს მომავალში. სამსახურს აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც იდება სიახლეები. ეს ერთადერთი საინფორმაციო წყაროა ინტერნეტ სივრცეში, შესაბამისად თუ ახლაგაზრდას ეს გვერდი გამოწერილი არ აქვს, ინფორმაცია ის ვერ იღებს. სოციალურ სივრცეში გვერდის არსებობა მისასალმებელი დ აუცილებელია, იმის გათვალისწინებით რომ ახლაგაზრდები თავისი დროის უმეტეს ნაწილს სწორედ აქ ატარებენ. თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და ასევე NEET ჯგუფის წევრებმაც აღნიშნეს, მიზნის მისაღწევად სხვა დამატებითი არხების გამოყენებაცაა საჭირო, როგორებიცაა საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება, პლაკატების გაკვრა ისეთ ლოკაციებზე სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან, მცირე საინფორმაციო სარეკლამო ბანერების განთავსება, ან მოკლე შეტყობინებების დაგზავნა. გამოცდილების თანახმად პოზიტიურ შედეგს იძლევა ინფორმაციის გავრცელებაში მასწავლებლებისა და საუნივერსიტეტო პერსონალის ჩართულობაც.

სამსახურის წარმომადგენლის თქმით, 2022 წლის ნოემბერი დაეთმობა პროექტების განახლების პროცესს და ახალგაზრდულ საბჭოსთან ერთად მოხდება 2023 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებელი ახალგაზრდული პროგრამების შემუშავება. სწორედ ამ დროისათვის მიზანშეწონილი იქნება, საბჭოს წევრების მეტად გააქტიურება და საველე გასვლების მოწყობა ისეთ ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებიც ცენტრისაგან მოშორებულია, რათა გარეუბნებში მცხოვრები ახლაგაზრდების მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნეს დაგეგმვის პროცესში. რესპოდენტის თქმით, იგეგმება ახალგაზრდული ბიუჯეტის გაზრდა.

***„ასევე გვინდა დავამატოთ საერთაშორისო პროექტებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესაძლებლობა და რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მივცეთ შესაძლებლობა რომ 6 თვიანი სწავლება გაიარონ საზღვარგარეთ, ასევე გვინდა იდეები და ინიციატივების პროგრამის განხორციელება, ასევე მოხალისეობრივი იდეის პოპულარიზება გავაკეთოთ და ვაუჩერული სისტემა დავნერგოთ ქალაქში, ასევე გვინდა არაფორმალური განათლების კუთხით სატრენინგო შემოთავაზებები, სტარტაპერების ხელშეწყობის პროგრამის დანერგვა, რომელიც გადაამზადებს ისეთ ახალგაზრდებს რომლებსაც აქვთ ბიზნეს იდეა რომ პროექტი შეიმუშაონ და შემდგომ განახორციელონ.“***

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის თქმით, მათ მიერ ინიცირებული და დამტკიცეული პროგრამების მიზანია არამარტო სკოლის ასაკის, არამედ 18 წლის ზემოთ ახალგაზრდების გააქტიურება. ***„ჩვენი მიზანია ნაკლებად აქტიურების გააქტიურება. სწორედ ამიტომ გვსურს შევქმნათ სტარტაპერების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც არ იქნება უკვე სკოლის მოსწავლეებზე გათვლილი და გვინდა რომ ჩვენს ქალაქში შექმნან ბიზნესები და არამხოლოდ თვითონ იყვნენ დასაქმებულები არამედ თვითონ გახდნენ დამსაქმებლები“.***

# რაოდენობრივი კვლევის შედეგები

## დემოგრაფიული მახასიათებლები

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 500 ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 29 წლამდე მერყეობს. მათგან 110 ახალგაზრდა (22%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 248 ახალგაზრდა (49%) - 18-23 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 24-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 142 ახალგაზრდაა (28%). გამოკითხული ახალგაზრდების 47% - მამრობითი სქესის, ხოლო 53 % მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

14-17 ასაკობრივ ჭრილში ახალგაზრდები სკოლის ასაკის მოსწავლეები არიან. გამოკითხვა ჩაუტარდა IX კლასის (24%), X კლასის (36%), XI კლასის (21%) და XII კლასის (19%) მოსწავლეებს.

18-29 ასაკობრივ ჭრილში, გამოკითხულთა 86% დასაოჯახებელი, 13% დაოჯახებული, ხოლო 1% განქორწინებული რესპოდენტია.

## კვლევაში ჩართული ახალგაზრდების მიმდინარე საქმიანობა (18-29)

18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, გამოკითხულთა 57% განაცხადა რომ მიმდინარედ სწავლობს და არის სტუდენტი (ბაკალავრიატი); გამოკითხულთა 14% კი დასაქმებულია, ხოლო 19% არც სწავლობს და არც დასაქმებულია. ყველა რესპოდენტი რომელმაც ეს პასუხი მონიშნა, კვლევის პროცესში მიჩნეულია NEET ჯგუფის წარმომადგენლად (ინტერვიუერი აზუსტებდა დამატებით, რომ აღნიშნულ რესპოდენტს არ ქონოდა გავლილი ბოლო ერთი თვის განმავლობაში გადამზადების კურსი ან ტრეინინგი). გენდერულ ჭრილში, 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ვხედავთ რომ ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებას მდედრობითი სქესი უფრო აქტიურად ახდენს, ხოლო მამრობითი სქესის პროცენტული წილი ისეთ პასუხებში როგორებიცაა „არ ვმუშაობ, არ ვსწავლობ“ და “ვმუშაობ სეზონურ/დროებით სამუშაოზე“ - გაცილებით მაღალია.

რესპოდენტებმა, რომლებმაც მონიშნეს  მიმდინარე საქმიანობის დასახელებისას პასუხი „არ დავდივარ უნივერსიტეტში (დავამთავრე/შევწყვიტე)“, ინტერვიუერი აზუსტებინებდა მიზეზს. გამოკითხულთა 94% განაცხადა, რომ არ დადიან უნივერსიტეტში ან შეწყვიტეს სიარული, რადგან სასწავლო დაწესებულება მათი საცხოვრებელი ადგილიდან შორსაა. აღნიშნული მიუთითებს ახალგაზრდების განათლებასთან ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ან ტრანსპორტირების და გადაადგილების საშუალებების ნაკლებობა/სიძვირეზე.




## ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებლები აქტივობებსა და ღონისძიებებში (14-29)

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებს უნდა დაესახელებინათ ყველა ის აქტივობა ან ღონისძიება, რაშიც ხშირად იღებენ მონაწილეობას. მათ ასევე უნდა შეეფასებინათ ყველა მათ მიერ შემოხაზული თუ დამატებით დასახელებული პასუხი, რითაც მათი კმაყოფილების დონე შეფასდა.

ყველაზე მეტად პოპულარული და ხშირად დასახელებული იყო კულტურულ-შემოქმედებით და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება, რომლის შემდგომ მოდის ინტელექტუალური შეჯიბრებები და გარემოს დაცვითი აქტივობები.

ქვემოთ მოცემულია ყველა დასახელებული აქტივობაში მონაწილეობის სიხშირეები და მათი შეფასება ასაკობრივ ჭრილებში.


აქტივობები და ღონისძიებები სადაც ყველაზე ხშრად ან არასდროს მონაწილეობენ 14-17 ასაკობრივ ჭრილი
კულტურულ-შემოქმედებითი და გასართობი ღონისძიებები
13%
2%
ინტელექტუალური შეჯიბრებები (ოლიმპიადები, დებატები,
12%
2%
გარემოს დაცვითი აქტივობები
10%
5%
სპორტული აქტივობები, შეჯიბრებები, მარათონები
9%
6%
მოხალისეობრივი საქმიანობა
7%
5%
ახალგაზრდული ბანაკები
6%
6%
კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო კურსები (ტრენინგები,
6%
5%
საინფორმაციო შეხვედრები
6%
6%
სამოქალაქო აქტივობები (სტუდენტური,ახალგაზრდული,
6%
6%
კონფერენციები, ფორუმები, გამოფენები
5%
7%
ჰაკათონი, კრეატონები, ტექნოლოგიური ფესტივალები
5%
8%
გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები
5%
9%
ლაშქრობა,ჯომარდობა,კემპინგი
4%
6%
საზაფხულო და ზამთრის სკოლები
3%
9%
შშმ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებები
2%
8%
სტაჟირება/პრაქტიკა
1%
9%
ხშირად
არასდროს


აქტივობები და ღონისძიებები სადაც ყველაზე ხშრად ან არასდროს მონაწილეობენ 18-23 ასაკობრივ ჭრილი
კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო კურსები (ტრენინგები, 13% 3%
კულტურულ-შემოქმედებითი და გასართობი ღონისძიებები 9% 4%
სამოქალაქო აქტივობები (სტუდენტური,ახალგაზრდული, 8% 6%
სტაჟირება/პრაქტიკა 8% 4%
სპორტული აქტივობები, შეჯიბრებები, მარათონები 7% 6%
გარემოს დაცვითი აქტივობები 7% 1%
ახალგაზრდული ბანაკები 7% 7%
ლაშქრობა,ჯომარდობა,კემპინგი 7% 8%
საინფორმაციო შეხვედრები 6% 7%
მოხალისეობრივი საქმიანობა 6% 6%
ინტელექტუალური შეჯიბრებები (ოლიმპიადები, დებატები, 5% 6%
საზაფხულო და ზამთრის სკოლები 5% 9%
კონფერენციები, ფორუმები, გამოფენები 4% 7%
შშმ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებები 3% 10%
გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები 3% 9%
ჰაკათონი, კრეატონები, ტექნოლოგიური ფესტივალები 2% 9%
ხშირად
არასდროს


აქტივობები და ღონისძიებები სადაც ყველაზე ხშრად ან არასდროს მონაწილეობენ 24-29 ასაკობრივ ჭრილი
კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო კურსები (ტრენინგები, 18% 3%
კულტურულ-შემოქმედებითი და გასართობი ღონისძიებები 14% 5%
სპორტული აქტივობები, შეჯიბრებები, მარათონები 11% 5%
სტაჟირება/პრაქტიკა 10% 4%
ლაშქრობა,ჯომარდობა,კემპინგი 8% 7%
საინფორმაციო შეხვედრები 7% 7%
სამოქალაქო აქტივობები (სტუდენტური,ახალგაზრდული, 6% 7%
გარემოს დაცვითი აქტივობები 6% 4%
შშმ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებები 4% 9%
ახალგაზრდული ბანაკები 3% 8%
კონფერენციები, ფორუმები, გამოფენები 3% 8%
მოხალისეობრივი საქმიანობა 3% 5%
საზაფხულო და ზამთრის სკოლები 3% 8%
გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები 3% 8%
ჰაკათონი, კრეატონები, ტექნოლოგიური ფესტივალები 2% 6%
ინტელექტუალური შეჯიბრებები (ოლიმპიადები, დებატები, 1% 7%
ხშირად
არასდროს

ყველა ასაკობრივ ჭრილში დასახელებული აქტივობები, რომელშიც ახალგაზრდებმა ხშირად, ზოგჯერ ან იშვიათად მაგრამ მაინც მიიღეს მონაწილეობა, შეაფასეს როგორც კარგი და დამაკმაყოფილებელი. მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და საშუალო მონაცემთან შედარებით გადახრა გამოვლინდა 14-17 ასაკობრივ ჭრილში, სადაც საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილეობა 17% შეაფასა როგორც „ცუდი“; უფროსი ასაკის ახალგაზრდებში, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა 30% და მოხალისეობრივი საქმიანობა 33% შეფასდა დამაკმაყოფილებელი.

ჩამოთვლილი აქტივობებისა და ღონისძიებების ძირითად ორგანიზატორებად ახალგაზრდებში დასახელდნენ მუნიციპალიტეტის მერია და არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც ასევე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რომ სწორედ ეს ორი სექტორი, ხშირად ურთიერთთანამშრომლობით აქტიურობენ და ქმნიან ახალგაზრდულ შესაძლებლობებს ადგილობრივ დონეზე.




18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდებს უნდა დაესახელებინათ, ნებისმიერი ინიციატივა ან/და ბიზნესიდეა პროექტის სახით თუ დაუწერიათ, რამდენჯერ და რა საკითხზე. ამით გაიზომა ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი ადგილობრივ დონეზე. როგორც გამოკითხვამ გვაჩვენა, 82% განაცხადა რომ ასეთი გამოცდილება არ გააჩნია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ქუთაისში ახალგაზრდების ჩართულობის დაბალ დონეს. გამოკითხულმა 14 % განაცხადა რომ დაწერა მხოლოდ ერთი, 2-3 ან 3-ზე მეტი ინიციატივა. ყველაზე მეტად დასახელებულ საკითხებს შორის რაზეც ახალგაზრდებმა ინიციატივები შეიმუშავეს ეხებოდა:

სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებას (9%); გარემოს დასუფთავებას (10%); ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას (10%); სტარტაპი/ბიზნეს იდეა (28%).




## კულტურულ, შემოქმედებით, სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობისა და განათლების შესაძლებლობები ქალაქ ქუთაისში (14-29)

ყველა ასაკობრივ ჭრილში ახალგაზრდებმა ადგილობრივად არსებული კულტურული, შემოქმედებითი, სპორტული თუ საგანმანათლებლო შესაძლებლობები შეაფასეს როგორც მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი. აქვე აღსანიშნავია რომ 14-17 წლის ჯგუფში მოსწავლეების 25%-მა განაცხადა რომ მრავალფეროვანი შესაძლებლობები არსებობს ადგილობრივად, რაც მიუთითებს მათი ჩართულობის დონის უფრო მეტ მაჩვენებელზე ვიდრე ეს უფროსი ასაკის ჯგუფში გვაქვს.




ახალგაზრდების უმეტესმა ნაწილმა, რომლებმაც თქვეს რომ იცის შესაძლებლობების შესახებ და მიიჩნევს რომ ჩართულობა ნაკლებად ხდება, გამომწვევ მიზეზად და ბარიერად ძირითადად ინფორმაციის ნაკლებობას და ახალგარზდებში ინტერესის დაბალ დონეს ასახელებენ.






ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევის ანგარიში

კვლევამ აჩვენა რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში, სპორტულ აქტივობებში მონაწილეობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რადგან 14-17 ასაკობრივ ჭრილში 27%-მდე ხოლო 18-29 წლის ჭრილში 45%-მა განაცხადა რომ ასეთ აქტივობაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა. თუმცა დანარჩენი პასუხებით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდებში უფრო მეტად პოპულარული სპორტული აქტივობები და სახეობებია: კალათბურთი; ფეხბურთი და ფრენბურთი.




რაც შეეხება კულტურულ შემოქმედებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობას ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ახალგაზრდების ინტერესი ძირითადად ტრენინგების გავლა და გადამზადების კურსებში მონაწილეობაა.




## ინფორმაციის მიღების წყაროები (14-29)

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ზოგადად ინფორმაციის მიღების წყაროები და სიხშირეები ყველა ასაკობრივ ჯგუფში ზოგადად ერთანაირია. ისინი ყველაზე მეტად ინფორმაციას იღებენ სამეგობრო წრეებიდან, სოციალური ქსელებიდან და ზოგადად ინტერნეტიდან. ამ ჯგუფებისთვის ინფორმაციის გავრცელების ისეთი არხების გამოყენება, როგორებიცაა ტელევიზია, მოკლე ტექსტური შეტყობინებები ან საინფორმაციო შეხვედრები ნაკლებად ეფექტიანია, რადგან ან სარგებლობენ ამ პლატფორმებს როგორც საინფორმაციო წყაროებს ან ზოგადად ინტერესი დაბალი აქვთ ასეთი გზით ინფორმაციის მიღების.

| 14-17 ასაკობრივ ჭრილში | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ყოველდღე | კვირაში 1-3ჯერ | თვეში 1-ჯერ | არ ვიყენებ |
| მეგობრები/ოჯახის წევრები | 60% | 15% | 20% | 5% |
| სოციალური ქსელი - „ფეისბუქი“ | 54% | 24% | 14% | 8% |
| სხვა სოციალური ქსელები | 49% | 22% | 14% | 15% |
| ტელევიზია | 14% | 22% | 30% | 34% |
| ინტერნეტი: საძიებო სისტემები; ვებ-გვერდები | 62% | 16% | 15% | 7% |
| საინფორმაციო შეხვედრებიკლუბში | 4% | 25% | 37% | 34% |
| მოკლე ტექსტური შეტყობინება | 22% | 19% | 26% | 33% |
| წრეები, კურსები და ა.შ. | 4% | 21% | 34% | 41% |

| 18-29 ასაკობრივ ჭრილში | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ყოველდღე | კვირაში 1-3ჯერ | თვეში 1-ჯერ | არ ვიყენებ |
| მეგობრები/ოჯახის წევრები | 60% | 22% | 9% | 9% |
| სოციალური ქსელი - „ფეისბუქი“ | 76% | 16% | 6% | 2% |
| სხვა სოციალური ქსელები | 65% | 17% | 7% | 11% |
| ტელევიზია | 19% | 22% | 25% | 34% |
| ინტერნეტი: საძიებო სისტემები; ვებ-გვერდები | 50% | 17% | 12% | 21% |
| საინფორმაციო შეხვედრებიკლუბში | 13% | 10% | 29% | 48% |
| მოკლე ტექსტური შეტყობინება | 10% | 10% | 24% | 56% |
| წრეები, კურსები და ა.შ. | 9% | 7% | 17% | 67% |

კვლევის ფარგლებში მონაწილე რესპოდენტებმა მოახდინეს საკუთარი უნარებისა და თვისებების შეფასება. 14-17 ასაკობრივ ჭრილში, ახალგაზრდები თვლიან რომ დასახელებულ ყველა უნარსა და თვისებას ფლობენ; 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში კი ძირითადად ახალგაზრდები მიიჩნევენ რომ გასაუმჯობესებელი აქვთ ეს უნარები, რადგან მათი ზოგადი შეფასებით ეს თვისებები „ნორმალურად“ განვითარებული აქვთ.






## ახალგაზრდების დამოკიდებულებები სოციალური და ეკონომიკური გარემოებებისადმი

კვლევის ფარგლებში საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული შესაძლებლობების, საჭიროებებისა და გაუმჯობესების რეკომენდაციების გამოვლენის გარდა, ასევე შეისწავლა ახალგაზრდების დამოკიდებულებები სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ თუ საყოფაცხოვრებო საკითხებისადმი.

კვლევის შედეგებით უფრო თვალსაჩინო გახდა ის გამოწვევები, რის წინაშეც ახალგაზრდები დგანან პირადი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების კუთხით. საქართველოში, ახალგაზრდები ერთმანეთისაგან გამოყოფენ პირად ცხოვრებას, საჯარო/პოლიტიკური ცხოვრებისაგან და უმეტესად კონცენტრირდებიან პირად ცხოვრებაზე. საერთო შეფასებით, დასახელებული საკითხები ყველა ასაკობრივ ჭრილში ახალგაზრდებისთვის ზოგადად მნიშვნელოვანია, თუმცა გამორჩეულად ოჯახი წარმოადგენს ყველაზე მყარ სოციალურ კონსტრუქციას.

მნიშვნელოვნად მაღალი შეფასებით ყველა ასაკობრივ ჭრილში ერთად დასახელდა განათლების მიღება და ხელმისაწვდომობა. ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ მათი კეთილდღეობისთვის, განვითარებისათვის და თვითდამკვიდრებისათვის აუცილებელია ჰქონდეთ განათლება, ჰქონდეთ დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, იყვნენ მეტად პასუხისმგებლიანები თავიანთი ცხოვრების მიმართ. ზოგადად ისინი თვლიან, რომ თვითგანვითარებაზე ზრუნვა აუცილებელია და მათ შორის „უნივერსიტეტის დამთავრება“-ც მნიშვნელოვანი საფეხურია მათი უკეთესი მომავლისთვის.

სხვადასხვა ტიპის გამაჯანსაღებელ, საგანმანათლებლო თუ სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით, ახალგაზრდების უმეტესმა ნაწილმა ყველაზე მნიშვნელოვნად გარემოს დაცვის საკითხებში ჩართულობა გამოარჩიეს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებს შორის ხშირია პოლიტიკური ინდიფერენტულობა და პოლიტიკურ და სამოქალაქო ჩართულობის კუთხით პასიურობა. საერთო შეფასებით, პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობა შეფასდა როგორც უმნიშვნელო. ახალგაზრდების შეფასებით გაცილებით მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა სამოქალაქო და საზოგადოებრივ აქტივობებში.






18-29 ასაკობრივ ჭრილში რესპოდენტებს შორის გაიზომა მათი დამოკიდებულება ცხოვრებისთვის მავნე ჩვევების მიმართ, როგორებიცაა ალკოჰოლის მოხმარება, თანმბაქო, მარიხუანა და აზარტული თამაშები. ახალგაზრდებმა აკრძალვის კომპონენტის შემოღება მნიშვნელოვნად მიიჩნიეს აზარტული თამაშებისა და მარიხუანას მიმართ. თითქმის ყველა გამოკითხულმა გამოავლინა საკუთარი დამოკიდებულება და ნეიტრალური პოზიცია არ დაიკავა, რაც იმაზე მიუთითებს რომ ახალგაზრდებს ეს საკითხები აღელვებთ და გათვითცნობიერებული აქვთ მათი ზეგავლენა ცხოვრებაზე. შედეგად გამოვლინდა რომ, ზოგადი შეფასებით ყველაზე მაღალი წონა მიიღო აზარტული თამაშების აკრძალვამ (69%), შესაბამისად ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ აღნიშნული აქტივობა უარყოფითად მოქმედებს მათი თანატოლების ცხოვრების წესზე და ამ მიმართულებით მეტი საინფორმაციო კამპანიების ჩატარებაა საჭირო. ახალგაზრდების ჯგუფის პასუხებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ, როგორც მინიმუმ იციან, რომ ისეთი ჩვევები, როგორიცაა თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება, აზარტული თამაშები მავნე ჩვევაა. რაც შეეხება რესპოდენტების გულწრფელობის საკითხს, თავისთავად ეს კვლევის ფარგლებში დაზუსტებით ვერ გაიზომება, თუმცა მაღალია იმის ალბათობა, რომ პირი, რომელიც აზარტულ თამაშებით გატაცებულია და იცის, რომ ეს მავნე ჩვევაა, დასმულ კითხვაზე „სწორი“ პასუხი გასცეს.




18-29 ასაკის რესპოდენტებმა, კითხვაზე „რანდენად გსურთ სხვა ქვეყანაში გადასვლა საცხოვრებლად“, 35% -მა უპასუხა რომ გარკვეულწილად, ხოლო 28%-მა რომ არცერთ შემთხვევაში.




კითხვაზე, თუ რა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც გსურთ საქართველოდან წასვლა, ახალგაზრდას უნდა დაესახელებინა სამი მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება. შედეგად, 19-29 ასაკობრივ ჭრილში, პირველი სამი ძირითადი მიზეზი დასახელდა:

„საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ (30%); „დასაქმების უკეთესი შესაძლებლობა“ (23%); და „უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობა“ (18%).

## ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებლები

დასაქმების უნარების შესწავლა მოხდა მხოლოდ ახალგაზრდების ჯგუფისათვის. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული 18-29 წლის რესპოდენტების 14% მუშაობს სრული განაკვეთით, ხოლო 8% მუშაობს ნახევარი განაკვეთით. კითხვაზე, უცდიათ თუ არა გასული ერთი წლის განმავლობაში სამსახურის მოძიება, უმრავლესობამ - 43%-მა განაცხადა რომ „დიახ, მაგრამ ვერ მოვიძიე ჩემთვის მისაღები ვარიანტი“, ხოლო 27%-მა „ დიახ, და დავსაქმდი“. დანარჩენი ან ვერ დასაქმდა ან არ არის დასაქმებით დაინტერესებული. გენდერულ ჭრილში, გაცემული პასუხების წონა თითქმის ერთნაირია, რაც ნიშნავს რომ დასაქმების მხრივ ახალგაზრდები ერთნაირი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე დგანან.

ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდები დასაქმების შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ ინტერნეტ დასაქმების გვერდებიდან და სოციალური ქსელებიდან. ამასთან, მაღალი სიხშირით დასახელდა კატეგორია „მეგობრები/ნაცნობები“. რესპონდენტების მოსაზრებით, ყველა იმ ფაქტორს შორის, რომელიც გავლენას ახდენს ახალგაზრდების დასაქმებაზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური ნაცნობების მეშვეობით დასაქმებაა.



როგორც ზოგადი მიმოხილვისას განვიხილეთ, მოხალისეობრივი საქმიანობა შეფასდა როგორც „მნიშვნელოვანი“ ყველა ასაკობრივ ჭრილში. გარდა მოხალისეობრივი საქმიანობისა, ახალგაზრდები ხშირად თავისი ინიციატივით, დამსაქმებლისგან მიღებული შემოთავაზებით, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაინტერესებით ან რაიონში, უბანში რაიმე სახის აქტივობის განმახორციელებლის მიერ დაინტერესებით ერთვებიან მათთვის საინტერესო აქტივობაში. რაოდენობრივი კვლევის მონაცემების თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდების უმრავლესობას (43%) ნებაყოფლობით ან/და ანაზღაურების გარეშე არცერთ მსგავს აქტივობაში მონაწილეობა არ მიუღია.

შესაბამისად გამოკითხულთა მხოლოდ 13%-ს აქვს ანაზღაურების გარეშე შესრულებული საქმიანობა, რომლებიც ძირითადად ეხებოდა საზოგადოებრივ საქმიანობებს, ან სპორტული აქტივობის ორგანიზებას - 10%.

რესპოდენტებმა, რომლებმაც დაასახელეს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა, განმარტეს მათი გახორციელების მთავარი მიზეზები. ყველაზე მეტად დასახელდა „სხვების დახმარება“ და „სოციალური ჩართულობის სურვილი“, რაც შესაბამისობაში მოდის ყველაზე მეტად დასახელებულ საქმიანობასთან - „საზოგადოებრივი საქმიანობებში მონაწილეობა“.




18-29 წლის ახალგაზრდებმა შეაფასეს, რამდენად საკმარისია თავიანთი ცოდნა და უნარები დასასაქმებლად. უმრავლესობამ განაცხადა, რომ მათ გარკვეული ცოდნა აქვთ, თუმცა საჭიროებენ გადამზადებას 46%. კვლევის შედეგების მიხედვით, შრომითი რესურსების დაქირავების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შრომის ბაზარზე საჭიროა გარკვეული ზომების მიღება არსებული პოლიტიკის კუთხით.




ახალგაზრდების ჯგუფმა ასევე დაასახელა თუ რა ტიპის ცოდნისა და უნარების განვითარება ესაჭიროებათ დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისათვის. საგულისხმოა, რომ საშუალოდ 10% მიიჩნევს, რომ მათ უნარების გაზრდა საერთოდაც არ ჭირდებათ. მთლიანობაში დასახელების სიხშირით ყველაზე მოთხოვნადია ისეთი უნარების განვითარების შესაძლებლობა, როგორებიცაა: პიროვნული განვითარება (13%), დროის მენეჯმენტი (13%); ენის კურსები (10%), ხოლო ყველაზე დაბალი მოთხოვნით ხასიათდება: გადაწყვეტილების მიღების უნარი (0.8%), ადაპტაცია სიახლეების მიმართ (0.9%) და კომფლიქტების მოგვარება (1.3.%).




დასაქმების ბლოკის დასასრულს, 18-29 წლის ახალგაზრდებს დაესვათ შეკითხვა თუ რა არის ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც უშუალოდ ეხება ან ახასიათებს კონკრეტულად ახალგაზრდებს ქალაქ ქუთაისში. დასახელებული მიზეზები მათ შეაფასეს ქულებით და დაალაგეს პრიორიტეტების მიხედვით - გააკეთეს რანჟირება (I – ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა/გამოწვევა; V - ნაკლებად პრიორიტეტული პრობლემა/გამოწვევა).




რანჟირებისას, პირველი კატეგორიის პრობლემად დასახელდა დასაქმება (81%); მეორე პრიორიტეტად დასახელდა განათლებაზე ხელმისაწვდომობა (27%); მესამე პრიორიტეტად დასახელდა განათლების ხარისხი (27%); მეოთხე პრიორიტეტად დასახელდა მიგრაცია (17%); ხოლო მეხუთე პრიორიტეტად დასახელდა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (14%).

## ახალგაზრდებისთვის არსებული გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

ამ ბლოკის შეკითხვები დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან როგორებიცაა გართობის და დასვენების ადგილების იდენტიფიცირება ქალაქ ქუთაისში, ასევე კვლევის საკითხი იყო გამოევლინა თუ როგორ ატარებენ ახლაგაზრდები ზოგადად თავისუფალ დროს და რათქმაუნდა მნიშნელოვანია გავიგოთ როგორ აფასებენ არსებულ გართობისა თუ დასვენების ინფრასტრუქტურას ქალაქში. აღნიშნული შეკითხვები დაესვა ყველა ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდას.

კვლევის თანახმად, ადგილები სადაც ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდები უპირატესობას ანიჭებენ გართობისა და დასვენების მიზნით არის კაფე-ბარი, კინო, რესტორანი და სარეკრეაციო ზონები. რაც შეეხება ღამის კლუბს, რათქმაუნდა ის მეტად პოპულარული და ხელმისაწვდომი 18-ის ზემოთ ახალგაზრდებისთვისაა.




14-17 ახალგაზრდების გართობისა დასვენების ადგილები შეფასება
მუნიციპალური სივრცეები (მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე,...
15 77 8
ლაშქრობა/ექსკურსია
18 61 19 2 1
კაფე-ბარი
30 63 5 1 1
რესტორანი
28 51 17 3 1
ღამის კლუბი
6 13 6 71 4
საკონცერტო დარბაზი
10 51 30 9 1
თეატრი
22 53 21 3
კინო
30 59 9 2
სპორტული ფესტივალები
13 62 16 8 1
მუსიკალური ფესტივალები
21 55 18 2 4
ოპერა
12 61 23 2 1
რეკრეაციული ზონები (სკვერი/პარკი)
26 64 5 3 3
სპორტული დარბაზი (ტრენაჟორები და სხვა)
25 60 12 1 3
სტადიონი/სათამაშო მოედნები
28 65 5 1 1
ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი/მედიათეკა
17 59 22 2
მაღალი ხელმისაწვდომობაა
ხელმისაწვდომია
მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია
არ არის ხელმისაწვდომი
დაბალი ხელმისწავდომობაა




ქუთაისში შეფასდა დასვენებისა და გართობის, მათ შორის თავშეყრის ადგილების (პარკები, სტადიონები) მდგომარეობა. მონაცემის მიხედვით, ქუთაისში დასახელებულ სივრცეებს ახალგაზრდები აფასებენ როგორც „დამაკმაყოფილებელი“ ან „კარგი“.




## არსებული მუნიციპალური პროგრამების შეფასება

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ქუთაისში არსებული მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის დონის გამოვლენა, მათი შეფასება და დამატებითი საჭიროებებისა და რეკომენდაციების გამოვლენა.

| 14-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის შედეგები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მუნიციპალური პროგრამები** | **მსმენია** | **არ მსმენია** | **ძალიან კარგი** | **კარგი** | **დამაკმაყოფილებელი** | **ცუდი** | **ძალიან ცუდი** |
| ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 50% | 50% | 18% | 67% | 15% | 0% | 0% |
| ლიდერთა სკოლა | 32% | 68% | 31% | 46% | 20% | 3% | 0% |
| ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | 49% | 51% | 15% | 68% | 13% | 4% | 0% |
| არაფორმალური განათლების ხელშეწყობა | 46% | 54% | 16% | 60% | 14% | 10% | 0% |
| საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა | 48% | 52% | 19% | 42% | 36% | 3% | 0% |

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საჭიროებების კვლევის ანგარიში

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული როკ მუსიკის ფესტივალი | 80% | 20% | 47% | 49% | 3% | 1% | 0% |
| მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა | 55% | 45% | 23% | 62% | 10% | 5% | 0% |
| ახალგაზრდული მუშაკის გადამზადების პროგრამა | 23% | 77% | 12% | 48% | 20% | 20% | 0% |
| საინფორმაციო/შემეცნებითი ტურის მოწყობა ქუთაისელი ახალგაზრდებისთვის | 33% | 67% | 14% | 64% | 11% | 11% | 0% |
| გაუთვალისწინებელი ღონისძიებები | 47% | 53% | 6% | 73% | 13% | 8% | 0% |

შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებს შორის საკმაოდ პოპულარული და ცნობილია ახალგაზრდული როკ მუსიკის ფესტივალი, მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა. მხოლოდ დანარჩენი პროგრამები და სერვისები ნაკლებად ცნობილია გამოკვლეულ ახალგაზრდებს შორის.

შეფასებების ჭრილში, კი ყველა პროგრამა თუ სერვისი ძირითადად შეფასდა როგორც „კარგი“ და „დამაკმაყოფილებელი“. კითხვაზე, თუ რამდენად თვლიან რომ ასეთი ტიპის პროგრამები და სერვისები არსებობდეს, 97% განაცხადა რომ დიახ, უნდა არსებობდეს. აღნიშნული მონაცემი შეიძლება მიუთითებდეს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ კვლევის ჩატარების დროს, კვლევაში მოხვდნენ ისეთი ახლაგაზრდები რომელთათვისაც აღნიშნული პროგრამები სიახლეს წარმოადგენდა კვლევის მომენტში, შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ რომ კვლევამ მოიცვა ინფორმაციის მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები, რითაც მათ გარკვეული ინფორმაცია მიაწოდა და ინტერესი გაზარდა.

რაც შეეხება, უფროსი თაობის ასაკის, 18-29 წლის ჭრილში, პროგრამების შესახებ ცნობიერების დონე საკმაოდ მაღალია, ყველა პროგრამაზე და სერვისზე უმრავლესობამ განაცხადა რომ მისთვის ცნობილია ეს პროგრამა. ხოლო გამოკითხულთა 98% განაცხადა რომ ასეთი ტიპის პროგრამები და სერვისები უნდა არსებობდეს.

| **პროგრამები** | **მსმენია** | **არ მსნენია** | **ძალიან კარგი** | **კარგი** | **დამაკმაყოფილებელი** | **ცუდი** | **ძალიან ცუდი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 68% | 32% | 24% | 38% | 23% | 8% | 7% |
| ლიდერთა სკოლა | 57% | 43% | 13% | 41% | 28% | 12% | 6% |
| ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები | 61% | 39% | 12% | 47% | 31% | 7% | 3% |
| არაფორმალური განათლების ხელშეწყობა | 60% | 40% | 12% | 46% | 31% | 10% | 1% |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა | 63% | 37% | 16% | 48% | 29% | 5% | 2% |
| ახალგაზრდული როკ მუსიკის ფესტივალი | 75% | 25% | 34% | 32% | 24% | 3% | 7% |
| მოხალისეთა მხარდაჭერის პროგრამა | 61% | 39% | 13% | 52% | 27% | 5% | 3% |
| ახალგაზრდული მუშაკის გადამზადების პროგრამა | 60% | 40% | 10% | 57% | 29% | 3% | 1% |
| საინფორმაციო/შემეცნებითი ტურის მოწყობა ქუთაისელი ახალგაზრდებისთვის | 61% | 39% | 9% | 60% | 27% | 3% | 1% |
| გაუთვალისწინებელი ღონისძიებები | 23% | 77% | 16% | 58% | 22% | 2% | 2% |

რაოდენობრივი კითხვარის დასასრულს, რესპოდენტების ნაწილმა დაასახელა პროგრამები და სერვისები რომლებსაც განახორციელებდა გადაწყვეტილების მიმღები რომ ყოფილიყო. იმ ახალგაზრდების გარდა ვისაც კითხვაზე პასუხი არ გაუჭირდა, ყველაზე ხშირად დასახელებულ პასუხებს შორის მოხვდა „ახალგაზრდული პროგრამების ხელმისაწვდომობის ზრდა მუნიციპალურ დონეზე“ და „საზოგადოებრივი თავშეყრისა და მოხმარების მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობა/გაუმჯობესება (სკვერი, სტადიონი, მიწისქვეშა გადასასვლელი, სხვ.)“

| 14-17 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პროგრამები და სერვისები | |
|---|---|
| მიჭირს პასუხის გაცემა | 46.8% |
| ახალგაზრდული პროგრამების ხელმისაწვდომობის ზრდა მუნიციპალურ დონეზე | 9.9% |
| საზოგადოებრივი თავშეყრისა და მოხმარების მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობა/გაუმჯობესება (სკვერი, სტადიონი, მიწისქვეშა გადასასვლელი, სხვ.) | 9.9% |
| კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრების შექმნა (სპექტაკლები, ინტელექტუალური თამაშები) | 9.0% |
| საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიების წარმოება | 4.5% |
| ტექნოლოგიებისა და მეცნიერების შემსწავლელი სივრცის მოწყობა/პოპულარიზაცია (ტენოპარკის მშენებლობა) | 3.6% |
| არსებული ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება | 3.6% |
| ახალგაზრდებისათვის შეკრების, დასვენებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების მოსაწყობად საჭირო სივრცეებზე ხელმისაწვდომობის ზრდა | 2.7% |
| საზაფხულო ბანაკების ორგანიზება | 2.7% |
| სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/განახლება სპორტ-სკოლებში | 2.7% |
| ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება სკოლებში | 1.8% |

| | |
|---|---|
| არასრულწლოვანთათვის (სკოლებში) საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სახელოვნებო და სპორტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მქონე პირის/კადრის დამატება | 0.9% |
| მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (უსაფრთხოება, მოქალაქეზე მორგებული გრაფიკი, პანდუსების მოწყობა) | 0.9% |
| დასაქმების ხელშეწყობა | 0.9% |

| 18-29 წლის ახალგაზრდების მიერ დასახელებული პროგრამები | % |
|---|---|
| მიჭირს პასუხის გაცემა | 74.6% |
| ახალგაზრდებისათვის შეკრების, დასვენებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების მოსაწყობად საჭირო სივრცეებზე ხელმისაწვდომობის ზრდა | 6.5% |
| დასაქმების ხელშეწყობა | 6.5% |
| ახალგაზრდული პროგრამების ხელმისაწვდომობის ზრდა მუნიციპალურ დონეზე | 3.1% |
| ტექნოლოგიებისა და მეცნიერების შემსწავლელი სივრცის მოწყობა/პოპულარიზაცია (ტენოპარკის მშენებლობა) | 2.9% |
| კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრების შექმნა (სპექტაკლები, ინტელექტუალური თამაშები) | 1.7% |
| არასრულწლოვანთათვის (სკოლებში) საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სახელოვნებო და სპორტული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მქონე პირის/კადრის დამატება | 1.4% |
| არსებული ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება | 1.2% |
| საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესახებ აქტიური საინფორმაციო კამპანიების წარმოება | 1.0% |
| სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება/განახლება სპორტ-სკოლებში | 0.5% |
| მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (უსაფრთხოება, მოქალაქეზე მორგებული გრაფიკი, პანდუსების მოწყობა) | 0.5% |
| საზოგადოებრივი თავშეყრისა და მოხმარების მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწყობა/გაუმჯობესება (სკვერი, სტადიონი, მიწისქვეშა გადასასვლელი, სხვ.) | 0.2% |

# რეკომენდაციები

- მრავალ პროფილური თანამშრომლობითი პლატფორმის შექმნა. ცენტრალური მთავრობის, ახალგაზრდობის სააგენტოს, დასაქმების სააგენტოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ერთობლივი შეხვედრების დაორგანიზება ქუთაისის მუნიციპალიტეტში კარგი პრაქტიკების გაზიარებისა და დანერგვისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში დასაქმების და კომპეტენციების გაზრდის კუთხით. ასევე ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით. რეკომენდებულია ბიზნეს სექტორისა და ინოვაციების სააგენტოს წარმომადგენლების ჩართულობაც.
- არაფორმალური განათლების მიმართ სწორი დამოკიდებულების ფორმირების ხელშეწყობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის სათანადო ინფორმირება, წარმატების ისტორიების გაზიარება და ამ ფორმით მათი დამოკიდებულებების შეცვლა. გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეების ჯგუფი უფრო აქტიურები არიან, ვიდრე 18-29 წლის ახალგაზრდების ჯგუფი. სავარაუდოთ ეს განპირობებულია მეტი სასკოლო აქტივობებით. მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი ინიციატივების შემუშავება და გახორციელება, რომლებიც ახალგაზრდებისთვისაც შექმნის შესაძლებლობას უფრო აქტიურები გახდნენ და დაეხმარებათ რიგი საჭიროებების იდენტიფიკაციაში.
- სოციალურ სივრცეში გვერდის არსებობა მისასალმებელი და აუცილებელია, იმის გათვალისწინებით რომ ახლაგაზრდები თავისი დროის უმეტეს ნაწილს სწორედ აქ ატარებენ. თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები და ასევე NEET ჯგუფის წევრებმაც აღნიშნეს, მიზნის მისაღწევად სხვა დამატებითი არხების გამოყენებაცაა საჭირო, როგორებიცაა საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება, პლაკატებს გაკვრა ისეთ ლოკაციებზე სადაც ახალგაზრდები იკრიბებიან, მცირე საინფორმაციო სარეკლამო ბანერების განთავსება, ან მოკლე შეტყობინებების დაგზავნა. გამოცდილების თანახმად პოზიტიურ შედეგს იძლევა ინფორმაციის გავრცელებაში მასწავლებლებისა და საუნივერსიტეტო პერსონალის ჩართულობაც.
- პროფესიის არჩევა სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის პრობლემად იდენტიფიცირდა. შესაბამისად, თვითმმართველობის მიერ ისეთი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს გააცნობს სხვადასხვა პროფესიას, ასევე მიაწვდის ინფორმაციას დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე, მნიშვნელოვანია. აღნიშნულში შესაძლებელია კერძო სექტორიც იყოს ჩართული. ამასთან, სასურველია შემუშავდეს პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც, ეს უკანასკნელნი საკუთარ შეთავაზებებს გააცნობენ ახალგაზრდებს.
- რამდენადაც ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა პროცესში დაბალია, არსებითია არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერება და კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა სამოქალაქო ჩართულობის ფორმების, აქტივიზმის შესაძლო შედეგისა და ახალგაზრდების როლის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ასევე, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში არსებული აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფების განსაკუთრებული მხარდაჭერა, რომლებიც შესაძლებელია იქცნენ აზრთა ლიდერებად, საკუთარ თანატოლებში ცოდნის/იდეების გამავრცელებლებად და რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების საუკეთესოდ ადვოკატირებას.

- ახალგაზრდების უმრავლესობა, ყველა ასაკობრივ ჭრილში ასახელებს რომ მათთვის არაფორმალური განათლების ცენტრები და თავისუფალი სივრცეები ხელმისაწვდომი არ არის. რეკომენდებულია მუნიციპალიტეტმა მიიღოს მონაწილეობა მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტის/ების გახორციელებაში, და შესთავაზოს ქუთაისის ახალგაზრდებს სივრცეები, სადაც ისინი შეძლებენ მიიღონ როგორც არაფორმალური განათლება და შეძლონ ახალი იდეების გენერირება რეკომენდირებულია დასაქმების ფორუმის ორგანიზება, გადამზადებულთა დასაქმების პროცენტული ზრდისა და თემის პოპულარიზაციისთვის.
- კვლევის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდები საკმაოდ დიდ ინტერესს გამოხატავენ ისეთ აქტივობებში ჩართვის, როგორებიცაა გარემოს დაცვითი, კულტურულ-შემეცნებითი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი და მოხალისეობრივ აქტივობებში, თუმცა მათი უმრავლესობის ფაქტობრივი მონაწილეობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. ძირითადი მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა. შესაბამისად, ახალგაზრდების გააქტიურებისათვის მიზანშეწონილი იქნება ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ხერხების გამოყენება, როგორებიცაა საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, წარმატების ისტორიების პოპულარიზაცია, საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება, „ინფლუენსერების“ რეკომენდაციების და შთაბეჭდილებების გაზიარება, მათ შორის სიტყვის ძალის გამოყენება (word of mouth), ინფორმაციის გავრცელების დეცენტრალიზირებული მიდგომით - არა ზოგადად ქუთაისის მასშტაბით, არამედ ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.
- არსებულ საინფორმაციო პლატფორმებთან თანამშრომლობა, კარგი პრაქტიკების გაზიარების მიზნით, რათა შეიქმნას ციფრული სივრცე ახალგაზრდებისთვის საინტერესო პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისთვის. ე.წ. ერთი ფანჯრის პრინციპით ახალგაზრდას შეეძლოს მიიღოს ინფორმაცია მიმდინარე შესაძლებლობების შესახებ და ასევე ახდენდეს მარტივად კომუნიკაციასა და მონაწილეობის მიღებას.
- რეკომენდებულია, ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლობების ან ახალგაზრდული საბჭოს წევრების მიერ წელიწადში ერთხელ მოხდეს ახალგაზრდების საჭიროებების იდენტიფიცირება (მარტივი კითხვარების საშუალებით), რაც საშუალებას მისცემს მერიას დროში გაწერილი პერიოდული ინფორმაცია მოიპოვოს.
- საქართველოში მოხალისეობრივი საქმიანობების დიდი წილი მოდის ჰუმანიტარული დახმარებების შეგროვება-განაწილებასა და დასუფთავების აქციებზე. მნიშვნელოვანია მოხალისეობის შესახებ ცნობიერების შეცვლა და მოხალისეების ჩართვა ისეთ საქმიანობებშიც, როგორიცაა საინფორმაციო კამპანიები, საგანმანათლებო კურსების შექმნა და სწავლება, კვლევის ჩატარება და მონაცემების დამუშავება, სოციალური ქსელების მართვა, ონლაინ საინფორმაციო საშუალებების შექმნა და სხვა. სწორედ ამ მექანიზმებით, მუნიციპალიტეტის მერიას შეუძლია ორი პროცესის უზრუნველყოფა, პირველი მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაცია, ხოლო ახლაგაზრდებისთვის შესაძლებლობების მიცემა გამოიმუშავონ ახალი უნარები და მიიღონ გამოცილება. მერიამ უნდა უზრუნველყოს მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარება (მაგ. სერთიფიკატი, ან ვაუჩერი), რაც გაზრდის ახალგაზრდების ინტერესს.
- შედეგიანი იქნება კვლევის ჩატარება უკვე 30 წელს ზევით ასაკის პირებთან, რათა შესწავლილ იქნეს თუ რა პერიოდში არაფორმალური განათლების რა შესაძლებლობები ქონდათ და როგორი გავლენა იქონია მათ შემდგომ განვითარებაზე.

- ახალგაზრდული მუშაკების ინსტიტუტის მიმართ სწორი დამოკიდებულების ფორმირების ხელშეწყობა. კვლევის შედეგებიდან ნათლად გამოჩნდა რომ თვით ტერმინიც და მისი შინაარსიც არასათანადოდ ესმით რიგ შემთხვეებში 14-17 და 18-29 წლამდე ახლაგაზრდებს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის სათანადოდ ინფორმირება, წარმატების ისტორიების გაზიარება და ამ ფორმით მათი დამოკიდებულებების შეცვლა. ახალგაზრდული მუშაკის ინტიტუტის - როგორც საშუალების ამოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. რამდენადაც ახალგაზრდული საქმიანობა გამჭოლი და მულტი სექტორულია, მნიშვნელოვანია რომ შესაბამისი აქცენტები არსებობდეს ყველა საჯარო უწყებების მიზნობრივ პროექტებსა და პროგრამებში.